პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ძლირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 236 (2279)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— პარიზიდან გააძევეს ამერიკელი ჟურნალისტი, რომელმაც გამოაქვეყნა ბერტელოს საიდუმლო ცირკულიარი.
— ავსტრალიელ დოკერების გაფიცვა ძლიერდება.
— უნგრეთის მთავრობა შეუერთდა კელოგის პაქტს.
— იაპონია თანხმობას აცხადებს ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკებაზე.
— გაიხსნა საკავშირო თათბირი საბჭოების გადარჩევის შესახებ.
— გერმანიის აეროპლანის დამტვრევა ნოვოროსიისკთან. — მფრინავები გადარჩნენ.

17 ოქტომბერს სასახლის წითელ დარბაზში
შესდგება
საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
დღის წესრიგი:

1. პარტიის იდეოლოგიური ფრონტის შესახებ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.—მომხსენებელი. ამხ. მ. ორახელაშვილი.
2. პარტიის მუშაობის შესახებ ამიერ-კავკასიის სოფლის ღარიბ გლეხობას შორის (შედეგები და ამოცანები)—მომხ. ამხ. რუბენი
3. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის— მომხ. ამხ. შ. ელიავა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის
საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გზები

სოფლის ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურება უმთავრესად დამოკიდებულია გლეხის მეურნეობის მექანიზაციაზე. საქართველო წვრილი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ეს გარემოება დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს სოფლად მანქანის გავრცელების საქმეში. ამავე დროს იშვიათი ბუნებრივი სიმდიდრე და სოფლის მეურნეობის ძვირფას კულტურების დიდი სხვადასხვაობა, საუკეთესო პერსპექტივებს ქმნის ჩვენში გლეხის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის.

პარტია და ხელისუფლება კარგად ითვალისწინებდა ამ საკითხების მნიშვნელობას, მაგრამ სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო ჩვენ ვერ შევძელით სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმის სათანადოთ წინ წაწევა. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას უკვე ცნობილ რეზოლიუციაში, რომელშიაც მოცემულია საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის დახასიათება, ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

„სამრეწველო მშენებლობის, კერძოდ ელექტრო- მშენებლობის (ზაჰესი, რიონჰესი და აჭჰესი), სწრაფ გაშლასთან ერთად, აშკარად საკმაო არ არის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი. ცეკა აღნიშნავს რა, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს, წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიას შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანებს და შრომის ტევადი ტეხნიკური კულტურების განვითარებას კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომელიც მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდის“.

ამნაირად, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხი დასმულია ჩვენს წინაშე, როგორც ერთ-ერთი ძირითადი გადაუდებელი და სერიოზული ამოცანა. საჭიროა საქმეს შეუდგეთ პრაქტიკულად. ამისათვის კი ჩვენთვის პირველ ყოვლისა თავიდანვე ნათლად უნდა გარკვეული იყვეს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წარმატებით განვითარებისათვის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წვრილი და დაქუცმაცებული მიწათმფლობელობა მექანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მტერია. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად მსხვილ სამეურნეო ერთეულების შექმნას. ამ შემთხვევაში ერთხელ კიდევ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი სოფლის მშენებლობის საქმეში კოლექტიურ მეურნეობებს. საბჭოთა მეურნეობანი და გლეხთა კოლექტიური გაერთიანებანი უნდა გახდნენ იმ ძირითად ბაზისად, საიდანაც შემდეგ მანქანა გაიკვლევს გზას სოფლის ყველა იმ კუნჭულებში, რომლებშიაც შესაძლებელი და აუცილებელია ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევის მიხედვით დამზადებულ მსხვილი იარაღებით მუშაობა.

სამწუხაროდ საბჭოთა მეურნეობები და კოლექტიური გაერთიანებანი ჯერ კიდევ შორს არიან ისეთი მდგომარეობიდან, რომ მათ ამ მხრივ წინამძღოლობა გაუწიონ სოფელს. გარდა ამისა მათი რიცხვი ჯერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სათანადო ტემპით განვითარებისათვის. აქედან აშკარაა, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა ახალ გაერთიანებათა მასიურად მოწყობაზე. ამისათვის სრულიადაც საჭირო არაა, რომ თავიდანვე შევქმნათ კომუნები, მთელი თავიანთი მეურნეობებით შეკავშირებული გლეხთა გაერთიანებანი. მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, თუ ჩვენ შევძლებთ ღარიბ და საშუალო გლეხების გაერთიანებას არტელების ან ამხანაგობების სახით მანქანის შეძენისა და გამოყენების მიზნით.

ეს გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე კომუნების დაარსება. ამ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დაჩქარებისათვის.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ გლეხთა მარტივ გაერთიანებების მასიური ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰპოებს განხორციელებას, თუ ცენტრალური სამეურნეო ორგანოები აქტიურ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ მუშაკებს. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა სამანქანო ამხანაგობანი დაშლილა მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრმა მათ სათანადო დახმარება ვერ აღმოუჩინა მანქანის მიწოდების მხრივ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის წარმატებით განვითარება დიდად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეთანხმებულად და ენერგიულად იმუშავებენ ამ მხრივ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.

გარდა ამისა მანქანის გავრცელებისათვის სოფლად დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მიწათმოწყობის ჩაუტარებლობა. ეს არის ჩვენი სოფლის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი, რომელზედაც ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ, წარმატება კი ჯერ-ჯერობით არც თუ ისე თვალსაჩინო გვაქვს. დაქუცმაცებული მიწათმფლობელობა იწირავს გლეხის ენერგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, აფერხებს მეურნეობის რაციონალიზაციას ყოველ დარგში და ამრიგად წინ ეღობება ყველა პროგრესიულ წამოწყებებს სოფლად. თავის თავად ცხადია, რომ ამ საკითხის მოგვარებას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მიწათმოქმედების კომისარიატის ორგანოებმა. საჭიროა სათანადო ძალების სრული მობილიზაცია, მატერიალურ საშუალებების გამოძებნა, ერთი სიტყვით ყოველგვარ საშუალებების ამოწურვა ის მიზნით, რომ კუს ნაბიჯით არ მივდიოდეთ მიწათმოწყობის დარგში.

ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ სასოფლო- სამეურნეო კრედიტის როლის შესახებ გლეხის მეურნეობის მექანიზაციის საქმეში. აქ ამოცანები იგივე რჩება, რაც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული პარტიისა და ხელისუფლების სათანადო ორგანოების დადგენილებაში. ვიტყვით მხოლოდ, რომ საჭიროა გასაკეცებული ენერგიით მუშაობა, საჭიროა თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობით სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ორგანოებმა კიდევ უფრო ცხადჰყონ, რომ მათი მუშაობა მთლიანად მიმართულია ახალი სოფლის მშენებლობისაკენ.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ჩვენს წინაშე კარგა ხანია დასმულია, როგორც საჭირბოროტო რთული ამოცანა. საბჭოთა აღმშენებლობის განვითარება, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელება პირდაპირ ებჯინება სოფლის მეურნეობის წინსვლელობის საკითხს. ის, რაც დღემდე კეთდებოდა სოფლის მეურნეობის დარგში, საკმაო არ არის. უნდა გავაჩაღოთ ენერგიული და სისტემატიური მუშაობა გლეხის მეურნეობის გარდასაქმნელად, სოფლის დასაწინაურებლად მატერიალურად და კულტურულად.

ყურადღება მუშათა მომარაგებას

მუშათა ფართო მასების სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილების ამოცანები მოითხოვენ მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ძირითადი სამრეწველო რაიონების მომარაგებას. ამ რაიონების მოთხოვნილებანი უნდა დაკმაყოფილდეს, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, იმ არსებულ შესაძლებლობათა ფარგლებში, რომლებსაც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მდგომარეობა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დაკმაყოფილების შეზღუდვას იწვევს ახალი მოსავლის თავისებურება, რაც გამოიხატება კულტურათა არა ხელსაყრელი შეფარდებით და ზოგიერთი პროდუქტის ნაკლებობით. როცა სამრეწველო საქონლის შესახებ ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად სახელმწიფო მრეწველობის განვითარების მძლავრი ტემპისა, მოსახლეობის მოთხოვნილება ნაწილობრივ დაუკმაყოფილებელი რჩება, რადგან ფართო მასების მოთხოვნილება კიდევ უფრო სწრაფად იზრდება.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ საფუძველი არა გვაქვს ეჭვით უყურებდეთ ძირითადი სამრეწველო რაიონების უმნიშვნელოვანეს სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას იმ პირობით, თუ ამ საქმეში წინანდელ უნივერსალიზმს არ გამოუდგებით და წელს მთელ ჩვენს ყურადღებას მივაქცევთ ძირითადს და მთავარს მომხმარებელთა კატეგორიებსა და პროდუქტებს.

ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ მომარაგების სიძნელეთა დაძლევის საჭიროებას და დაუყოვნებლივ, ბოლშევიკური ენერგიით მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მუშა მომხმარებლის რეგულიარულად მომარაგებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარსულში ჩვენი უმთავრესი შეცდომა ის იყო, რომ ძალ-ღონეს ვფანტავდით, არ ვადგენდით მომარაგების გეგმას და თითქმის მექანიკურად უნაწილებდით არსებულ საქონელს ყველა რაიონს, საიდგანაც კი მოთხოვნილება მოგვდიოდა. ადგილობრივ ორგანოებს, რომ ჯეროვანი თაოსნობა გამოეჩინათ, ზოგიერთ რაიონში ამა თუ იმ პროდუქტის მიღება შეიძლებოდა ადგილობრივივე წყაროებიდან. ცხადია, დეპეშის გაგზავნა ცენტრში უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე საჭირო პროდუქტის დამზადების მოწესრიგება. ბევრი ორგანიზაცია ფაქტიურად უმცირესი წინააღმდეგობის გზით მიიმართებოდა და ყველაფერს ცენტრიდან მოელოდა. ასეთი შეცდომები ახლა დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ.

სასურსათო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უფლება პირველ რიგში უნდა მიეცეს იმ რაიონებს, რომლებიც მოკლებულნი არიან საკუთარ წყაროებს, ე. ი. ძირითად სამრეწველო რაიონებს, რომლებიც ამავე დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაიონები არიან საწარმოო დარგში.

იმ რაიონებმა, კი, რომლებსაც საშუალება არა აქვთ დაამზადონ ესა თუ ის პროდუქტი ეგრეთწოდებული გეგმის გარეშე მომარაგების წესით, ე. ი. იმაზე მეტი, რასაც ცენტრის დავალებით ამზადებენ, უნდა იზრუნონ საკუთარ შესაძლებლობათა განხორციელებისათვის. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები უნდა დაემყარონ პარტიულ და საბჭოთა საზოგადოებრიობას, გამოიყენონ კოოპერატივები და სხვა დამამზადებელი ორგანიზაციები და პასუხი აგონ მომარაგებისათვის. ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო პროდუქტების დამზადებისათვის განსაკუთრებით უნდა იზრუნოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის პროდუქტების ნაკლებობის შევსება ადგილობრივი წყაროებიდან. იმავე მიმართულებით უნდა გამოვნახოთ სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოების საშუალებანი. ჩვენ დღემდე ვერ გამოვიყვანეთ უმნიშვნელოვანესი დასკვნები იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო მრეწველობა კვალდაკვალ ვერ მისდევს მოთხოვნილების სწრაფ ზრდას, თუმცა ეს დასკვნები ბუნებრივი და ლოღიკურია. წარმოებისა და საქონლის ნაკლი შეიძლება შევსებულ იქნას არა მარტო მსხვილი მრეწველობის განვითარებით, არამედ ადგილობრივი თაოსნობის გაძლიერებითაც; ეს თაოსნობა კი საჭიროა ადგილობრივ საშუალებათა და წყაროთა შემწეობით იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებშიაც ჩვენ განსაკუთრებით ჩამორჩენილნი ვართ და რომლებიც ადგილობრივი პირობების მიხედვით შეიძლება მოწესრიგდნენ.

მომხმარებლის ინტერესები გადაჭრით მოითხოვენ ამ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც დამოკიდებულია ადგილობრივ ენერგიასა და თაოსნობაზე.

დამზადების საკითხების გადაწყვეტასთან და ძირითად სამრეწველო რაიონებში სურსათისა და ფართო მოხმარების სხვა საგნების დროიანად შეტანასთან ერთად, მთელი თავისი სიღრმე-სიგანით უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ბოლო მოეღოს მომხმარებლის მომარაგების ახლანდელ უმსგავსო ფორმებს. კოოპერატორებს რომ ყური დაუგდოთ, ყოველი პროდუქტისათვის ორ ან სამ საათს გრძელს რიგში დგომა თითქმის აუცილებელი პირობაა. სხვა აზრისა არიან ისინი, ვინც იძულებულნი არიან რიგში იდგნენ. პროვინციიდან მიღებული კორესპონდენციები სავსეა აღმაშფოთებელი ფაქტებით, რომლებიც ადასტურებენ უყურადღებობას და ხშირად მომხმარებლის არაფრად ჩაგდებას.

დავიწყოთ იქიდან, რომ მომხმარებელს შესაფერი განმარტება ვერ ეძლევა,—თუ საიდან რას მიიღებს. ადგილობრივი კოოპერატივები კავშირებს უჩივიან, კავშირები—„ცენტროსოიუზს“, „ცენტრო- სოიუზი“— დამამზადებელ ორგანოს ან ტრესტს. შუაში იჭყლიტება მომხმარებელი, რომელიც ამ არევ- დარევაში თავის ბიუჯეტს თავსა და ბოლოს ვერ უნასკვავს. შემდეგ უნდა აღინიშნოს საქონლის გაცემის საკითხები: ვაჭრობის საათების შეფარდება მუშა მომხმარებლის მოთხოვნილებებთან, აწონ- გაზომვა, ანგარიშის გასწორების გაადვილება და სხვ. არა მარტო პროვინციაში, მოსკოვშიაც არ არის შემოღებული წინასწარი აწონგაზომვა, რომელიც მით უფრო ადვილია, რომ ზოგიერთი პროდუქტის გაცემა ზოგჯერ შეზღუდულია განსაზღვრული რაოდენობით.

ამ უაზრო დაბრკოლებათა არსებობაში, რაც მომხმარებლის უკმაყოფილებას იწვევს, დამნაშავენი არიან, პირველ ყოვლისა, კოოპერატივების ხელმძღვანელები, აგრეთვე პაიების პატრონები, რომელთაც აქტივობა აკლიათ თავიანთი ინტერესების დასაცავად.

სამომხმარებლო კოოპერაცია მეტად სუსტად ანვითარებს საზოგადოებრიობას და მასების თვითმოქმედებას,— კოოპერაციის ამ შინაგანსა და მამოძრავებელ ძალას. მხოლოდ საზოგადოებრიობის, თვითმოქმედების და თვითკრიტიკის ნაკლებობით აიხსნება მომხმარებლის დაკმაყოფილების საქმეში დეფექტთა გამოსწორების ნელი ტემპი.

მუშათა კლასის ძირითად სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილება წარმოადგენს პირველხარისხოვანი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს. მომარაგების ამოცანათა შესრულება უნდა გადაიქცეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ყოველდღიურ საზრუნავ საგნად. მხოლოდ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საერთო მეცადინეობით შევძლებთ, როგორც მუშა მომხმარებლის მიმდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილებას, ისე მუშის მომარაგების მთელი საქმის შესაფერად მოწესრიგებას.

„პრავდა“, 10 ოქტომბერი.

ლოძის ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება

პოლონეთის მთავრობის ჩარევამ კონფლიქტში შედეგი არ გამოიღო

საფრანგეთის პრესა მიუღებლად სთვლის იტალიის წინადადებას საზღვაო ძალების გათანასწორების შესახებ

სანაპირო რაზმების შეტაკება ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე

ლოძის ფეიქართა გაფიცვა

კონფლიქტი ვერ მოაგვარეს

ვარშავა, 9 ოქტომბერი. ლოძის კონფლიქტში მთავრობის პირველმა გამოსვლამ არბიტრის როლში სავსებით გამოარკვია მთავრობის ტენდენცია. **მთავრობა ვითომ შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა მრეწველებზე, მაგრამ სინამდვილეში მუშებზე ზეგავლენა გამოვიდა.** მრეწველებისა და ლოძის მუშების წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც შრომის სამინისტროში გაიმართა, კონფლიქტი ვერ მოაგვარა. **საეჭვოა, რომ მიღებულ იქნას მთავრობის წინადადება ხელფასის ხუთი პროცენტით გადიდების შესახებ.** ქალაქ ლოძის დეპუტატი **როსთიაკი,** რომელიც ვარშავაში ჩამოვიდა და დაესწრო შრომის სამინისტროში გამართულ კონფერენციას, სამინისტროს წარმომადგენელის მოთხოვნილებით **სხდომიდან გააძევეს.** პროფკავშირების წარმომადგენელმა **შერკოვსკიმ** კონფერენციაზე განაცხადა, რომ **როგორც** კი შრომასა და კაპიტალს შორის კონფლიქტი აღიძვრის, მთავრობა უკანასკნელის მხარეზე დგებაო (ადს).

გაფიცვა ფართოვდება

ვარშავა, 9 ოქტომბერი. **ფეიქართა გაფიცვა არა თუ არ შენელდა, არამედ უფროც გაფართოვდა. გაფიცვა რიძევის მანუფაქტურასაც გადაედო და, ამრიგად, ლოძში ყველა ფეიქარი გაფიცულია. გაფიცვას შეუერთდნენ კალიშის და პეტროკოვის ფეიქრებიც.** ყვითელი პროფკავშირების ღონისძიებათა მიუხედავად, **ჩენსტოხოვის ფეიქრებიც გაფიცვას შეუერთდნენ.** პოლიცია შტრეიკბრეხერებს იცავს.

„გლოს პრავდი“ მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მოლაპარაკება მრეწველებსა და მუშებს შორის უნაყოფოდ დამთავრდა. მთელი ბურჟუაზიული პრესა, და კერძოდ „გლოს პრავდი“-ც, აშინებს მუშებს, რომ დღევანდელი კონიუნქტურის პირობებში გაფიცვა მრეწველებისათვის ხელსაყრელიაო. (ადს).

იტალია-საფრანგეთის უთანხმოება

საფრანგეთის პრესა უარჰყოფს იტალიის წინადადებას საზღვაო ძალების გათანასწორების შესახებ

პარიზი, 9 ოქტომბერი. ეხება რა იტალიის მთავრობის პასუხს ინგლის-საფრანგეთის მემორანდუმზე საზღვაო განიარაღების შესახებ, **საფრანგეთის პრესა ერთხმად აცხადებს, რომ იტალიის მიერ წამოყენებული წინადადება — იტალიის საზღვაო ძალების გათანასწორების შესახებ თითეული კონტინენტალური სახელმწიფოს საზღვაო ძალებთან სრულებით მიუღებელია.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი წარმოადგენს დიდ კოლონიალურ სახელმწიფოს, იტალია კი — „წმინდა ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოა“, ამიტომ **მათი საზღვაო ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიანო.**

პერტინაქსი **„ეკო დე პარი“-ში** სწერს:

„საფრანგეთისა და იტალიის საზღვაო თანასწორობა იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენ ხმელთაშუაზღვაზე მეორეხარისხოვანი ადგილი უნდა დავიკავოთ. **ჩვენ არ გვსურს ხელი ავიღოთ გაბატონებულ მდგომარეობაზე საზღვაო გზებზე.**

მემარცხენე-ბურჟუაზიული „ევრ“ ფიქრობს, რომ **„იტალიის თვალსაზრისი შესაძლებელია სახიფათო შეიქნესო“.** გაზეთი სწერს:

„სამხედრო გემების დიდი რაოდენობა გვესაჭიროება ჩვენ მიმოსვლის გზების უზრუნველსაყოფად. **რათ ესაჭიროება იტალიას სამხედრო გემების ამდენიმე რაოდენობა, თუ არ იმისათვის, რომ დაემუქროს ამ გზებს“-ო.**

„პოპოლო დ'იტალია“ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ

რომი, 9 ოქტომბერი. „პოპოლო დ'იტალია“ ეხება იტალიის ნოტას ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების შესახებ და სწერს შემდეგს:

„იტალიის ფორმულა ფრიად რეალურ ნიადაგზე აყენებს შეიარაღების შემცირების საკითხს. **იტალია, როგორც დიდი სახელმწიფო, ვერ დაუშვებს, რომ უიმისოდ სდებდნენ ისეთ შეთანხმებებს, რომელნიც ვითომ განიარაღების პროგრამას წარმოადგენენ.** იტალიის პასუხი საბუთიანი [illegible] გახსენებაა იმისა, რომ იტალიის მთავრობა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად თანასწორ მონაწილეობას იღებდა უაღრესი მნიშვნელობის საერთაშორისო აქტების დადებაში. მაშასადამე, **იტალიას უფლება აქვს ჩაერიოს საქმეში და გამოსთქვას თავისი აზრი ისეთი აქტის შესახებ, რომელიც არღვევს დამყარებულ წონასწორობას.** იტალიის პასუხი ითვალისწინებს შეიარაღების შემცირების გზას, ისეთი შემცირების, რომელიც ვისიმე ბატონობას მუდმივად არ გახდის (ადს).

ავსტრალიელ დოკერების ბრძოლა ვითარდება

ბომბებით — შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ

ლონდონი, 9 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო მელბურნიდან იუწყება:

„ფრიმენტალის ნავთსადგურში 1.200 მუშამ დაადგინა—განაახლოს მუშაობა. მოხდა ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირების ორი თათბირი, მაგრამ, მოლოდინის მიუხედავად, საკითხი გაფიცვის გაფართოვების შესახებ არ განუხილავთ. ვიქტორიის შტატის პრემიერმა ხოგენმა განაცხადა, რომ შტატის მთავრობამ გადასწყვიტა დანიშნოს 250 გირ. სტ. ჯილდოდ იმათთვის, ვინც ხელს შეუწყობს იმ პირთა აღმოჩენას, რომელთაც ყუმბარა გადააგდეს.

9 ოქტომბერს დილით მელბურნის დასავლეთ რაიონში კვლავ ესროლეს ყუმბარა იმ სახლს, სადაც შტრეიკბრეხერები იმყოფებოდნენ. სახლი დაზიანდა, მაგრამ ადამიანის მსხვერპლი არ არის.

მელბურნში იარა-პარკში მოხდა პროფკავშირის წევრთა დემონსტრაცია. გამოსულმა ორატორებმა მოითხოვეს გაფიცვის გაფართოვება. საგაფიცვო კომიტეტმა წინადადება მისცა მზიდავებს, მემანქანეებს და ცეცხლფარეშებს—ხელი აიღონ მუშაობაზე, რომელსაც მოხალისეთა მონაწილეობით აწარმოებდნენ.

10 ოქტომბერს მელბურნში მოხდება ნავთსადგურის მუშების კრება, რომელზედაც განიხილავენ წინადადებას მუშაობის განახლების შესახებ. (ადს).

საბჭ. ნავთის იზოლიაციის პროექტი

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. ინგლისისა და ამერიკის ნავთის კომპანიები არკვევენ ნავთის საერთაშორისო კარტელის ორგანიზაციის საკითხს საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე. ხმებია, რომ მას შემდეგ, რაც ტრესტის „როიალ დეტჩ შელის“ მეთაურმა დეტერდინგმა ვერ დაარწმუნა კომპანია, „სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-იორკი“— შეეწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, იგი აპირებს საბჭოთა ნავთის მრეწველობის იზოლიაციას საერთაშორისო ჯგუფის შექმნით, რომელშიაც შევლენ „როიალ დეტჩ შელი“, ინგლის სპარსეთის კომპანია და აგრეთვე ამერიკის კომპანია „სტანდარტ ოილი“.

ნავთის ტრესტების გაერთიანების გეგმა

ლონდონი, 9 ოქტომბერი. საქმიან წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ უდიდეს ნავთის ტრესტების „როიალ დეტჩ შელ“-ის, „ბირმა ოილ“-ის და აგრეთვე ინგლის-სპარსეთის კომპანიის მუშაობის გაერთიანების გეგმას, რომლის მიზანია ევროპისა და ზოგ სხვა ბაზრებზე მონოპოლიური ბატონობის მოპოვება.

ამასთანავე ერთად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ნავთი „ერთად-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ევროპის და ამერიკის ნავთის ტრესტების ამ გეგმის განხორციელებისათვის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მსოფლიო მონოპოლიის შექმნა“. (ადს).

ვილნოს დაპყრობის 8 წლის თავი

კოვნო, 9 ოქტომბერი. ლიტვის ოფიციოზი **„ლეტუვოს აიდას“** მოწინავე წერილს უძღვნის ვილნოს დაპყრობის 8 წლის თავს და სწერს: „ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელების გზა დროით არ განიზომება. ეს გზა შეიძლება ძალიან გრძელი იყოს. ვილნოს დაპყრობის დღიდან განვლილი 8 წელიწადი მოკლე დროა ხალხის ისტორიაში და ვილნოს საბოლოო დაკარგვას არ მოასწავებს“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ლიტვას განზრახვა არა აქვს ომი გამოუცხადოს პოლონეთს და იარაღით დაიბრუნოს ვილნო, და სწერს: „ვილნოს დაბრუნების ყველაზე მოკლე გზაა— მთელი ხალხის შემჭიდროება და მხნე მუშაობა. ვილნოს რაიონი დაცალიერებული ტერიტორია არ არის, იქ სცხოვრობს ხალხი, რომელიც შეიძლება მოვიზიდოთ, როცა ჩვენს სახელმწიფოში იქნება წესრიგი, მაღალი კულტურა, ეკონომიური კეთილდღეობა და ერთობა“.

კოვნო, 9 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს კოვნოში იხსნება ვილნოს განთავისუფლების კავშირის სრულიად ლიტვის ყრილობა.

მენშევიკების და ჟანდარმების თანამშრომლობა

ვენა, 9 ოქტომბერი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო **„როტე ფანე“** ხაზგასმით **აღნიშნავს მჭიდრო თანამშრომლობას რესპუბლიკის თავდაცვის კავშირსა (შუცბუნდის), რომელსაც სოციალ- დემოკრატები ხელმძღვანელობენ, და ჟანდარმებსა და სამხედრო რაზმებს შორის ვინერ-ნეიშტადტში.** გაზეთი სწერს:

„სოციალ- დემოკრატიულმა ბელადებმა გამოააშკარავეს, რომ ისინი შეგნებული კონტრ- რევოლიუციონერები არიან. ის დევნა, დაპატიმრება და კონფისკაციები, რაც კომპარტიამ 6 და 7 ოქტომბერს განიცადა, ფაქტიურად კანონს გარეშე აყენებენ მას. თუმცა ფაშისტური გამოსვლა ვინერ-ნეიშტადტში მონაწილეთა რიცხვის მხრივ სუსტი იყო, მაგრამ როგორც ვენაზე გალაშქრების გენერალურმა რეპეტიციამ წარმატებით ჩაიარა. (ადს)

ფეიქართა გაფიცვა შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. ფეიქართა რეაქციონური კავშირი დასთანხმდა მრეწველების წინადადებაზე ხელფასის შემცირების შესახებ 5 პროცენტით და წინადადება მისცა ნიუ-ბედფორდის გაფიცულ ფეიქრებს განაახლონ მუშაობა. მაგრამ დღემდე ამ მოწოდებას გამოეხმაურა ფეიქართა მხოლოდ 20 პროც. **26.000 მუშა მოითხოვს გაფიცვის გაგრძელებას. მემარცხენე ფრთის მრავალი მოღვაწე დაპატიმრებულია.**

იაპონია და ნანკინის მთავრობა

იაპონია მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან

ტოკიო, 9 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, პრემიერმა ტანაკამ განაცხადა, რომ იაპონია, ნანკინის მთავრობის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით, მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის ჯერ გადაუჭრელი საკითხების მოსაგვარებლად.

„ტოკიო ასახი“ ფიქრობს, რომ იაპონია თანახმა იქნება საკითხი საბაჟო ტარიფის შესახებ განიხილოს სხვა პრობლემებისაგან განცალკევებით. გაზეთი სწერს: „თუ ჩინეთი წინდახედულად იმოქმედებს, ამ საკითხმა, შესაძლებელია, საგრძნობლად დააჩქაროს მოლაპარაკება სხვა საკითხების შესახებაც“.

თურქ და ბულგარელ გლეხთა გამოსახლება

რუმინეთიდან

ვენა, 9 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, დობრუჯაში (რუმინეთის ნაწილი, რომელიც 1912 წლამდე ბულგარეთს ეკუთვნოდა) სწარმოებს თურქ და ბულგარელ გლეხთა მასიური გამოსახლება. მათ ბინებზე ასახლებენ მაკედონიის რუმინელებს. ახლად გადმოსახლებულთ არ აძლევენ ინვენტარს. მათ ნება დართეს წაართვან იგი ადგილობრივ თურქებისა და ბულგარელების მოსახლეობას. შეიარაღებულნი გადმოსახლებულები ანადგურებენ თურქ და ბულგარელ გლეხებს, ართმევენ მათ ქონებას და სადგომებს. (ადს).

იაპონელ კომუნისტების პროცესი

ტოკიო, 9 ოქტომბერი. დაიწყო იაპონიის კომპარტიის ოკაიამას ორგანიზაციის პროცესი. ბრალდებულთა სკამზე ზის 15 კაცი. იმ მიზეზით, რომ „პროცესმა შესაძლებელია დაარღვიოს საზოგადოებრივი მშვიდობიანობა“, სასამართლომ განკარგულება გასცა კარების დაკეტვის შესახებ. (ადს).

სხვადასხვა

- **პრაღაში,** ქალაქის ცენტრში, ჩამოინგრა ხუთსართულიანი სახლი. დაიღუპა 60 მუშა.
- **უნგრეთი შეუერთდა კელოგის პაქტს.**
- **ვენაში ჩავიდა ვენიზელოსი,** რომელსაც მოლაპარაკება ექნება სამხრეთ-სლავიის წარმომადგენლებთან.
- **ბულგარეთის მთავრობამ** დაავალა თავის ელჩს ვაშინგტონში, ხელი მოაწეროს კელოგის პაქტისადმი ბულგარეთის შეერთების აქტს.

გლეხთა ინტერნაციონალის 5 წ. თავი

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 10—16 ოქტომბერს სრულდება ხუთი წელიწადი, რაც დაარსდა გლეხთა ინტერნაციონალი—გლეხთა პირველი საერთაშორისო უპარტიო ორგანიზაცია, რომელიც მუშათა და გლეხთა კავშირის პლატფორმაზე სდგას. 1923 წლის ზაფხულში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დროს, უცხოელი გლეხების დელეგაციებმა, რომელთაც გამოფენა ინახულეს, შეადგინეს საინიციატივო ჯგუფი კონფერენციის მოსაწვევად, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი მშრომელი გლეხკორის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. ეს კონფერენცია შესდგა 1923 წლის 10—16 ოქტომბერს. კონფერენციამ მიიღო გლეხთა საერთაშორისო საბჭოს წესდება და ამოირჩია თვით საბჭო, რომელშიაც შევიდნენ წარმომადგენლები: საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, სკანდინავიის; ჩრდ.-ამ. შეერთებულ შტატების, მექსიკის, იაპონიისა და ინდო-ჩინეთის. ამჟამად გლეხთა ინტერნაციონალს აქვს თავისი ორგანიზაციები გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, იტალიაში; საბერძნეთში; რუმინეთში, ფინლიანდიაში,ბულგარეთში, სამხ.-სლავიაში, შვეციაში, ნორვეგიაში; ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში; კორეიაში; შუა აზიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში და მრავალ სხვა კოლონიალურ ქვეყნებში.

თავის ორგანიზაციებს გარდა, გლეხთა ინტერნაციონალი აერთიანებს ოპოზიციონური მიმდინარეობის იმ ჯგუფებს, რომელნიც გლეხთა რეაქციონურ ორგანიზაციაში შედიან. ეს ორგანიზაციები შექმნეს მემამულეებმა და ბურჟუაზიამ იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ხელმძღვანელობა გლეხობაზე. მუშათა და გლეხთა კავშირის იდეები თანდათან უფრო ფართოდ და ღრმად ვრცელდებიან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი გლეხკაცობის მასებში და იძენენ ახალ აქტიურ მომხრეებს ჩინეთის, ინდოეთის, და სხვა კოლონიებისა და ნახევარ-კოლონიების გლეხკაცობის იმ ფართო მასებში, რომელნიც თავიანთი განთავისუფლებისათვის იბრძვიან. (ადს).

ამერიკელი ჟურნალისტის გაძევება პარიზიდან

პარიზი, 9 ოქტომბერი. ხერსტის საგაზეთო ტრესტის პარიზელ კორესპონდენტს **ხორენს,** რომელმაც თავის სააგენტოს გადასცა ბარტელოს საიდუმლო ცირკულიარი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ, **საფრანგეთიდან აძევებენ.** დაკითხვის დროს ხორენს განუცხადებია, რომ მას დოკუმენტი მიუღია თვითონ ხერსტისაგან, რომელიც იმ დროს პარიზში იმყოფებოდა. **პრეფექტურამ წინადადება მისცა ხორენს — დასტოვოს საფრანგეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში დააპატიმრებენ და სასამართლოში მისცემენ.**

„მატენი“-ს ცნობით, **ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რწმუნებულმა საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მოითხოვა ცნობები იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ხორენს შეემთხვა.** სამინისტროში რწმუნებულს განუცხადეს, რომ ხორენი მხოლოდ დაკითხულ იქნა და რომ იგი დასთანხმდა დასტოვოს საფრანგეთიო (ადს).

ინგლისის პრესა ჟურნალისტ ხორენის საქმის შესახებ

ლონდონი, 9 ოქტომბერი. პრესაში დიდი მითქმა-მოთქმაა ამერიკელ ჟურნალისტ ხორენის საქმის შესახებ. როგორც ვიცით, ხორენმა აცნობა ნიუ-იორკში საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანს ბარტელოს საიდუმლო წერილი ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ, რისთვისაც იგი გააძევს საფრანგეთიდან.

გაზეთები თანაგრძნობას უცხადებენ ხორენს. ისინი უკმაყოფილონი არიან საფრანგეთის მთავრობის მოქმედებით და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პარიზის „ეკო-დე პარი“-სათვის, რომელმაც უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე ამბები გამოაქვეყნა, არავითარი სასჯელი არ დაუდევიათ (ადს).

შეტაკება ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე

ვენა, 9 ოქტომბერი. პრესის ცნობით, სკუტარის მახლობლად მოხდა ალბანეთისა და სამხრეთ- სლავიის მოსაზღვრე რაზმების შეიარაღებული შეტაკება. მოკლულია ერთი ალბანელი და რვა სამხრეთ- სლაველი. (ადს)

ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის გარდაცვალების გამო

დამკრძალავ კომისიისაგან

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. სტეპანოვ-სკვორცოვის დამკრძალავი კომისია აცხადებს:

„განსვენებულის გვამს მოსკოვში, კურსკის სადგურზე, მოასვენებენ 10 ოქტომბერს 13 საათსა და 45 წუთზე. განსვენებულის გვამთან გამოსათხოვებლად კავშირთა სახლის მცირე დარბაზში შესვლა ყველას შეუძლია 10 ოქტომბრის 16 საათიდან 24 საათამდე. ღამე გვამს დასწვამენ კრემატორიუმში. დასაფლავების დღე და საათი ცალკე იქნება გამოცხადებული“.

კომისია ურჩევს დაწესებულებებს, წარმოებებს და ცალკე პირებს ვისაც სურს პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას, ეს პატივისცემა, გვირგვინის ნაცვლად, აღნიშნონ ფულის შეტანით სტეპანოვ-სკვორცოვის სახელობის ფონდში. (ადს).

ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვს დაკრძალავენ 12 ოქტომბერს

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის წევრის, საკავშირო ცაკისა და სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთის „იზვესტია“-ს პასუხისმგებელი რედაქტორის სტეპანოვ-სკვორცოვის დაკრძალვა მოხდება 12 ოქტომბერს წითელ მოედანზე. დელეგაციებს, ორგანიზაციებს და ყველა მოქალაქეს შეუძლიათ გამოეთხოვონ განსვენებულის ცხედარს 11 ოქტომბრის დილის 11 საათიდან, ღამის 12 საათამდე პროფკავშირების სახლში. 12 ოქტომბერს, ღამით დასწვავენ განსვენებულის ცხედარს. ცხედარის გამოსვენება პროფკავშირების სახლიდან მოხდება 12 ოქტომბერს 13 საათზე.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

უტიფარი პროვოკაცია

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი გადმოგვცემს შემდეგს:

ლოძის ფეიქართა გაფიცვა დღითიდღე გრანდიოზულ სახეს ღებულობს. გაფიცულებს შეუერთდა ქალაქ კალიშის, პეტრაკოვის და ნაწილობრივ ჩენსტოხოვის ფაბრიკის მუშები.

პოლონეთის სოციალისტური და ბურჟუაზიული პრესა მეტად დაღონებულია შექმნილ მდგომარეობის გამო. გაზეთი „ლოძინსკი ლოზუნგ“-ი მიმართავს გაუგონარ პროვოკაციას. აღნიშნულ გაზეთში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „საიდუმლოებით მოცული საბჭოთა ექსპედიცია“. წერილში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ამჟამად ლოძში იმყოფება საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელის მოადგილე პოლონეთში კოპილევი. ამასთან დაკავშირებით „ლოძინსკი ლოზუნგ“ აცხადებს, რომ მოსკოვი ამზადებს პოლიტიკურ გადატრიალებას პოლონეთშიო.

საფრანგეთის შტაბის გეგმა რევოლიუციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. „პრავდა“-ს პარიზელი კორესპონდენტი გაბრიელ პერი გადმოგვცემს:

„ლ, იუმანიტე“-ში მოთავსებულია სემარის ვრცელი წერილი საფრანგეთის გენერალური შტაბის იმ გეგმის შესახებ, რომელიც გამომუშავებულია რევოლიუციის აფეთქების შემთხვევაში აჯანყების ჩასაქრობად.

აღნიშნული გეგმა, სემარის სიტყვით, ითვალისწინებს არა მარტო შესაძლებელ აჯანყების ჩახრჩობას, არამედ მუშათა დღევანდელ მოძრაობის გასრესას. ფაქტები მოწმობენ, რომ პუანკარეს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რაც არ უნდა დაუჯდეს, წელში გასტეხოს პროლეტარიატი. მთავრობის ამგვარი ნაბიჯის საპასუხოდ, საფრანგეთის კომუნისტურ პარტიამ კიდევ უფრო უნდა გაამაგროს მუშათა ორგანიზაციები და გააძლიეროს ბრძოლა არსებული რეჟიმის საფუძვლების წინააღმდეგ.

საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მომზადება

საქართველოს დაეთმო ორი ადგილი

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. მოსკოვში იხსნება საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მოსამზადებელი სპეციალური კურსები. სულ მთელ საბჭოთა კავშირიდან გამოწვეულია 150 მსმენელი, აქედან საქართველოს დათმობილი აქვს ორი მსმენელის ადგილი.

სტატისტიკოს მუშაკთა კავშირის ყრილობა

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს იხსნება ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოების სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად დასმულია წვრილი მრეწველობის აღწერის საკითხები.

ახალი საჰაერო მარშრუტი

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. საჰაერო საზოგადოება „უკრვოზდუხპუტ“-მა გადასწყვიტა შესცვალოს არსებული მოსკოვ-ბაქოს საჰაერო მარშრუტი შემდეგნაირათ: მოსკოვი-კრასნოდარი-სოხუმი - ქუთაისი-თბილისი— ბაქო. აღნიშნული მარშრუტის შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს კურორტების მუშაობისათვის.

საკავ. თათბირი საბჭოების გადარჩევის შესახებ

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. კრემლის სასახლეში ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი საბჭოების მომავალი გადარჩევის საკითხების შესახებ.

თათბირის ამოცანები

ამხ. კალინინის სიტყვა

ამხ. კალინინმა წინადადება მისცა დამსწრეთ, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ახლად გარდაცვალებულის სტეპანოვ-სკვორცოვის ხსოვნისათვის. შემდეგ მან სთქვა:

„ეს თათბირი მოწვეულია არა მარტო საბჭოთა კავშირის ცაკის ინიციატივით, არამედ პარტიის ცეკას ინიციატივითაც. თათბირი მარტო იმ მიზნით არ არის მოწვეული, რომ მომავალ საარჩევნო კამპანიისათვის დასახოს სწორი რევოლიუციონური, მარქსისტულად გამართული ხაზი, არამედ იმ მიზნითაც, რომ შევსძლოთ პრაქტიკულად გავატაროთ ეს ხაზი ადგილებზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ წარსულ საარჩევნო კამპანიაში ბევრ ადგილას პარტიის ხაზი სათანადო სისწორით არ ტარდებოდა და ცაკის ინსტრუქცია ზოგჯერ სწორად არ ესმოდათ. ეს, რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია: სწორი ხაზის დასახვა ცენტრში—ძნელი ამოცანაა, მაგრამ არა ნაკლებ ძნელია ამ ხაზის პრაქტიკულად გატარება. სწორედ ამაში მდგომარეობს რევოლიუციონური მარქსიზმის პრაქტიკულად გამოყენების სიძნელე. თუ ხაზი მხოლოდ მექანიკურად გამოვიყენეთ, შეიძლება მივიღოთ,— და ვღებულობთ კიდეც,—ისეთ შედეგებს, რომლებიც განზრახვას ეწინააღმდეგებიან. ხაზის პრაქტიკულად გამოყენების უნარი კი, არსებითად, რომ ვსთქვათ, ნამდვილი რევოლიუციონურ-მარქსისტული შემოქმედებაა. მარქსიზმს არა აქვს სქემა, შაბლონი, და თუ თქვენ რევოლიუციონურ-მარქსისტული ხაზი მარტო სქემისა და შაბლონის მიხედვით გამოიყენეთ, აუცილებლად თავს იჩენს ოპორტუნიზმი. რაში მდგომარეობს საკითხის გადაჭრის დედა-აზრი? იმაში, რომ შევძლოთ, საერთო ხაზის დაკავშირება კონკრეტულ პირობებთან, იმაში, რომ თვითეულ პოლიტიკურ მოღვაწეს, როდესაც ის რევოლიუც.-მარქსისტ. ხაზს ატარებს, ყოველთვის გათვალისწინებული ჰქონდეს კონკრეტული მდგომარეობა და ამ მდგომარეობის მიხედვით გაატაროს ეს ხაზი. ხოლო თუ მან ერთნაირად გაატარა ეს ხაზი ბაშკირეთშიაც და „ამო“-ს ქარხანაშიაც მოსკოვში, ალბად, აქაც და იქაც გადამახინჯება გამოვა.

ეს თათბირი სწორედ იმისათვის არის მოწვეული, რომ დაამყაროს ცენტრალურ ორგანოებსა და ადგილებს შორის ურთიერთობა, რათა ცეკას და ცაკის ხაზი უსიცოცხლო და შაბლონური არ გამოვიდეს, არამედ ცხოველ და აქტუალურ ხაზად დარჩეს. თათბირმა უნდა შეიმუშავოს მეთოდი და გააშუქოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შინაარსი, როგორიცაა გადარჩევის კამპანია, იმედი მაქვს, მომხსენებელთა და თათბირის მონაწილეთა საერთო ძალღონით შევსძლებთ დავსახოთ საარჩევნო კამპანიის ჩატარების სწორი ხაზი და გამოვარკვიოთ, თუ როგორ იმეღობინება გამოვიყენოთ ეს სწორი ხაზი კონკრეტულ შემთხვევებში არჩევნების დროს და ამასთანავე ვისარგებლოთ რევოლიუციონურ-მარქსისტული მეთოდით. თუ ეს ხაზი ჩვენ მაქსიმალურად სწორად გავატარეთ, ეჭვი არ მეპარება, რომ საარჩევნო კამპანია მოგვცემს ყველა იმ საჭირო პოლიტიკურ შედეგს, რომელსაც მისგან უნდა მოველოდეთ და მოველით კიდეც“. (ტაში).

დღის წესრიგი

თათბირი ამტკიცებს დღის წესრიგს, რომელშიაც სდგას ერთი საკითხი—საბჭოების გადარჩევის საკითხი. თათბირმა გადასწყვიტა, მოისმინოს ამ საკითხზე ორი მოხსენება—გადარჩევის კამპანიის პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანების შესახებ.

დიდი მოხსენება გადარჩევის კამპანიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ გააკეთა ამხ. კაგანოვიჩმა. მოხსენება გადარჩევის ორგანიზაციული მომზადების შესახებ გააკეთა ამხ. ენუქიძემ.

საორგანიზაციო სამზადისი საბჭოების გადარჩევისათვის

ამხ. ა. ენუქიძის სიტყვა

ამხ. ენუქიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საბჭოების გადარჩევის სწორი ორგანიზაცია არსებით როლს თამაშობს მომავალ კამპანიაში.

„საარჩევნო კამპანიის ძირითადი ამოცანა,—ამბობს ამხ. ენუქიძე,—იმაში მდგომარეობს, რომ ამ კამპანიაში ჩავაბათ მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა უფართოესი მასები. უკანასკნელ დროს სოფლად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. ეს აძლიერებს გადარჩევის მნიშვნელობას. გადარჩევის წარმატებით დამთავრებაზე დამოკიდებულია ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობა. 1926—27 წელს საბჭოების გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო 34 მილიონმა ამომრჩეველმა. ამით ხსენებულმა ამომრჩევლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოების მშენებლობაში. ჩვენი ამოცანა—საბჭოების გადარჩევის მომავალ კამპანიაში ჩავაბათ ახალი ფენები და გავაძლიეროთ ყველა საბჭოთა, პარტიული, საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციის მონაწილეობა ამ კამპანიაში“.

შემდეგ ამხ. ენუქიძე გადადის არჩევნების ორგანიზაციის კონკრეტულ ამოცანებზე და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო უბნების სწორი ორგანიზაციის საკითხს.

„კრებების ვადის სწორად შერჩევამ,—ამბობს ის,—საარჩევნო უბნების სწორად ჩამოყალიბებამ უნდა გააძლიეროს სოფ. მოსახლეობის აქტივობა. წარსულ არჩევნებზე მონაწილეობა მიიღონ სოფლის საარჩევნო ასაკის მოსახლეობის 47—48 პროცენტმა.

გადარჩევის სწორი ორგანიზაციის შედეგი პირობაა—ყველა ინსტრუქციისა და საარჩევნო კანონის ნათელი ახსნა-განმარტება. პრინციპიალური ხასიათის განმარტებათა გაცემა შეიძლება მხოლოდ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დასტურით. ყველა საკითხში, რომელიც დაკავშირებულია საარჩევნო კამპანიასთან, უნდა დავადგეთ მთლიან შეთანხმებულ პოლიტიკას. საარჩევნო კომისიების შემადგენლობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კომისიები უაღრესად მნიშვნელოვან მუშაობას ასრულებენ გადარჩევის ჩასატარებლად. როგორც საერთოდ საარჩევნო კომისიები, ისე ამ კომისიების წევრები მომზადებულნი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ სწორად ესმოდეთ საარჩევნო პოლიტიკა, ისინი დამოუკიდებლად უნდა ერკვეოდნენ კამპანიის საკითხებში და უფრო იშვიათად უნდა მიმართავდნენ ცნობებისათვის უმაღლეს ორგანოებს. ამ თათბირმა გადაჭრით უნდა სთქვას, რომ მომავალ საარჩევნო კამპანიაში (რომელიც, სხვათა შორის, განცალკევებული იქნება სხვა მასიური კამპანიებისაგან) უნდა ჩაებას ყველა ჩვენი ორგანიზაცია და უჯრედები. საარჩევნო კამპანიაში მათი მონაწილეობა იმით უნდა გამოიხატოს, რომ მათ სათანადო ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს. თუ ანგარიშგება საბჭოთა მუშაობის შესახებ სწორად იქნა დაყენებული, ეს 90 პროცენტით წინასწარ განსაზღვრავს მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში. როგორც პროფკავშირები, ისე სამეურნეო ორგანიზაციები და კოოპერაცია ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ საანგარიშო კამპანიაში. ამ კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო ს.პ.უ. სახკომმ, არამედ ისეთმა სახალხო კომისარიატებმაც, როგორიცაა, განათლების სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი და სხ. მშრომელთა ანგარიში უნდა ჩააბარონ აგრეთვე პროკურატურამ და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებმა. ამომრჩევლებს ანგარიშს ჩააბარებენ თვით ცენტრალური და საკავშირო მთავრობები, რომელნიც ადგილებზე გაგზავნიან სპეციალურ მუშაკებს მოხსენებების წასაკითხავად მთავრობის მუშაობის შესახებ. ამავე მიზნით გამოიცემა და ფართოდ გავრცელდება თვით ქვედა საფეხურის ორგანიზაციებშიაც კი დაბეჭდილი ანგარიში საკავშირო მთავრობის მუშაობის შესახებ.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს წითელმა არმიამ. საარჩევნო კამპანიაში უნდა ჩაბმულ იქნას სოფლის ინტელიგენციაც (მასწავლებლები, ექიმები აგრონომები და მიწისმზომელები).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საარჩევნო კამპანიაში როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პრესის მონაწილეობას. მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება აუხსნას ამომრჩეველთა ფართო მასებს მრავალი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია არჩევნებთან, აგრეთვე ის საკითხები, რომლებზედაც ზოგჯერ ძნელია სიტყვიერი პასუხი გაეცეს ადგილებზე მომუშავეებს. ასეთივე როლი უნდა ითამაშოს რადიომ.

კამპანიის გეგმა უნდა შემუშავდეს არა მარტო ცენტრში, არამედ ადგილებზედაც. ამ მუშაობაში ყველა საბჭომ უნდა მიიღოს მონაწილეობა. კამპანია უნდა გაიყოს მოსამზადებელ საანგარიშო და საარჩევნო პერიოდებად. არჩევნებისათვის სამზადისს დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ. როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ამ პერიოდის განმავლობაში, რამდენადაც შესაძლებელია, სხვა კამპანიები შეაჩერონ. ამ მხრივ ორგანიზაციებს შორის ცენტრში უკვე მიღწეულია შეთანხმება. საჭიროა, ასეთივე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ადგილებზედაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიების შედგენას. ამ სიების შედგენის დროს კანონების შეცდომები მოითხოვს განსაკუთრებულ და მოხერხებულ მიდგომას; საჭიროა ცოდნა ადგილობრივი პირობებისა, მდგომარეობისა, და სხვ. საჭიროა საკითხს მივუდგეთ არა ფორმალურად, რასაც ხშირად აქვს ადგილი, არამედ არსებითად. მეტად დაკვირვებულად. საერთო ამოცანაა, ვეცადოთ—ხელისუფლების ორგანოებში არ გაძვრენ კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები. ამ კანონის შეფარდების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირადი ან სხვა ანგარიშების გასწორებას. არის მაგალითები, როდესაც ბევრგან ამ კანონს იყენებენ ყველა ცოტაოდნად შეძლებული გლეხის წინააღმდეგ ან იმ გლეხის წინააღმდეგ, რომლის მეურნეობაც იზრდება. ამ მხრივ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე. ყურადღება უნდა მიექცეს არა იმას, რომ უსათუოდ გავადიდოთ საარჩევნო უფლებას მოკლებულთა პროცენტი. ეს არ შეადგენს ჩვენს ამოცანას. კანონის ამოცანაა, ამოსარჩევ ორგანოებში არ გავიდნენ კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები“.

ამხ. ენუქიძეს საჭიროდ მიაჩნია ფართოდ იქნას დაყენებული საანგარიშო კამპანია, რომელიც თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ უნდა ჩატარდეს. ამასთან საჭიროა აღინიშნოს არა მარტო ჩვენი დეფექტები, არამედ ჩვენი მიღწევებიც, რომლებსაც ხშირად საკმაოდ არ აშუქებენ ჩვენში. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ამომრჩევლების დავალებები საქმიანი შინაარსის იყოს.

დასასრულ, ამხ. ენუქიძე შეჩერდა საკითხზე იმ კანდიდატების შესახებ, რომელთაც საბჭოს წევრებად ასახელებენ. საჭიროა ამომრჩევლებს მიეცეთ ფართო შესაძლებლობა,—თვითონ წამოაყენონ კანდიდატები. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ აგრეთვე თავისუფლად და ფართოდ იმსჯელონ ყველა წამოყენებული კანდიდატურის შესახებ. უნდა გადასწყდეს საკითხი არჩევნების ნორმების შესახებ და აგრეთვე საკითხი,— რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს,— კენჭის ყრის შესახებ, იმის შესახებ, უბრალო ხმის უმრავლესობით გადასწყდეს საკითხი, თუ შედარებითი ხმის უმრავლესობით. ამხ. ენუქიძე წინადადებას იძლევა, ეს საკითხები ერთხელ კიდევ იქნას გულმოდგინედ განხილული მაღლობელ თათბირზე.

საბჭოებში მუშაობისათვის დაწინაურება უპარტიო აქტივისა როგორც გლეხებიდან, ისე მუშებიდან, განსაკუთრებით კი მუშა-ქალებიდან—ისეთი ძირითადი ამოცანაა, ქალთა აქტივი ძალიან შეუწყობს ხელს რესპუბლიკის მთელი ქალთა მოსახლეობის საერთო აქტივობის აწევას.

—:—

ამხ. ენუქიძის მოხსენების შემდეგ სხდომა შესწყდა.

9 ოქტომბერს საღამოს სხდომაზე კამათში ამხ. კაგანოვიჩისა და ენუქიძის მოხსენებებს გამო მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **იუსუპოვმა** (ბაქო), **რიკვინმა** (ცენტრ. საკონტროლო კომისია), **ხაცკევიჩმა** (ბელორუსია), **სედოვმა** (ტვერი) **არტიუხინამ** (საკ. კომპ. (ბ) ც. კ.) **სტოლგოვმა** (ბრიანსკი), და **ფიბატნერმა** (საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო). (ადს).

ღამის ცნობები

თურქეთ-ბულგარეთის მოლაპარაკება

ვენა, 10 ოქტომბერი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, ამ დღეებში ანგორაში დაიწყებ თურქეთ-ბულგარეთის მოლაპარაკება თავდაუსხმელობისა და არბიტრაჟის ხელშეკრულების დასადებად.

სამხრეთ-სლავიის სკუპშჩინის სესია

ვენა, 10 ოქტომბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-სლავიის სკუპშჩინის სესია გაიხსნება 12 ოქტომბერს. ზაგრების გლეხთა დემოკრატიული კოალიცია, რომელიც ბოიკოტს უცხადებს სკუპშჩინას, იმავე დროს იწვევს „სობორს“. ეს იგი იმ პარტიების დეპუტატების კრებას, რომლებიც შედიან ამ კოალიციაში.

კომუნალური არჩევნები პრუსიაში გადაიდო

ბერლინი, 9 ოქტომბერი. ბურჟუაზიული პარტიების უმრავლესობით კომუნისტებისა და აგრეთვე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ პრუსიის ლანდტაგმა დაადგინა: ამა წლის 2 დეკემბრისათვის დანიშნული კომუნალური არჩევნები გადაიდოს 1929 წლის 31 დეკემბრისათვის (ადს).

ლატვიის სეიმის შემადგენლობა

რიგა, 10 ოქტომბერი. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიღებულ საბოლოო ცნობების მიხედვით, ახალი სეიმის შემადგენლობა შემდეგია: მემარცხენე მუშებმა მიიღეს—7 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა—25, ბუნდელებმა—1, ოპინცანის ჯგუფმა (ლატგალის მუშურ-გლეხური პარტია)—1, მენშევიკებმა (ყოფილ პრემიერ სკუენეკის მეთაურობით, უკიდურესი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი)—2, მემარჯვენე სიონისტებმა—2, მემარცხენე სიონისტებმა—1, არქიეპისკოპოს იოანეს ჯგუფმა (უკიდურესი მემარჯვენე რუსული ჯგუფი)—2, ბერგის ფაშისტურმა ჯგუფმა—2 და სხვ.

ინგლისის კომპარტიის ყრილობის გადადება

ლონდონი, 10 ოქტომბერი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ დაადგინა მორიგი პარტყრილობის მოწვევა გადასდოს 1929 წლის იანვრამდე.

შვებულება ამხ. რუძუტაკს და ვოროშილოვს

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ შვებულება მისცა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. **რუძუტაკს** და საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო კომისარს ამხ. **ვოროშილოვს.**

თეთრგვარდიელთა ბანდის დაპატიმრება

კიევი, 10 ოქტომბერი. სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა 8 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი დენიკინის არმიის ყოფილი პოლკოვნიკის ვენგრჟანოვსკის მეთაურობით. ეს ჯგუფები 8 წლის განმავლობაში თავზარს სცემდა სოფელ კაპიტანოვკის გლეხებს. დენიკინის განადგურების შემდეგ ვენგრჟანოვსკი ორი წლის განმავლობაში ჯაშუშობდა თეთრების სასარგებლოდ. 1921 წელში ვენგრჟანოვსკიმ გადასწყვიტა აშკარად ემოქმედნა და ერთ მშვენიერ დღეს ყოფილ თეთრ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად გამოცხადდა სოფელ კაპიტანოვკაში. ამ ჯგუფმა მოახერხა ღარიბ გლეხობის განდევნა თავის ყოფილ აგარაკებიდან. მათ დაიმტკიცეს მთელი რიგი სამოსახლოები. აღნიშნულ კომპანიას აქტიური დახმარება აღმოუჩინეს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ კუდრიავცევმა და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრმა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ გორევიჩ-გარდიეტმა. ამ პირთა დახმარებით ყოფილმა მემამულეებმა დაარსეს ფიქტიური სადგილ-მამულო საზოგადოება, რომელშიაც შევიდნენ სამოსახლოების ყველა ყოფილი პატრონი, მათი ნათესავები და ის პირები, რომელნიც მანამდე ემიგრაციაში იმყოფებოდნენ.

კიევის საგუბერნიო სადგილ-მამულო განყოფილებამ, რომელიც ვერ გაერკვა რაში იყო საქმე, დაამტკიცა ამ ფიქტიური საზოგადოების წესდება. აღმოჩენილი დახმარებისთვის ვენგრჟანოვსკიმ დააჯილდოვა მიწით რაიაღმასკომის ზემოაღნიშნული წევრები. ღარიბი გლეხობა იძულებული შეიქნა დაედო ვენგრჟანოვსკისთან შემბოჭველი საიჯარო ხელშეკრულებანი საჭირო მიწის შესაძენად.

სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა ვენგრჟანოვსკი და სხვა დამნაშავეები და გამოააშკარავა ამ ვაჟბატონების რაინდული საქმეები.

მომთაბარეთა შორის მუშაობა

(საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილება)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ იმ დროიდან, რაც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტმა გასცა დირექტივები მომთაბარეთა და მეჯოგეთა შორის მუშაობის შესახებ, შემჩნეულია ყურადღების ერთგვარი გაძლიერება ამ საკითხისადმი პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრივ.

მაგრამ ამასთანავე საჭიროა ყურადღება მიექცეს მრავალ არსებით დეფექტს 1928 წ. საზაფხულო სამომთაბარეო სეზონის გატარების პრაქტიკაში.

1. 11 გამოკვლეულ მაზრაში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის დირექტივა ვერ იქნა თავის დროზე და საკმაოდ განხორციელებული პარტიული კომიტეტებისა და საბჭოთა ორგანოების ფრაქციათა მუშაობაში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის დირექტივა და ხელისუფლების ორგანოთა ღონისძიებანი საძოვრის ქირის გადიდებისა, მიწის იჯარის კანონისა და საქონლის საძოვრათ გაყვანის წესის შესახებ არ იქნა თავის დროზე განმარტებული მომთაბარეთა და მოსახლეობის შორის.

2. მომთაბარეთა კომიტეტები მოწყობილ იქნენ მხოლოდ აზერბეიჯანში, ისიც მათი მოწყობის დროს არ იყო დაცული აზერბეიჯანის ცაკის 1926 წ. 5 ივნისის ინსტრუქციები, რის გამოც წარსული სეზონის განმავლობაში კომიტეტებმა ვერ შესძლეს თავის მუშაობის საკმაოდ განვითარება.

3. მომთაბარეობისა და საძოვრების პრობლემა ვერ არის დაყენებული პრაქტიკული გადაჭრის გზაზე. კერძოდ, ჯერ კიდევ გადაუჭრელია დავა საძოვრების შესახებ, როგორც ამიერ-კავკ. რესპუბლიკებს შორის, ისე საბჭოთა რუსეთში შემავალ მეზობელ რესპუბლიკებთან.

ხშირი იყო დავა მომთაბარეთა და ადგილობრივ მოსახლეობის შორის ნათეს მინდვრების წახდენის ნიადაგზე, რაც გამოწვეული იყო გზებისა და მომთაბარეთა ბინების ცუდი მდგომარეობით და აგრეთვე იმით, რომ იმ გზების დაცვის საქმე, რომლებითაც სწარმოებს მომთაბარეთა მოძრაობა ცუდად არის დაყენებული.

4. საკმაო კონტროლი არ ეწეოდა საძოვრების განაწილებას, რის გამოც ზოგჯერ ადგილი ჰქონდა კლასობრივი პრინციპის გამრუდებას—კულაკური ელემენტების მიერ საძოვრების ხელში ჩაგდების და იჯარით გაცემის შემთხვევებს.

5. არ სწარმოებდა მომთაბარეობის საზაფხულო სეზონის შედეგების შესწავლა.

არ არის დამუშავებული საზამთრო სეზონის გატარების გეგმები.

6. არ არის შესრულებული საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის დირექტივა მომთაბარეთა შორის საბჭოთა მუშაობის წარმოების ფორმებისა და მეთოდების შესახებ როგორც იმ ადგილებში, საიდანაც მოდიან მომთაბარეები, ისე სამომთაბარეო ადგილების ტერიტორიაზე, რის გამოც საბჭოთა ორგანოების მუშაობა მომთაბარეთა შორის არ მიმდინარეობდა შეთანხმებულად.

7. სამკურნალო და საბეითლო დახმარება საზაფხულო საძოვრებზე არ იყო დაყენებული საკმაო დონეზე. ზოგ ადგილას მიუტევებელ უყურადღებობას იჩენდნენ სამკურნალო დახმარების საქმისადმი.

8. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ვერ შესძლო საკმაოდ განევითარებია მუშაობა წვრილ მეცხვარეებისა და მეჯოგეების კოოპერაციაში შეკავშირებისა და მათ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში.

არ არის შეთანხმებული ცალკე კოოპერატიულ ორგანიზაციათა მოქმედება პროდუქტების მომარაგებისა და დამზადების დარგში.

მერძევეთა ახალი ნადებისა და ახალ კოლმეურნეობათა [illegible] ბრკოლდება იმის გამო, რომ სუსტად არის დაყენებული მათთვის საწარმოო საშუალებათა მიწოდების საქმე.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც მომქმედი ნადი დაშლილა იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ვერ უწევდა მას სათანადო ხელმძღვანელობას.

9. მომთაბარეები ვერ არიან საკმაოდ ჩაბმულნი სამომხმარებლო კოოპერაციაში, კერძოდ, სამომხმარებლო კოოპერაციის [illegible] არ იყო მოძრავი დუქნების მოწყობა მომთაბარეთათვის პირველი საჭიროების ნივთების მიყიდებისა და მათი პროდუქციის შესასყიდათ.

სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრის მუშაობა მომთაბარეთა საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში არ იყო შეთანხმებული (ზოგჯერ მომთაბარეს აიძულებდენ მეორედ შესულიყო კოოპერაციის წევრად) არ სწარმოებდა გეგმიანი მომზადება საზაფხულო სამომთაბარეო სეზონისათვის.

10. მიწისა და ტყის მუშაკთა რესპუბლიკანური კავშირი არ აწარმოებდნენ გეგმიან მუშაობას მუშაობის საწარმოებლად საძოვრებზე (1928 წ. ზაფხულში), რის გამოც არავითარი მუშაობა არ წარმოებულა მოჯამაგირეთა შორის.

11. ადგილებზე არ არის შესრულებული საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში.

12. პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა არ შეასრულეს საოლქო კომიტეტის დირექტივა მომთაბარეთა შორის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დამუშავების შესახებ, რის გამოც მოუმზადებლად შეხვდნენ მომთაბარეობის საზაფხულო სეზონის ჩატარებას.

აღნიშნულ დეფექტების თავიდან ასაცილებლად და მომთაბარეთა შორის მუშაობის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად მომავალში, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს:

1. ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციებს — მეტი ყურადღება მიაქციონ მომთაბარეთა და მეჯოგეთა შორის მუშაობის ხელმძღვანელობას საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის 1928 წ. 5 მაისის მოცემულ დირექტივების საფუძველზე.

კერძოთ ამიერ-კავკ. ცაკის ფრაქციამ:

ა) გამოიმუშავოს სათანადო დებულება და ინსტრუქცია მომთაბარეთა შორის მომუშავე კომიტეტების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე განსაზღვროს მათი მუშაობის ურთიერთდაკავშირების ფორმები ცალკე რესპუბლიკებს შორის. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქონლის სავალი გზებისა, მომთაბარეთა ბინებისა და დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეს.

ბ) გამოიმუშავოს მომთაბარეების მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ეკონომიურ ღონისძიებათა გეგმა და წარუდგინოს ის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს.

გ) ერთი თვის ვადაში შეიმუშავოს ღონისძიებანი საძოვრების გარშემო აღძრულ დავის მოსაგვარებლად ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის.

დ) მოაწყოს მომთაბარეთათვის სამკურნალო და საბეითლო დახმარება სათანადო რესპუბლიკანურ ორგანოების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ე) გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა, რათა ადგილი აღარ ჰქონდეს იჯარის და მომთაბარეთა უკანონო დაბეგვრის შემთხვევებს.

2. რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს და „ზაკხლოპ“-ის ფრაქციას შეათანხმონ სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობა მომთაბარეთა შორის, კერძოთ ადგილი არ ექნეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომთაბარეებს აიძულებენ მეორედ ჩაეწერონ კოოპერაციის წევრად.

3. რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს—ა) გაძლიერებული ხელმძღვანელობა გაუწიონ მეჯოგეთა-მეცხვარეების არსებულ საზოგადოებების მუშაობას და აწარმოონ იგი კოოპერაციაში მაქსიმალურად გაერთიანების ხაზით (არტელების, კოლექტიურ მეურნეობათა და სხვ. ორგანიზაცია).

ბ) ვინაიდან მიწისა და ტყის მუშაკთა კავშირის მუშაობა მოჯამაგირეების საჭიროებათა დაკმაყოფილების დარგში ჯერ კიდევ მოისუსტებს—შემოწმებულ იქნეს მიწისა და ტყის მუშაკთა რესპუბლიკანური კავშირების მუშაობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენადაა გატარებული მათ მიერ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივები.

გ) მიღებულ იქნეს ზომები მეჯოგეებისათვის ზოოტექნიკური დახმარების გასაუმჯობესებლად და ისეთ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გასატარებლად, რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ მეჯოგეთა მეურნეობის ეკონომიკას, კულტურობას.

დ) შეტანილ იქნეს მეტი გეგმიანობა სამომთაბარო (საზაფხულო და საზამთრო) პროპაგანდისტ-მოსამზადებელ მუშაობაში როგორც პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ, ისე სხვა ორგანიზაციების ხაზით. კერძოთ შეჯამებულ იქნეს 1928 წლის საზაფხულო სამომთაბარო სეზონის ჩატარების პრაქტიკა და შედგენილ იქნეს სამუშაო გეგმები საზამთრო მომთაბარეობის ჩასატარებლად.

4. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას—შეიმუშავოს მომთაბარეთა შორის პარტიულ-განმანათლებელ მუშაობის ფორმები და მეთოდები.

5. ვინაიდან მიმდინარე წელს მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება პირველად შეეცადა გაეჩაღებია მუშაობა მომთაბარე ქალთა შორის საძოვრებზე—მოსმენილ იქნეს სამდივნოს სხდომებზე მოხსენება ამ მუშაობის შედეგების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

შევასრულოთ პლენუმის დირექტივა

3.000 დაზგის მუშა პარტიის რიგებს

ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომებს და უჯრედებს

თბილისის კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის დირექტივის თანახმად უახლოეს 2 წელში პარტია უნდა გაძლიერებულ იქნას 3.000 დაზგის მუშით.

ამ დირექტივის შესასრულებლად ზრდის ტემპი საშუალოდ უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 120 კაცისა თვეში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პარტიაში მუშების მიღება უკანასკნელ დროს თვალსაჩინოდ შემცირდა. მაგალითად, თუ თებერვალში და მარტში საშუალოდ მიღებული იყო 110-დან 130-მდე კაცი თვეში, აპრილში მიღებულია 93, მაისში 65, ივნისში 84, ივლისში 6 და აგვისტოში 39 კაცი.

ეს მოვლენა აშკარად გვიჩვენებს, რომ სუსტია თბილ. ორგანიზაც. უჯრედების მასიური მუშაობა დაზგის მუშების ახალ კადრთა პარტიაში მიღების დარგში, რის გამოც ფერხდება ორგანიზაციის ზრდა და არ სრულდება დასახული გეგმა.

თბილისის კომიტეტი მიაქცევს თბილისის ორგანიზაციების რაიკომებისა და უჯრედების მთავარ ყურადღებას პარტიის ზრდის საკითხისადმი და წინადადებას აძლევს მათ გააძლიერონ მასიური მუშაობა პარტიაში წარმოების მუშათა ჩაბმის ტემპის გასაძლიერებლად, რათა უზრუნველჰყონ ხელმძღვანელ პარტორგანოებისა და თბილისის კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება.

თბილისის კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ამ საკითხს და ამასთანავე მიუთითებს, რომ ამ დირექტივის შესრულება კამპანიის ხასიათს არ უნდა ატარებდეს. რაიკომებმა და უჯრედებმა სისტემატიურად უნდა შეისწავლონ უპარტიო მუშათა აქტივი, აწარმოონ მასთან პოლიტიკურ - განმანათლებელი მუშაობა, ჩააბან იგი საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. მათ უნდა მოახდინონ ყველა ძალის მობილიზაცია იმისათვის, რომ უფრო ჩქარ და გეგმაშეწყობილი ტემპით ჩააბან პარტიის რიგებში დაზგის მუშები. კერძოდ ამ მიზნისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას მე-6 კონგრესის შედეგების დამუშავების კამპანია.

მხოლოდ მედგარი და ენერგიული მუშაობით შესძლებს თბილისის ორგანიზაცია შეასრულოს თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებანი ჩვენი ორგანიზაციის რიგებში დაზგის მუშათა ახალი კადრების ჩაბმის შესახებ.

თბილისის კომიტეტის მდივანი
სუხიშვილი.
საორგანიზაციო განმანაწ. განყოფ. გამგე
შოგირაძე.

ლენრაიკომის პლენუმზე

8 ოქტომბერს შესდგა ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების ბიუროების წევრთა მონაწილეობით.

პლენუმმა მოისმინა ამხ. **გ. გუდავაძის** მოხსენება უჯრედების ბიუროების მომავალ გადარჩევის შესახებ.

„გადარჩევის დროს,—ამბობს მომხსენებელი,—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობას.

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა ჩაითვალოს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, ეს არის მასიური მუშაობის გაძლიერება და გაუმჯობესება წარმოებაში. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ფართო მასები აქტიური მონაწილეობას იღებდნენ პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებათა გატარებაში ადგილებზე.

გარდა ამისა საჭიროა შემოწმება იმისა, თუ რამდენად სწორად ახორციელებენ ადგილებზე თვითკრიტიკის ლოზუნგს.

უნდა მივიღოთ ზომები შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

არჩევნები ისე უნდა იქნეს ჩატარებული, რომ მოგვცეს პარტიის ზრდის ნათელი სურათი.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეს, ვინაიდან ამ მხრივ ბევრი დეფექტებია შემჩნეული.

არჩევნების კამპანიის ჩატარების დროს, საჭიროა განტვირთოთ ზედმეტად დატვირთული პარტიული აქტივი და პარტიის რიგის წევრთა ფართო მასები ჩავაბათ პრაქტიკულ მუშაობაში.

საარჩევნო კამპანია რაიონში დაიწყება 25 ოქტომბერს და უნდა დამთავრდეს 10 ნოემბრისათვის.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **გიორგაძის** მოხსენება პარტგანათლების ქსელის გაფართოების შედეგების შესახებ.

„წელს—სთქვა ამხ. გიორგაძემ,— პარტგანათლება ეწყობა ისევ ნებაყოფლობით პრინციპზე, მაგრამ საჭიროა ამ პრინციპების ფართო განმარტება, რადგან ადგილებზე ის ხშირად დამახინჯებულად ესმით.

რაიონში უკვე დამთავრდა პირველი საფეხურის პოლიტსკოლებისა და საბჭოთა და პარტიულ საღამოს სკოლების გახსნა.

პარტიული საგანმანათლებლო მუშაობა ტარდება აგრეთვე კომკავშირელთა შორის.

სკოლების სამოსწავლო წიგნებით, სახელმძღვანელოებით და ბინებით უზრუნველყოფის საკითხი მოგვარებულია.

სერიოზულადაა დაყენებული სადელეგატო კრებებთან მეცადინეობის საქმე. მხოლოდ საჭიროა ახლავე ავამოძრავოთ ადგილებზე ფართო პარტიული მასის ყურადღება ამ საკითხის გარშემო.

სულ რაიონში იხსნება 24 პოლიტსკოლა, 6 ლენინური წრე, 8 საგნობრივი წრე, 11 მიმდინარე პოლიტიკის წრე, 2 საბჭ. პარტსკოლა და სხვა.

სულ რაიონში იხსნება 77 სამოსწავლო ერთეული, რომელშიც ჩაბმული იქნება 2752 კაცი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა ამხანაგებმა. ორატორები აღნიშნავდნენ პარტგანათლების დარგში შემჩნეულ დეფექტებს.

იმ პრაქტიკულ წინადადებებში, რომლებიც პლენუმმა მოხსენების გამო მიიღო, ნათქვამია:

„პარტგანათლების მოსამზადებელი და საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდეს 25 ოქტომბრისათვის.

სერიოზული ყურადღება მიექცეს ხელმძღვანელთა შერჩევას.

შემოღებულ იქნეს მამასახლისთა და აგიტპროპ. ორგანიზატორთა პერიოდული თათბირების მოწვევა და სხვ.“.

კომკავშირში

საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მოწოდება.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. სრ. საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკამ მიმართა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ყველა კომკავშირელს მოწოდებით—მიიღონ აქტიური მონაწილეობა ლითონის ნაკლებობის წინააღმდეგ ბრძოლაში: რკინისა და თუჯის ნატეხების შეგროვებაში. საკავშირო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საჭიროდ დაინახა 200.000 ტონის ნატეხის შეგროვება, რომელიც ლითონის მრეწველობას აკლდება. ამ ამოცანის შესრულება პირველ რიგში კომკავშირს ევალება. ახალგაზრდა მუშებმა უნდა მოაწყონ რაზმები უვარგისი დაზგების მანქანების, რკინის კოჭებისა და თუჯის ზოდების შესაგროვებლად. ყოველ სამქროში, ყოველ სახლში უნდა მოეწყოს ყუთი ნატეხების შესაგროვებლად.

„თქვენი მუშაობის პასუხი იქნება,—ნათქვამია ც. კ-ს მოწოდებაში,—ახალი რელსები, ახალი საქარხნო კორპუსები, ახალი მანქანები და დაზგები“. (ადს).

მუშაობა შესუსტდა

ხიდისთავის თემში გასულ წლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა. მიმდინარე წელს კი უნდა ითქვას, რომ მუშაობის ტემპი ძლიერ შესუსტდა, არ სჩანს არავითარი ახალი წამოწყება, წრეების საქმიანობაც შეწყდა.

კომკავშირის თემკომს ჰყავს ჯამაგირიანი მდივანი, მაგრამ ეს უკანასკნელი ძლიერ სუსტია და თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებს.

პიონერთა ორგანიზაცია ჩვენს თემში სრულიად მივიწყებულია.

1926 წელში აქ კომკავშირის წევრებში ვრცელდებოდა 150 ცალი გაზეთი, ეხლა ერთი ცალიც აღარ ვრცელდება.

საჭიროა ამ მდგომარეობას დროზე მიაქციოს ყურადღება კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა.

ი. რუხპირელი.

პურის დამზადება

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. ოქტომბრის პირველ ხუთდღეულში „სოიუზხლებ“-ის მიერ, ორივე სახის კოოპერაციის მონაწილეობით, დამზადებულ იქნა 196.120 ტონი პურეული, ფურაჟი და ზეთის თესლეული. სექტემბრის უკანასკნელ ხუთდღეულში კი დამზადდა 201.200 ტონი. (ადს)

აეროპლანის ავარია

ნოვოროსიისკი, 10 ოქტომბერი. გერმანულმა აეროპლანმა, რომელიც ანაპიდან გამოფრინდა, ნოვოროსიისკის მახლობლად ავარია განიცადა. აეროპლანი დაიმსხვრა. მფრინავები ვინტერფელდი და ვიხლერი უვნებლად გადარჩნენ.

ვინტერფელდი და ვიხლერი ნოვოროსიისკში ჩამოვიდნენ. ისინი ჯანსაღად არიან. როგორც მათ განაცხადეს, ანაპიდან 9 ოქტომბერს გამოფრინდნენ. მოტორი მშვენივრად მუშაობდა 30 წუთის შემდეგ პროპელერს მოსტყდა ერთი ნაწილი. ამის გამო მოტორმა ცუდად დაიწყო მუშაობა და მფრინავები შეეცადნენ დაშვებულიყვნენ მთებში, პატარა მოედანზე. დაშვების დროს აეროპლანის ფრთა ხეს მოედო და აეროპლანი დაიმსხვრა. მფრინავებს უნდათ ნოვოროსიისკიდან გერმანიაში გაემგზავრონ და დამსხვრეული აეროპლანი თან წაიღონ (ადს).

პარტმუშაობის ახალი მეთოდები წარმოებებში

(წერილი მოსკოვიდან)

1928-29 სამეურნეო წელში, როგორც ვიცით, მრეწველობის მშენებლობაში ორი მილიარდი მანეთი უნდა დაიბანდოს.

ახალ სამეურნეო წელთან დაკავშირებით პარტორგანიზაციები სამეურნეო საკითხებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებენ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს უპარტიო მასა სამეურნეო ღონისძიებათა რეალიზაციისათვის, როგორ უნდა ჩავაბათ პარტიული მასა საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად და სხვათა საკითხების გადასაწყვეტად? აი ის საკითხები, რომელთა პრაქტიკულად დამუშავება-გატარებაზე ზრუნავენ დღეს მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა სამრეწველო რაიონის პარტიული ორგანიზაციები. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია ძირეულ პარტორგანიზაციის მუშაობის მეთოდების სწორად დაყენებაზე.

მთელი რიგი აქტიურად მომუშავე პარტიული ამხანაგები, როგორც საუბარში, ისე თავიანთ წერილებში აყენებენ საკითხს მსხვილ საერთო საქარხნო უჯრედების უფლებათა გაფართოების შესახებ. ისმება საკითხი სამეურნეო ცხოვრებაში საცეხო უჯრედებისა და რგოლორგების (звенорганизаторы) როლის გაძლიერების შესახებ.

საქარხნო პარტიულ ორგანოების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სამეურნეო კოლექტივში პარტიის წევრთა ზრდასთან ერთად, იზრდება საცეხო უჯრედები და მასიური ორგანიზაციები. ამავე დროს კოლექტივის ორგანიზაციის სტრუქტურა ძველი რჩება. ეს ხელს უშლის პარტმუშაობის შემდეგ გაძლიერებას და პარტორგანიზაციის სერიოზულ მონაწილეობას საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში. ამიტომ მთელი რიგი პარტორგანიზაციების მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ბიუროკოლექტივებს მიენიჭოს რაიონული კომიტეტების უფლებები.

ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკ“-ის პარტიული მუშაკი მოგვითხრობს, რომ ამ ქარხნის ორგანიზაციები პარტკოლექტივის საერთო საქარხნო პარტიულ კრებიდან უკვე გადავიდა საქარხნო პარტიულ კონფერენციაზე. ამ ცდამ დადებითი შედეგი გამოიღო. მათვე წამოუყენებიათ საკითხი კოლექტივის სამდივნოს ჩამოყალიბების შესახებ მთელ რიგ მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად და, ამრიგად, ბიურო-კოლექტივების განსატვირთავად. „კრასნი ტრეუგოლნიკ“-ის ორგანიზაცია აყენებს საკითხს დიდ წარმოებებთან პარტიის დამოუკიდებელ საკონტროლო ორგანოების შექმნის შესახებ.

ცხადია, მსხვილ წარმოებათა კოლექტივების უფლებების საკითხთან ერთად განხილულ უნდა იქნას საკითხი საცეხო უჯრედების უფლებათა შესახებ. საკავშირო კომპარტიის ცეკამ, მოსკოვ. ნარვსკის რაიკომის (ლენინგრადი) მოხსენების გამო, დაავალა ცეკას საორგანიზ. განყოფ. და რაიკომს, რათა მათ დაამუშაონ საკითხი მსხვილ წარმოებათა საცეხო უჯრედებისათვის საწესდებო უფლებათა მინიჭების შესახებ. რაიკომმა ამ საკითხის შესახებ გამოიტანა მთელი რიგი გადაწყვეტილება. ამ დადგენილებით: პარტიაში მიღება და პარტიულ დისციპლინის დარღვევათა საკითხების განხილვა ევალება საცეხო უჯრედს, ბიურო-კოლექტივმა და სათანადო საკონტროლო კომისიამ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ საერთო თვალყური უნდა ადევნონ საცეხო უჯრედის ამ მუშაობას. რაიკომმა აგრეთვე საჭიროდ სცნო, დელეგატების არჩევნები საერთო საქარხნო და სარაიონო კონფერენციაზე გადაეცეს საცეხო უჯრედებს. მოკლედ, საცეხო უჯრედების წინაშე სდგას იგივე ამოცანები, რაც წინად იდგა კოლექტივების წინაშე.

რა თქმა უნდა, საცეხო უჯრედების უფლებათა გაფართოების შემდეგ ისმება საკითხი უჯრედის ბიუროს დასახმარებლად ცეხში ორგმუშაობისა და აგიტპროპმუშაობისათვის მუდმივ კომისიებისა და თათბირების შექმნის შესახებ. ემყარებიან რა ამ მოსაზრებას, ზოგიერთები აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ რგოლებს (**звенья**) უნდა მიენიჭოს უჯრედების უფლებებიო. ასეთი წინადადება, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

ეს უკვე ნიშნავს რგოლის, როგორც ძირეულ პარტორგანიზაციის დაკანონებას ძველი უჯრედის სისტემის ნაცვლად. საკითხი კი ასე სრულიადაც არ სდგას. ამგვარი ცვლილება შეიტანს არევ-დარევას პარტორგანიზაციების მწყობრ და უკვე ნაცად სისტემაში. ძირეულ პარტიულ ორგანიზაციად მსხვილ წამოწყებებში რჩება საცეხო უჯრედი.

ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციების მუშაობის მეთოდების შეცვლასთან დაკავშირებით ისმება საკითხი საცეხო პროფორგანოებზე ბიუროკრატიულ ხელმძღვანელობის მოსპობის შესახებ. დღეს ასე ხდება, მთელ რიგ შემთხვევებში საცეხო პროფრწმუნებულებს, საცეხო ქვე-კომისიებს და საწევრო გადასახადის ამკრეფლებს ამტკიცებენ საქარხნო კომიტეტები. საცეხო პროფორგანოების როლი უმთავრესად განისაზღვრება საქარხნო კომიტეტების განკარგულებათა შესრულებით. ამგვარ წვრილმან ოპეკუნობას ბოლო უნდა მოეღოს.

აქვე აღსანიშნავია საკითხი წარმოებებში პარტიულ აქტივის გამოყოფის შესახებ. ზოგი ამხანაგი სამართლიანად აღნიშნავს თავის წერილში, რომ აქამდის ქარხნის დირექტორის შერჩევას უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა, ვიდრე კოლექტივის მდივნის შერჩევასო. რადგან პარტმუშაობა წარმოებაში თანდათან რთულდება, ამიტომ საჭიროა პარტიულ-პოლიტიკურ სამუშაოზე უფრო მომზადებული და გამოცდილი მომუშავის წამოყენება, რითაც წარმოებების პარტორგანიზაციები შესძლებენ ყველა იმ ამოცანათა მეტი სისწორით გადაწყვეტას, რომლებიც ისმება მათი მეურნეობის წინაშე საერთო ამოცანებთან დაკავშირებით.

სევ. მინდაძე.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი.

საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა წყალთა მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრები. საგეგმო კომისის წყალთა სექციის თავმჯდომარემ მოიყვანა ცნობა ირიგაციის განვითარების შესახებ შუა აზიასა და ამიერ-კავკასიაში. მოსალოდნელი მოგება ბამბის სათესად გამოსადეგი სარწყავი მიწისა, საკავშირო საგეგმო კომისიის წყალთა სექციის ვარაუდით, შეადგენს 30.000 ჰექტარს წვრილი მშენებლობისთვის და 26.000 ჰექტარს—მსხვილი მშენებლობისთვის.

ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იქნება 28 მილიონი მანეთი. განზრახულია ბამბის დასათესად მიწის სივრცის გადიდება 70.000 ჰექტარით. ამრიგად, 1928—29 წ. ირიგაციამ საბჭოთა კავშირს უნდა მისცეს 126000 ჰექტარი, ბამბის დასათესად გამოსადეგი მიწა. გათვალისწინებული 28 მილიონი მანეთიდან 15180000 მ. გადაიდება მსხვილი მშენებლობისათვის, 3.170.000 მან.—წვრილი მშენებლობისათვის, 6.756.000 მან. ნიადაგის გამოსარკვლევად, პროექტების შესადგენად და სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის, 1.394.000—საადმინისტრაციო - სამეურნეო ხარჯებისათვის.

ამ თანხებიდან უზბეკისტანის რესპუბლიკამ უნდა მიიღოს 7.605.000 მან. თურქმენისტანის რესპუბლიკამ — 2.200.000 მანეთი, კაზაკსტანმა — 1.745.000 მანეთი, ყირგიზთა რესპუბლიკამ—1.104.000 მან., თაჯიკისტანმა—2.101.000 მან. ყველაზე დიდი თანხა—12.100.000 მან. მიეცემა შუა აზიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მსხვილი მშენებლობისთვის გადადებული თანხის თითქმის ნახევარი (7.200.000 მანეთი 15.100.000 მანეთიდან). და სამი მეოთხედი იმ თანხებისა, რომელიც გადაიდება კვლევა - ძიებისა და პროექტების შესადგენად (4.500.000 მანეთი 6.005.000 მანეთიდან) ყველაზე მეტ თანხას წვრილი მშენებლობისათვის მიიღებენ თაჯიკისტანი—780.000 მან. და უზბეკისტანი—1.000.000 მან. დოტაციას საექსპლოატაციო მუშაობისათვის 500.000 მან. რაოდენობით მიიღებს მხოლოდ თაჯიკისტანი. ყველა სხვა რესპუბლიკამ საექსპლოატაციო მუშაობა უნდა აწარმოოს წყალთა გამოსაღების სახით შემოსული თანხებიდან.

ამიერ-კავკასიისათვის წყალთა სექციას განზრახული აქვს გადასდოს 1928—29 წელს 12 მილიონი მანეთი, აქედან 2.100.000 მან—წვრილი მშენებლობისათვის, 6.200.000 მან. მსხვილ მშენებლობისათვის 3 მილიონი მანეთამდე საგამოკვლეო მუშაობისათვის, პროექტების შესადგენად და სამეცნიერო ძიებისათვის და 750.000 მან.—სამმართველოს შესანახად.

კამათში გამოსულმა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან წყალთა სექციის ზოგიერთ განზრახვას.

საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საკავშირო საგეგმო კომისიას არ მოეპოვება საირიგაციო გეგმის დაწვრილებითი პროექტი. შეუძლებელია ამჟამად ასიგნობების დეტალურად განაწილება როგორც რესპუბლიკების, ისე დანიშნულების მიხედვით. ამიტომ საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის ირიგაციისათვის პირობითად გადასდო 40 მილიონი მანეთი იმ ანგარიშით, რომ ამ თანხის დეტალური განაწილება მომავალში მოხდება. (ადს).

მოსკოვის მუშების დელეგაცია ხარკოვში

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. მოსკოვის პროფკავშირები შეუდგნენ დელეგაციის არჩევას, რომელიც ხარკოვში გაემგზავრება ოქტომბრის დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად. დელეგაციაში 350 კაცი შევა. როგორც ვიცით, ამას წინად ხარკოველი მუშები მოსკოვს ეწვივნენ. მოსკოველი მუშების გამგზავრება პასუხი იქნება ხარკოვის პროლეტარიატის ამ სტუმრობისა (ადს).

სტუდენტთა კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფის პროცესი

დონის როსტოვი, 10 ოქტომბერი. 9 ოქტომბერს, საღამოთი დამთავრდა ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფის საქმე. ჯგუფის მთავარ ორგანიზატორს და იდეურ ხელმძღვანელს სინდოროვსკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, გავრილენკოს და სავჩენკოს—ორ-ორი წლით, ილინს 1 წლით და 4 თვით. რვა კაცს მიესაჯა პირობითი სასჯელი სხვადასხვა ვადით. რამდენიმე კაცმა მიიღო საზოგადოებრივი გაკიცხვა. ბრალდებულთა ნაწილი გაანთავისუფლეს (ადს).

აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის ხელფასის გადიდება

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო გადიდებულ იქნეს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების და ინდუსტრიალურ ტექნიკუმების პედაგოგიური შემადგენლობის ხელფასი საშუალოდ 30 პროცენტით. სხვა უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების მასწავლებელთა ხელფასი 15 პროცენტით. აღნიშნული მომატება უნდა გატარდეს 1928—29 წლის ხარჯთ-აღრიცხვით. აზერბეიჯანისათვის მომატება შეადგენს 410.507 მანეთს, საქართველოსთვის 1.160.752 მანეთს და სომხეთისათვის 142.173 მანეთს.

ამასთანავე ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო - ეკონომიურ განყოფილებას წინადადება მიეცა დამატებით გამოიანგარიშოს კონსერვატორიების, საქართველოს სამხატვრო აკადემიის, მთიან ყარაბახის და ნახიჩევანის ტექნიკუმების მასწავლებლების ხელფასის გასადიდებლად საჭირო თანხები.

„სოფლის კავშირი“-ს ინსტრუქტორთა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირი

სას.-სამ. საკრედიტო ქსელის მდგომარეობა საქართველოში

9—10 ოქტომბრის დილისა და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა მოხსენება სას.-სამ. საკრედიტო ქსელის მდგომარეობის შესახებ ადგილებზე. მოხსენებები გააკეთეს ქუთაისის, ყოფილ სიღნაღის, ყოფ. თელავის, თბილისის; სენაკის; ზუგდიდის მაზრების საკრედიტო ქსელის ინსტრუქტორებმა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორებმა. მათ მიერ მოწოდებული ცნობები ახასიათებენ სას.-სამ. საკრედიტო ქსელის მდგომარეობას 1928 წ. 1-ლი ივლისისათვის.

ქუთაისის მაზრა

მომხსენებელი ამხ. სეფერთელაძე.

1928 წლის 1-ლი ივლისისათვის ქუთაისის მაზრაში არსებობდა 15 სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა და ერთი სას.-სამ. ამხანაგობა, რომელთაც შეკავშირებული ჰყავდათ 13.489 წევრი, ანუ მთელი მოსახლეობის 30,9 პროცენტი. აქედან ღარიბები შეადგენდენ 9.780 (72 პროც.), საშუალო შეძლების გლეხობა—2.750 (20,5 პროც.) შეძლებულები—944 (7 პროც.) საპაიო თანხა უდრიდა 106030. თითეულ წევრზე მოდიოდა 8 მან. 22 კაპ. (1927 წლის 1-ლ ოქტომბრიდან გადიდებულია 41 პროცენტით). საკუთარ საშუალებათა ჯამი შეადგენდა 202.745 მანეთს (ბალანსის 10,8 პროცენტს).

ამხ.-თა გამგეობები შესდგება 32 წევრისაგან. მათში ღარიბი გლეხია 35, საშუალო 17.

გლეხობაზე გაცემული სესხი 1-ლი ივლისისათვის შეადგენდა 437.897, აქედან ვადა გადიდებული იყო 74.313 (16,9 პროც.) სპეც. ფონდის შესაქმნელად ჩატარებული კამპანიით შეგროვილ იქნა 23.838 მანეთი.

მთლიანად საკუთარ საშუალებათა და საპაიო თანხის ჯამი უდრიდა 178.246 მან. მოზიდული საშუალებები ამავე დროისათვის შეადგენდნენ 1.545.282 მან. ამგვარად ერთ საკუთარ მანეთზე მოდიოდა ნასესხი 8 მან. 66 კაპ. მოზიდული თანხა შეადგენს საერთო ბალანსის 89,6 პროცენტს, 1-ლ ივლისისთვის ამხანაგობებში შეტანილი ანაბარების ჯამი შეადგენდა სულ 21.012 მანეთს (ბალანსის 1,2 პროც.), აქედან გლეხებს ეკუთვნის 9.526 მანეთი. დაწესებულებებს 11.426 მან..

ამხანაგობების მიერ სესხით დაკმაყოფილებულია წევრთა 60,6 პროცენტი. თითო წევრზე მოდის საშუალოდ 53 მან. 60 კაპ. სესხი. ინდივიდუალურ მეურნეობაზე გაცემულია 411.720 მან. აქედან ღარიბებს მიღებული აქვთ სესხად 70.492 მ., კოლმეურნეობათ—22,077 მ., კოორგანიზაციებს —2.050 მანეთი საზ. ორგანიზაციებს —2.048 მან. ღარიბთა ფონდიდან გაცემულია 77.545 მან.

ამხანაგობათა საშუამავლო ოპერაციების მოძრაობა 1-ლ ივლისისათვის ასეთი იყო: გასაღებული იყო 947.442 მანეთის საქონელი, რაც საერთო ბრუნვის 17,2 პროცენტს წარმოადგენს. დამზადებულია 980.404 მანეთის სას.-სამ. პროდუქტები, ამავე დროისთვის გლეხობას მიწოდებული ქონდა 426.105 მანეთის სას.-სამ. იარაღები და მასალები, ანუ 65,9 პროცენტით მეტი 1927 წლის ოქტომბერთან შედარებით.

ამხანაგობათა მიერ გაწეულ ხარჯების ჯამი უდრის 147.267 მან. აქედან საკრედიტო ოპერაციებზე დახარჯულია 41.941 მან., სავაჭრო ოპერაციებზე 31.093 მან., წარმოებებზე—24.920 მან. აგრიკულტ. და კულტმუშაობაზე—3.678 მან. მართვა-გამგეობის შენახვაზე—43.396 მან. შემოსავალი უდრიდა—226.175 მ.. აქედან საკრედიტო ოპერაციებიდან შემოსულია 33,781 მანეთი, სავაჭრო აგრო-კულტოპერაციებიდან—145.908 მანეთი, აგრ-კულტმუშაობიდან—3.280 მანეთი, წარმოებებიდან—33.412 მანეთი. სხვა შემოსავალი 9.793 მან. მთლიანად შემოსავალი სჭარბობს გასავალს—78.108 მანეთით.

ყოფ. სიღნაღის მაზრა

მომხსენებელი ამხ. გოგიშვილი

ყოფ. სიღნაღის მაზრაში არსებობს 15 საკრედიტო ამხანაგობა. აქედან 5 მევენახეობა-მეღვინეობის რაიონში, 6 ხვნა-თესვის რაიონში, 4 მეთამბაქოების რაიონში. ამხანაგობა აერთიანებს სულ 16.529 მეურნეს ე.ი. მეურნეობის 53,7 პროცენტს. წევრთა 59 პროცენტს შეადგენენ ღარიბები, 36 პროცენტს საშუალო შეძლების გლეხობა და 5 პროც. შეძლებულები.

1-ლი ივლისისთვის აკრეფილი იყო 275.075 მანეთის საპაიო თანხა. ერთ წევრზე მოდიოდა 16 მან. 60 კაპ.

ძირითადი, საკუთარი თანხების ხვედრითი წონა ბალანსში უდრის 19,4 პროცენტს. ანაბარების ჯამი უდრის 39,366 მან. საშუალოდ თითეულ წევრზე მოდის 89 მან და 60 კაპ..

1-ლ ივლისისათვის ამხანაგობებს აღებული ქონდათ 875.400 მანეთის სესხი. აქედან გრძელვადიანი იყო 254.100 მან., მოკლევადიანი 611.300 მ. თავის მხრივ ამხანაგობებს გლეხობაზე გაცემული ჰქონდათ 230800 მ., გრძელვადიანი სესხი და 924.300 მ. მოკლევადიანი. სესხის ბრუნვას ბალანსში უჭირავს—47,9 პროც. საშუალოდ თვითეულ გლეხზე გაცემულია 69 მ. 90 კ. ორივე სესხის სახით ვადა გადაცილებული სესხი 1-ლ ივლისისათვის შეადგენდა 128.800 მან. ანუ მთელი სესხის 11,2 პროცენტს.

1-ლი ივლისისათვის ამხანაგობებს მომარაგებული ქონდათ 144.500 მანეთის. სას.-სამ მანქანები და მასალა. დამზადებული 786.800 მანეთის სას.-სამ. პროდუქტები. მომარაგება-გასაღებიდან დარჩათ მოგება 137.000 მან. საერთოდ ამხანაგობის მთელი შემოსავალი უდრიდა 268.900 მან. გასავალი 210.200 მანეთს.

ყოფ. თელავის მაზრა

მომხსენებელი ამხ. გონაშვილი

ყოფილ თელავის მაზრაში არსებობს 9 ამხანაგობა, რომელნიც აერთიანებენ 7.807 მეურნეს, ანუ მეურნეობათა 35,2 პროცენტს. ამხანაგობაში შეკავშირებულია ღარიბები 41 პროცენტი, საშუალო შეძლების—52 პროც. და შეძლებულნი 7 პროც. 1928 წ. 1-ლ ივლისისათვის ამხანაგობათა საპაიო თანხა უდრიდა 120.481 მანეთს, საშუალოდ თვითეულ გლეხზე მოდიოდა 15 მან. 40კაპ.. ძირითადი საკუთარი თანხა უდრიდა 29.393 მან. და ძირითადი ნასესხი თანხა 50.800 მან. ანაბარების ჯამი 274.520, საშუალოდ წევრზე მოდის 21 მ. 30 კ. ანაბარი. ანაბრების მეტი ნაწილი ეკუთვნის კოლმეურნეობათ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს (72 პროც.).

გაცემული სესხის რაოდენობა 1-ლ ივლისისათვის შეადგენდა 377.372 მან. აქედან ვადაგადაცილებული სესხის ნაშთი იყო 47.788 მან., რაც გაცემული სესხის 10 პროცენტს უდრის. გლეხობას კრედიტი ეძლეოდა უმთავრესად საქონლის სახით.

ამხანაგობებს მისაწოდებლათ მომარაგებული ქონდათ 1-ლ ივლისისათვის 323.527 მანეთის საქონელი, რაც მთელი რეალური ბრუნვის 32 პროცენტს შეადგენს. მიწოდებულ საქონელში პირველი ადგილი უჭირავს საწამლო მასალას (52,2 პროც.), იარაღ-მანქანებს (13,4 პროც.) და სხვა საქონელი 34,4 პროც.

საქონლის დამზადება გასაღების ოპერაცია შემდეგ სურათს იძლევა: 1-ლ ივლისისათვის მთელი გასაღებული საქონლის ჯამი შეადგენს 298.493 მან. პირველი ადგილი ამ საქონელს შორის უჭირავს ღვინოს (72,6 პროც.) სხვა საქონელს კი 27,4 პროც. წარსულ წელთან შედარებით დამზადება-გასაღების ოპერაციები გადიდებულია 70 პროცენტით. მიუხედავად საშუამავლო ოპერაციების ასეთი ზრდისა, დამზადება-გასაღების ოპერაციები მაინც მოისუსტებს, რადგანაც იგი არ აღემატება მთელ ამ რაიონის მოსავლიანობის 25-30 პროცენტს. ამხანაგობათა რეალური ბრუნვა ასეთია: გასული წლის ბრუნვა, როგორც საშუამავლო ოპერაციებისა, ისე საკრედიტო უდრიდა—900.000 მანეთს. 1927-28 წლის სამი კვარტალის ბრუნვა კი შეადგენს 1.100.000 მანეთს.

სენაკის მაზრა

მომხსენებელი ამხ. ცომაია

სენაკის მაზრაში არსებობს 7 სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა და ერთი მესაქონლეთა ამხანაგობა „მეჯოგე“, რომელნიც აერთიანებენ 6.137 მეურნეს, ანუ მაზრის მცხოვრებთა 21 პროცენტს. წევრთა 35 პროცენტს წარმოადგენენ ღარიბები. 35,3 პროც. საშუალო შეძლების გლეხები და 9,7 პროცენტს შეძლებულნი. უკანასკნელ წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გადიდებულია 40,4 პროცენტით. ამხანაგობათა გამგეობის შემადგენლობა დამაკმაყოფილებელი არ არის კოოპერატიული გამოცდილების თვალსაზრისით. სარევიზიო კომისიები სრულ პასიურობას იჩენენ. გამგეობის სისუსტით აიხსნება ამხანაგობის წევრთა უმოქმედობა და უდისციპლინობა. წევრთა მოზიდვა ამხანაგობაში სწარმოებს ძველი წესით: ამხანაგობის წევრათ ითვლება იგი, ვისაც სესხი აქვს გატანილი. წევრთა საერთო კრებები იშვიათად ტარდება. გამგეობები არ ზრუნავენ ღარიბთა ფონდის შექმნაზე და არც აქვთ ამის საშუალება, რადგან ამხანაგობის უმრავლესობამ საოპერაციო წელი ზარალით დაამთავრეს. ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა ასეთია: საპაიო თანხის რაოდენობა 1-ლ ივლისისათვის უდრიდა 38.461 მანეთს ე. თვითეულ წევრზე მოდიოდა 6 მან. 20 კაპ. ამხანაგობათა ძირითადი საკუთარი თანხა უდრიდა 5.700 მანეთს, ნასესხი თანხა 47.905 მან. სპეციალური—20.416 მან. საერთოდ ძირითადი თანხა შეიდივე ამხანაგობაში 1-ლ ივლისისათვის შეადგენდა 28.744 მან., ნასესხი კი 46.906 მან. ანაბარების მოძრაობა ამხანაგობებში შემდეგ სურათს იძლევა: ცალკე მეურნეთაგან შეტანილ ანაბართა ჯამი უდრის . 967 მანეთს, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ 2.261 მანეთს. 1927 წლის 1-ლ ოქტომბერთან შედარებით ანაბარების ჯამი 70 პროცენტით არის შემცირებული. რაც აიხსნება ერთი მხრივ შარშანდელი მოუსავლიანობით და მეორე მხრივ გამგეობების გულგრილობით ანაბარების შესაკრებ კამპანიებისადმი.

რაც შეეხება ამხანაგობათა საკრედიტო ოპერაციებს, 1-ლ ივლისისათვის მათ გლეხებზე გაცემული ქონიათ მოკლევადიანი სესხის სახით 100.460 მანეთი, ხოლო გრძელვადიანი სესხით—118.683 მანეთი. მოკლევადიანი სესხი მიუღია 2.209 მეურნეს, ხოლო გრძელვადიანი 1 488. საერთოდ,—მცირდება მოკლევადიანი სესხის რაოდენობა და მის ხარჯზე მატულობს გრძელვადიანი სესხი. მთელი გაცემულ სესხიდან ღარიბ გლეხობას მიუღია 62 პროც., დანარჩენ 38 პროც. მხოლოდ საშუალო შეძლების გლეხებს. გაცემული სესხი უმთავრესად ხმარდებოდა მუშა და მეწველ საქონლის შეძენას, შემდეგ გლეხურ მეურნეობის ძირითადი დარგების აღორძინებას,—ბაღ-ვენახების გაშენებას და სხვა.

მომარაგების ოპერაციები ამხანაგობებს ვერ აქვთ სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. შეიდივე ამხანაგობას მოუმარაგებიათ სულ 118.086 მანეთის საქონელი, აქედან გაუსაღებიათ მხოლოდ 71.6 პროცენტი. დანარჩენი კი საწყობებში უწყვიათ. დამზადება-გასაღების საქმეს აწარმოებს მხოლოდ სამი ამხანაგობა, დანარჩენები ასრულებენ მარტო საკრედიტო ფუნქციას. ამ სამ ამხანაგობას დაუმზადებია სულ 310.825 მანეთის სამეურნეო პროდუქტები, გაუყიდია 335.338 მანეთის.

—:—

(მოხსენება თბილ. მაზ. იხ. შემდეგ №-ში)

საბჭოთა საქართველო

წერილები

წინ მივდივართ

ახალი სოფელი, სენაკის მაზრა

ეს სოფელი შედის თეკლათის თემში. ორი მოსაზღვრე სოფლები ძოხძირი და ცხულა გაერთიანდნენ და ამ გაერთიანებულ სოფლებს სახელად ეწოდა „ახალი სოფელი". გლეხობამ გაერთიანების შემდეგ ხელი მიჰყო აღმშენებლობით მუშაობას. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. დაარსდა სამკითხველო „ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის სახელობის". სამკითხველოში მოიპოვება ქართულ ენაზე არსებული ყველა ჟურნალ-გაზეთები. საგლეხო და საბავშვო ლიტერატურას ბლომად აწვდის გაზ. „ახალი სოფლის" რედაქცია, რომელსაც ამ სოფელზე შეფობა აქვს აღებული. ორ ადგილას მოწყობილია რადიო მიმღები აპარატი. სამკითხველოსთან არსებობს რამოდენიმე წრე. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრონომიული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს რაიონის აგრონომი ამხ. სპ. გაბისონია. წრეში ირიცხება 50 აქტიური გლეხი.

დრამატიული წრეც კარგად მუშაობს. სამკითხველოსთან გამოდის კედლის გაზეთი „გლეხის ხმა", რომელიც ყოველ მხრივ აშუქებს ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებს.

არსებობს ორი ოთხწლედი. პირველში ირიცხება 40 მოწაფე, მეორეში—160. სოფლის ახალგაზრდობის სკოლისათვის მზადდება საშენი მასალები, ადგილობრივი სააგურე ქარხანა გლეხობის ხელშია, სადაც მზადდება 120 ათასი აგური სკოლის შენობისათვის. გლეხობა არ იშურებს საკუთარ ენერგიას ამ საქმისათვის.

სამაზრო ხელისუფლება ანგარიშს უწევს ჩამორჩენილ სოფლის ასეთ გამოფხიზლებას და ყოველნაირად ეხმარება. მზადდება ბოძები ელექტრონის სინათლის გამოსაყვანად. გარდა ბოძებისა და საჭირო ფიზიკურ შრომისა ხარჯებს სამაზრო აღმასკომი კისრულობს. გლეხობამ 100 ცალი ბოძი შეიძინა, თითეული ამოღებულია. დღეს თუ ხვალ ბოძები აიმართება და ბნელით მოცულ სოფელს ელექტრონის შუქი გაანათებს. გლეხების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

არც მეურნეობის მხრივ არის ჩამორჩენილი ეს სოფელი. პრიმიტიულ სამუშაო იარაღებს თავს ანებებენ და გლეხობა გადადის გაუმჯობესებულ იარაღების ხმარებაზე. მიმდინარე წელს აქ დაარსდა სამანქანო ამხანაგობა, რომელშიაც ირიცხება 40 წევრი. ამხანაგობამ სოფლის კავშირიდან სესხად მიიღო ტრაქტორი „ინტერნაციონალი"-ს სისტემის 30 ცხენის ძალიანი. თვე ნახევრის განმავლობაში ტრაქტორით მოიხნა 210 ქცევა მიწა. ბევრს ღარიბ გლეხს უშველა წელს ტრაქტორმა. გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს 10 ქცევამდე მიწა უფასოდ მოუხნეს. ამხანაგობას კოლექტიურად აქვს აღებული მიწა, სადაც სიმინდია დათესილი. სამანქანო ამხანაგობის საქმე ჯერ-ჯერობით წარმატებით მიდის. თუ მომავალში ასე გაგრძელდა სანიმუშოც იქნება ჩვენს მაზრაში.

აკ. ტეხურისპირელი.

—:—

ვინ უწევს მფარველობას?

დ. ჩხარი, შორ. მაზრა

ჩხარის რაიონის მილიციის უფროსად მსახურობდა ნიკოლოზ კლდიაშვილი. მთელი ექვსი თვის განმავლობაში მას ძალიან იშვიათად შევხვდებოდით სამმართველოში. უმეტეს დროს ყოფილ თავადებში ატარებდა. ბოლოს როდესაც შეატყო, რომ სამსახურიდან უნდა მოეხსნათ, დასტყუა ფულები აღმასკომს, კოოპერატივს, გლეხკომს, სულ 900 მანეთამდე აიღო შვებულება დამზლევე სალაროდან და გაიპარა თბილისში.

მისი ასეთი მოქმედება ამხილეს ზესტაფონის პარტაქტივის კრებაზე და ამის შემდეგ კლდიაშვილი მოხსნეს სამსახურიდან. მიუხედავათ ამისა, ის მაინც ატარებს მაუზერს და ემუქრება იმ ამხანაგებს, რომლებმაც მისი უკანონო მოქმედება გამოამჟღავნეს.

საჭიროა სათანადო ორგანოების ყურადღება.

ბიტი.

—:—

მეტი ყურადღება მეურნეობას

ჩიბათის თემი, გურია

ჩიბათის თემს გურიაში ხვნა-თესვის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, მეურნეობის ეს დარგი ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. გლეხობამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო გამოსთხოვებოდა მამაპაპურ კავს და ხმარებაში შემოეღო გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები. მეორეს მხრივ ჩიბათის მეურნეობის გამანადგურებელია პატარ-პატარა ღელეები, რომლებითაც დასერილია თემის ყველა სახნავ-სათესი მიწა.

საკმარისია ცოტაოდენი წვიმები, რომ ხსენებული ღელეები ადიდდენ და გაანადგურონ მთელი ნათესები. უწინ ამ ღელეებს საუცხოვო კალაპოტები ჰქონდა, მაგრამ ისინი თანდათანობით ამოივსო. მათი გაწმენდა კი არავის მოსვლია აზრად.

წელს სიმინდის ყანებს აგვისტომდი საუკეთესო პირი უჩანდა, მაგრამ ხშირმა წვიმებმა მოსავალი საგრძნობლად დააზიანა.

ამ ბოლო დროს გლეხებმა ბევრჯერ მიმართეს თემაღმასკომს ღელეების კალაპოტების გაწმენდის შესახებ, მაგრამ ამაოდ: თემ-აღმასკომი რატომღაც ყურს არ იბერტყავს.

აღმასკომმა დროზე უნდა მიიღოს ზომები ღელეების კალაპოტების გასაწმენდათ.

მ. პ—ია.

ჩვენი კლუბის ავ-კარგი

(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთის პროფკლუბის მუშაობა ვერ არის დაყენებული სათანადო დონეზე. კლუბის მთელი მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ დროგამოშვებით დგამენ წარმოდგენებს, აჩვენებენ კინო-სურათებს. კლუბის ადმინისტრაცია კინო-სურათების შერჩევასაც ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას და უშვებს ისეთ სურათებს, რომლებიც ვერ იზიდავს საზოგადოებას, როგორიცაა მაგალითად „აელიტა", „შემთხვევა წისქვილში" და სხვ.

მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კინო-სურათების შერჩევას.

ვერც კლუბის წევრები სარგებლობს რაიმე შეღავათით, რის გამო გული უცრუვდებათ მათ საკლუბო მუშაობაზე.

კლუბთან არსებობს სხვადასხვა წრეები, მაგრამ მათი უმრავლესობა არ სდგას თავის დონეზე. კლუბში ჯერ არც ერთი ლიტერატურული გასამართლება არ ჩატარებულა, ლექციებისა და საუბრებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

სათანადო დონეზეა დაყენებული დრამწრის მუშაობა. მასში ჩაბმულია ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომლებსაც კარგად აქვთ შეთვისებული საზოგადოებრივი ალღო.

კლუბის გამგედ დღემდის იყო ს. სალუქვაძე, რომელმაც მთელი შემოსავალი მიითვისა, მაგრამ საქმე შინაურულად მიფუჩეჩდა.

საერთოდ კლუბს აკლია პროფბიუროს ხელმძღვანელობა, რაც უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

ტ. აცანელი.

—:—

სოფლის მეურნეობა უმჯობესდება

სოფ. ოფაჩხაფუ, ზუგ. მაზრა

სოფ. ოფაჩხაფუ მდებარეობით მაღლობი ადგილია. აქ საუკეთესოდ ხარობს კულტურული მცენარეები, მაგ. ვენახი, მანდარინი, თამბაქო, ჩაი და სხ. 1926—27 წლეებში გლეხობამ ზუგდიდის საკრედიტო ამხანაგობის დახმარებით შეიძინა ვენახის ნამყენები და გააშენა ვენახის ბაღები.

1927 წლიდან დიდი ყურადღება ექცევა თამბაქოს მოყვანის საკითხს. თამბაქო სოფ. ოფაჩხაფში საუკეთესო ხარისხის გამოდის, თუმცა გასული წლის მოსავალი პირველ ხარისხის თამბაქოთ ვერ ჩაითვლებოდა. ამის მიზეზი იყო ნერგის შეურჩევლობა, ხშირი წვიმები და საჭირო ფაზარდების უქონლობა თამბაქოს ფოთლის გასაშრობად. გლეხებს იმედი ჰქონდათ თამბაქოს გაყიდვისა ისეთ ფასებში, როგორც იყიდებოდა სოხუმის თამბაქო, მაგრამ ხარისხის სიმცირემ მისი ღირებულებაც დასცა. მომავალი წლისათვის აუცილებელია მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს მეურნე გლეხობას თამბაქოს მოყვანის საქმეში.

რაც შეეხება ჩაის კულტურას, მას გაცილებით მეტი ადგილი უკავია, ვინემ თამბაქოს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლეხები ჯერ კიდევ პრიმიტიული იარაღებით აწარმოებენ მეურნეობას. ჯერ კიდევ არა აქვთ კულტურული მცენარეების მოვლის პირობები შესწავლილი, რომლისათვისაც საჭიროა აგრონომები.

საკრედიტო ამხანაგობამ გლეხობას უნდა მიაწოდოს გაუმჯობესებული იარაღები და სათანადო კრედიტი მეურნეობის კიდევ უფრო აღორძინებისათვის.

ნ. შეროზია.

—:—

ტყეს გაუფრთხილდით

სოფ. ხცისი, გორის მაზრა

ხცისის თემში არის ძამის აგარაკი ნორჩი ნაძვებით და ლამაზი ბუნებით. ამ ტყეს გლეხობა დაუზოგავად სჩეხს და გარდა მოჭრისა აოხრებენ, ალპობენ და აღარ აძლევენ საშუალებას, რომ ახლად ამოყრილი ნაძვი განვითარდეს და მომავლისათვის გაიზარდოს.

ტყის გამანადგურებელ სიაში ითვლება ერთი შეძლებული გლეხი სოფ. მიწობიდან, რომელსაც მოპარული ხეების ორი ცალი ჩამოერთვეს ადგილობრივმა საბჭომ და ტყის მცველებმა. ჩამორთმეული ხეები გლეხმა ისევ მოიპარა და მიწაში ჩამარხა. ბევრი ძებნის შემდეგ ადგილობრივმა საბჭომ და ტყის მცველმა სადღაც ბაღში ნახეს ოთხი ხე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ ამოჩნდა მიწაში ჩამარხული. შეძლებული გლეხი მოხერხებულია და ბილეთის ფულიც ბევრი აქვს. იგი მიემგზავრება ქ. გორში და სატყეო განყოფილებაში აგვარებს საკითხს. ამის შემდეგ სოფ. ხცისის თემ-საბჭოს პრეზიდიუმს მოდის მოწერილობა, რათა ჩამორთმეული ხეები დაებრუნებინათ ხსენებულ გლეხისათვის, რომელი განკარგულებაც სისრულეშია მოყვანილი.

ამ საკითხით ადგილობრივი გლეხობა ძალიან უკმაყოფილო დარჩა.

საჭიროა გამოირკვეს აღნიშნული გარემოება და ბოლო მოეღოს პროტექციას.

„გაგი".

—:—

წერილებიდან

ს. ბეთლემი (ხონაკის მაზრა). ხსენებულ სოფელში მდ. კვარჩელზე არის რკინის ხიდი, რომლის ნაპირზე ქვის შენობას წყალმა ძირი გამოუთხარა. ამის გამო ხიდს საფრთხე მოელის. საჭიროა დროზე ყურადღება სამაზრო აღმასკომის მიერ.

ან. ბეთლემელი.

ხეთის თემი (ზუგდიდის მაზრა). ადგილობრივი ფოსტის შენობა აგებულია გლეხობის ხარჯზე. ხელშეკრულების თანახმად ფოსტის კანტორას განსაზღვრული ქირა უნდა ეძლია თემისათვის, მაგრამ არც ქირას იხდის და არც სახლს უვლის ხეირიანად. შენობას სჭირდება შეკეთება, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

მიხა ცხადაია.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 11 ოქტომბერს, საღამოს ზუსტად 6 საათზე რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხია დასმული. ყველა მუშკორის დასწრება სავალდებულოა.

კურსების ქვის სატეხი ქარხანა

(წერილი კურსებიდან)

კურსების ძელაკების (ქვის სატეხი) ქარხნის სააღმშენებლო მუშაობა დაიწყო ხუთი თვის წინად და ამ მოკლე ხანში დამთავრდება. ამ ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს მაზრის ეკონომიურად გაძლიერებისათვის. საღმშ. სამუშაოზე ჯერ-ჯერობით მუშაობს 207 მუშა, ამათში 40 ახალგაზრდა მუშაა. ახალგაზრდათა შორის არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. თვით ახალგაზრდობაც რატომღაც ნაკლებად ეტანება კულტურულ მუშაობას; გათავდება თუ არა სამუშაო დღე, იმ წუთში სახლისაკენ მიეშურებიან. ხშირად კრების მოწვევაც კი ძნელი ხდებოდა უკანასკნელ ხანებში. დღეს ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია; გამოდის კედლის გაზეთი, რისთვისაც ადგილკომს ყოველ თვეში გადადებული აქვს განსაზღვრული თანხა. არსებობს ფიზკულტურის წრეც, მაგრამ მისი ხელმძღვანელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. საჭიროა ფიზკულტურის წრის ხელმძღვანელი მეტი ენერგიით შეუდგეს თავის მოვალეობის შესრულებას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები ჯერ-ჯერობით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეს. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ახალგაზრდათა შორის მომუშავეს ხუთ თვეში მხოლოდ ორჯერ მოუწვევია ახალგაზრდობის კრება. არ ტარდება საუბრები ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ წარმოების აღორძინების საქმეში და სხ.

ახალგაზრდობის სამუშაო დრო ჩვეულებრივ 8 საათია. სამუშაო არ არის ძნელი, რომ ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე გავლენა მოახდინოს. აგრეთვე ამ სამუშაოებზე მუშაობს სამი ბრონი; ერთი მიმაგრებულია მჭედელთან, ორი კი კალატოზებთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ ბრონები, 6 საათის მუშაობის შემდეგ კიდევ მუშაობენ ორ საათს და როცა კითხო მათ, გიპასუხებენ „ჩვენი სურვილით ვეხმარებით კალატოზებს". საჭიროა ადგკომმა და ახ-შორის მომუშავემ, ერთხელ და სამუდამოთ აუკრძალონ კალატოზებს ბრონების ექვსი საათის მეტი მუშაობა.

მუშებს და მუშა ახალგაზრდობასაც არა აქვთ სპეცტანსაცმელი და თავის დროზე ვერ სარგებლობენ შვებულებით. აგრეთვე ადმინისტრაციასთან არავითარი ხელშეკრულება არ არის დადებული, რაც ხელს უშლის მუშების და მუშა-ახალგაზრდების ინტერესების დაცვას. საჭიროა დაჩქარებით დაიდოს ხელშეკრულება ადმინისტრაციასა და მუშებს შორის. ახალგაზრდობა მოკლებულია ყოველგვარ დასვენებას და სხვადასხვა გასართობებს, რითაც შეუძლებელი ხდება მათში სათანადო მუშაობის წარმოება. საჭიროა თვეში ერთხელ მაინც იმართებოდეს მოძრავი კინო-სურათების ჩვენება. ამით ჩვენ წინ წავსწევთ მუშების კულტურულ დონეს.

ის. ცირეკიძე.

—:—

საქმე გართულდა

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის მაღაროების ბუხჰალტერიის საქმის გაუმჯობესებას საშველი არ დაადგა. 3—4 წლის განმავლობაში მან გამოიცვალა 5 უფროსი ბუხჰალტერი. თითეული მათგანი მოსვლისთანავე შემოიღებს ხოლმე თავის ინსტრუქციებს ანგარიშწარმოების საუკეთესოდ დასაყენებლად, მაგრამ არც ერთის დებულება არ შეეგუა ქვა-ნახშირის წარმოების სინამდვილეს. ისე, რომ ტყიბულის მაღაროების ანგარიშ-წარმოება ისევ უბედურ მდგომარეობაშია.

უკანასკნელად ბუხჰალტერიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თბილისიდან გამოგზავნეს ბუხჰალტერი, რომელსაც მომზადება აქვს, მხოლოდ ქართული არ იცის, მუშები მასთან მისვლას გვერდს უვლიან, რადგან იციან ვერაფერს გააგებინებენ. ყველა საბუთები ქართულიდან ითარგმნება რუსულ ენაზე, რის შემდეგ მიიღებთ მისგან პასუხს, ეს გარემოება ჰქმნის ვოლოკიტას და საგრძნობლად ართულებს საქმეს. ამგვარად თუ ჩვენ გვქონდა იმედი ანგარიშ-წარმოების სასურველ დონეზე დაყენებისა, მივიღეთ პირიქით. იგი წინანდელზე გართულდა.

მაღაროების ადმინისტრაცია ამას ყურადღებას არ აქცევს, ვნახოთ როდემდის იქნება ტყიბულის მაღაროების ბუხჰალტერია ასე უბედურ მდგომარეობაში.

ელექტრონი.

—:—

კიდევ საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ

საწარმოო თათბირების საქმიანობის სასურველ დონეზე დაყენება, თავდებია წარმოებისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა; შრომის ნაყოფიერების ზრდა, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, საქონლის თვით-ღირებულების დაწევა, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და თვით მუშათა კულტურული და ნივთიერი მდგომარეობის სათანადო დონეზე დაყენება, მჭიდროთ არის დაკავშირებული საწარმოო თათბირების ყოველ-დღიურ მუშაობასთან.

თქმა არ უნდა, რომ ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს; თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი წარმოების მდგომარეობას უკანასკნელი წლების განმავლობაში, ვნახავთ, რომ საწარმოო თათბირების საშუალებით ბევრი ნაკლი და წარმოების შემაფერხებელი მიზეზები გამოსწორდა. მაგრამ ამ მრავალ მიღწევებთან ერთად საწარმოო თათბირების მუშაობას თან სდევს აგრეთვე ნაკლიც, რომელიც ხელს უშლის მის მუშაობის უფრო გაუმჯობესებას.

ზოგიერთი საწარმოო თათბირი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ისეთ საკითხებიდან, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს საწარმოო თათბირის მუშაობასთან და მის ძირითად ამოცანებთან. საწარმოო თათბირებზე ხშირად ირჩევა ისეთი საკითხები, რომლის გადაჭრაც არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ, რომელიმე წარმოებაზე. ასეთ საკითხებზე იმტვრევენ თავს საწარმოო თათბირები და ბოლოს მაინც არაფერი გამოდის. ამავე დროს კი საწ. თათბირის მიერ უყურადღებოდ რჩება აუარებელი ფრიად საყურადღებო საკითხები.

გარდა ამისა საწ. თათბირებზე ძალიან ხშირად ისმება გრძელი და თავმომაბეზრებელი საერთო ხასიათის მოხსენებები, რომლებსაც არა აქვთ მაინცადამაინც პრაქტიკული ხასიათი. იგივე ითქმის წარმოების ადმინისტრაციის ხშირ მოხსენებებზე საწ. თათბირებზე. ადმინისტრაციის მოხსენება საწარმოო თათბირებზე აუცილებელი საჭიროა, მაგრამ ეს მოხსენებები ყოველთვის ერთფეროვანი კი არ უნდა იყოს და არ უნდა ინაყებოდეს წყალი, როგორც ეს ხდება დღეს, არამედ ადმინისტრაციის მოხსენება უნდა ეხებოდეს იმ საკითხებს, რომლებიც განიხილა საწარმოო თათბირმა და რომლის გატარებაც დაავალა ადმინისტრაციას. ყოველ მოხსენებაში ლაპარაკი წარმოების შემოსავალ-გასავალზე, ბევრს არაფერს შემატებს არც წარმოებას და არც საწარმოო თათბირის მუშაობას.

უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება განვტვირთოთ საწარმოო თათბირები ასეთ უშინაარსო მოხსენებებიდან თუ გვინდა, რომ გავაუმჯობესოთ მისი მუშაობა.

საწ. თათბირის წევრი.

—:—

ნუ გააცდენთ ვაგონებს

იმისათვის, რომ სად. თბილისმა თავის დროზე გაგზავნოს ყველა მიღებული საქონელი, საჭიროა სად. თბილისში მოსული ვაგონები თავის დროზე იცლებოდეს. მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდება.

სად. თბილისში სამოსამსახურო ტვირთი მოსდის მთავარ სახელოსნოს, მთავარ საწყობს დეპოს და სხვ.

ხშირად ეს დარგები ათი დღით აჩერებენ დატვირთულ ვაგონებს საწყობებში, რის გამო დაკავებულია ლიანდაგები. ეს კი საგრძნობლად აფერხებს სამანევრო მუშაობას და მატარებლების მოძრაობას. ამ ნიადაგზე ხშირად მატარებლის გასვლაც გვიანდება.

მთავარ საწყობმა და სახელოსნომ თავის დროზე არ დაცალა №№ 616666, 4749—595240 და 887672 ვაგონები. ამის შესახებ სად. თბილისის უფროსმა მიმართვა გაუგზავნა ადმინისტრაციას 11 ივნისს, მაგრამ ვაგონები დღესაც დასაცლელია.

დღე-ღამის განმავლობაში ერთი ვაგონი ღირს 6 მან. და 50 კაპ. ისე, რომ ერთი დღის განმავლობაში 4 ვაგონი 26 მანეთი ჯდება. ამგვარად ერთი თვის განმავლობაში, ვაგონების დაკავების გამო ზარალი უდრის 780 მანეთს. ამ ზარალის თავიდან აცილება კი სულ ადვილი შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ საქმის დაჩქარება და ვაგონების რაციონალურად გამოყენება.

რკინის გზის ადმინისტრაციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ვაგონების ტყუილუბრალოდ გაცდენის წინააღმდეგ.

ი. არუესპირელი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

გარყვნილების ბუდე. ნარიყალის ქუჩაზე არსებობს სასტუმრო „ჟენევა", რომელიც გარყვნილების ბუდეთ არის გადაქცეული. სასტუმრო სავსეა მეძავი ქალებით, რომლებსაც თითქმის ყოველ წუთს აქვთ ჩხუბი და აყალ-მაყალი.

სიმართლის მთქმელი.

—:—

დაეხმარეთ ინვალიდს. რუსთაველის პროს. სახ. № 34-ის ეზოში არის ფეხებ დაჭრილი ინვალიდი, რომელიც უბინაობისა და უპატრონობის გამო, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. სოც. უზრ. ყოფის კომისარიატო, დაეხმარე ინვალიდს.

სიმართლე.

სად არის სანიტკომისია? კარლ მარქსის პატარა ხიდთან საშინელი სიბინძურეა. თუ ცხვირი ახვეული არა აქვს ადამიანს, ისე გავლა ამ ადგილას შეუძლებელია. სად არის სანიტკომისია, რატომ არ მიაქცევს ყურადღებას?

ი. გეწაძე.

—:—

შრომის ხელფასს არ აძლევს. ხუდადოვის ქუჩაზე № 34 სახლის პატრონს, მოქ. ლ. თოდაძეს დაქირავებული ჰყავს მეეზოვე, რომელსაც დამქირავებელი არავითარ ხელფასს არ აძლევს. პროფკავშირო, მიაქციე ამ გარემოებას ყურადღება.

კორიანტელი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის პოპულარიზაცია

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. პონოვკო, რომელსაც დავალებული აქვს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17 ტირაჟის ჩატარების ხელმძღვანელობა ვაგარშაპატში (ყოფ. ეჩმიაძინი). ტირაჟი დანიშნულია ვაგარშაპატში 19 ოქტომბრისათვის.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. პანოვკომ შემდეგი განაცხადა:

საგლეხო სესხის ტირაჟს ვაგარშაპატში შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის საქმეში. ჩვენი მიზანია ამ ტირაჟის დროს გლეხთა ფართო მასები დავაინტერესოთ სესხით და ამით ხელი შეუწყოთ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციას სოფლად. საჭიროა ვაგარშაპატის ტირაჟის გარშემო დავრაზმოთ ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერთა ფართო ყურადღება.

როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიის სოფლებში ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაცია ძალიან სუსტად მიმდინარეობს. სხვა საგიტაციო საშუალებათა შორის, აღნიშნული ტირაჟიც შესამჩნევად შეუწყობს ხელს სესხის ობლიგაციების რეალიზაციის საქმეს.

მე, პირადათ, საჭიროდ ვთვლი ტირაჟზე გაგზავნილ იქნენ ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეების გლეხთა წარმომადგენლები.

სესხის რეალიზაცია ადგილებზე

ჭიათურა

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია ჭიათურის პერევისის მაღაროებში, დაიწყო 28 აგვისტოს. 5 ოქტომბრამდე სესხზე ხელი მოაწერა 440 კაცმა 25.360 მანეთის რაოდენობით. ზოგიერთი მუშები, რომლებიც 50 მანეთს ღებულობენ თვეში, იძენენ 100 მანეთის ობლიგაციას. ხელის მომწერთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

შ. ლომიძე.

—:—

ნორიოს თემი

ნორიოს თემში (თბ. მაზრა), ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით გასაღებულია 2.000 მანეთის ობლიგაცია. გარდა ამისა მუშა-მოსამსახურეები ხელს აწერენ თითო თვის ხელფასის ობლიგაციას.

გ. ბაქრაძე.

—:—

„აბჰესი"-ს მუშებში

„აბჰესი"-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციას და გაავრცელონ მისი ობლიგაციები. თითონ „აბჰესი"-ს მუშებმა შეიძინეს თითო თვის ხელფასის ობლიგაცია.

ად—მი.

18.000 მანეთის ობლიგაცია

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები თითო თვის ხელფასის რაოდენობით, რაც უდრის 18.000 მანეთს. გარდა ამისა მუშებმა: დ. ლურსმანიშვილმა, ან. მაღრაძემ, პ. სამხარაძემ, ს. გძელიშვილმა, მარო ნანეტაშვილმა, დ. ცქიტიშვილმა, ანა აბაშიძემ, შ. კიკნაძემ, დ. ქიპაშვილმა და ირ. შარიქაძემ სესხზე ხელი მოაწერეს ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

ლ. ხებისკვერაძე.

—:—

ერკეთის თემი (გურია)

ერკეთის თემის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დადგენილებით, ყველა პროფკავშირის წევრმა ხელი მოაწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე და შეიძინა თითო თვის ხელფასის ობლიგაცია.

ი. კობიძე.

—:—

მასწავლებლებში

რკ. გზის მე-7, მე-10 და მეთერთმეტე შრ. სკოლის მასწავლებლებმა და ტეხ. თანამშრომლებმა დაადგინეს შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

მალარა.

რადიო-ექსპედიცია მყინვარ-წვერზე

ამიერ-კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო აწყობს რადიო-ექსპედიციას მყინვარ-წვერზე.

ექსპედიციას ხელმძღვანელობას გაუწევს ს. ჯაფარიძე. ექსპედიციაში შედიან: ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. ყამარაული, ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს თანამშრომლები—მანუკოვი, კვერნაძე და რადისტი გუჯენეგი.

ექსპედიციის მიზანია, რადიო აპარატების მოქმედების გამორკვევა დიდ სიმაღლეზე. მოეწყობა რადიო-გადაცემა მყინვარ-წვერიდან და იქვე მიღებულ იქნება გადაცემები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რადიო-სადგურებიდან.

ასეთი ექსპედიცია პირველად ეწყობა მყინვარ-წვერზე და ის იქნება პირველი მაგალითი რადიო-გადაცემის ცდისა ასეთი სიმაღლიდან. რადიო-აპარატებზე ხანგრძლივი დაკვირვების მოსახდენად ექსპედიციას განზრახული აქვს მყინვარ წვერზე ღამის გათევა.

ექსპედიციას რადიო-აპარატებს გარდა თან მიაქვს სხვადასხვა მოწყობილობანი მყინვარ-წვერზე მეტეოროლოგიური პირობების შესასწავლად.

ექსპედიცია მყინვარ-წვერზე დადგამს ბუდრუგუნას სხვადასხვა აპარატებით, რომლებიც აღნიშნავენ მეტეოროლოგიურ პირობების ცვლას მთელი წლის განმავლობაში.

ექსპედიციის მთელ მოგზაურობას და მუშაობას მყინვარ-წვერზე გადიღებს სახკინმრეწვი.

ექსპედიცია სავსებით უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგით, თბილი ტანსაცმელებით და სხვ.

ექსპედიცია თბილისიდან უნდა გასულიყო სამშაბათს, მაგრამ უამინდობის გამო გამგზავრება ვერ მოხერხდა. ექსპედიცია გავა ამინდის გამოკეთებისთანავე.

საქ. ფეიქართა მე-7 ყრილობა

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ფეიქართა მე-7 ყრილობა. ყრილობის პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის მიღების შემდეგ ყრილობამ ამხ. ანთიძის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის ხსოვნას.

შემდეგ ყრილობამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი, რის შემდეგ მოსმენილ იქნა კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლის ამხ. მატინიანის მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. მატინიანმა დაახასიათა რა ცენტრ. გამგეობის საქმიანობა, აღნიშნა, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა პროფმუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, როგორც სატარიფო-ეკონომიურ დარგში, ისე კულტურული მუშაობის და სხვა საქმიანობის სახით.

კავშირის წევრთა შორის უმუშევრობა გაიზარდა, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ახალ წარმოებების გახსნის გამო, (ოზურგეთის და ხონის აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნები) წარმოებაში ჩაბმულ იქნენ ახლობელი სოფლების მცხოვრებნი რადგან ქალაქებიდან დაბალი კვალიფიკაციის მუშა ხელის გაგზავნა ახლად გახსნილ წარმოებებში არ აღმოჩნდა მიზანშეწონილი.

კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის დეფექტების აღნიშვნის დროს, მომხსენებელი შეჩერდა კავშირის თანხების გაფლანგვების შემთხვევებზე. სულ კავშირში ადგილი ჰქონია გაფლანგვის ორ შემთხვევას. გაფლანგულია 1.250 მანეთზე მეტი.

გაფლანგვების და მსგავსი მოვლენების აღმოჩენა ხდებოდა სარევიზიო კომისიის ფხიზელი მუშაობის წყალობით.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მრავალ ნაკლულოვანებათა გარდა კავშირის მუშაობაში ადგილი აქვს შესამჩნევ მიღწევებს, როგორიცაა დაბალ საკავშირო ორგანოების მუშაობის გამოსწორება, პროფაქტივის ზრდა საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესება და სხვა.

ცენტრალური გამგეობის მუშაობა-საქმიანობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობის პირველი სხდომა დაიხურა. დღეს მოსმენილ იქნება ს.მ.უ.ს. წარმომადგენლის მოხსენება საქართველოში საფეიქრო მრეწველობის პერსპექტივების შესახებ.

ნავთის შადრევანი შირაქში

ინჟ. გიჟიმურელის დეპეშა სახკომსაბჭოს

საქართველოს სახკომსაბჭომ გუშინ, 10 ოქტომბერს, ინჟ. გიჟიმურელისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ბედნიერი ვარ გაცნობოთ, შირაქის ნავთიან ადგილების დამმუშავებელი „იტალია-ბელგიის საზოგადოების" მუშაობის შემდეგი შედეგები: 9 ოქტომბერს, დილით, ჭაბურღილის გაღრმავების შემდეგ, 540 მეტრის სიღრმიდან, ძლიერი გაზის მოწოლით 10 წუთის განმავლობაში ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთშერეულმა ტალახიანმა წყალმა— შადრევანის სახით 12 მეტრის სიმაღლეზე. იმედი გვაქვს, თქვენი დახმარებით, კახეთის ნავთი სწრაფი ნაბიჯით წავა წინ საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოდ.

სამუშაოთა მწარმოებელი
ინჟ. გიჟიმურელი.

შირაქში ნავთის შადრევანის ამოხეთქის გამო, ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს მიაწოდეს შემდეგი ცნობები:

— შირაქის ნავთიან ადგილებში გამოკვლევითი სამუშაოებს აწარმოებს იტალია-ბელგიის შერეული საკონცესიო საზოგადოება, რომელსაც შირაქის სამუშაოთა რწმუნებულათ დანიშნული ჰყავს ინჟ. როდრიგეცი. გამოკვლევითი სამუშაოები საზოგადოებამ დაიწყო ერთი ჭაბურღილის გათხრით.

საცდელი ჭაბურღილის გათხრის დროს ორჯერ იქნა აღმოჩენილი ნავთის შემცველი ფენა. 1-ლი ფენიდან ნავთის ამოქაჩვის დროს დღე-ღამეში შესაძლებელი გახდა 40 ფ. ნავთის მიღება. მეორეთ აღნიშნულ ჭაბურღილში აღმოაჩინეს უფრო მდიდარი ნავთიანი ფენა. 20 სექტემბერს ჭაბურღილის 500 მეტრის სიღრმიდან შესაძლებელი გახდა დღე-ღამეში 160 ფუთი ნავთის ამოქაჩვა.

შირაქის ნავთიანი ადგილების შემსწავლელ სპეციალისტთა აზრით, ნავთით მდიდარი, დასამუშავებლად ხელსაყრელი ფენა უნდა იყოს დაახლოვ. 550 მეტრის სიმაღლეზე. ეს აზრი როგორც უკანასკნელად მიღებული დეპეშიდან სჩანს, გამართლებულია და ჭაბურღილში უკვე ამოსულა ნავთის შადრევანი, რომელიც 12 მეტრის სიმაღლეს აღწევს.

გადაწყვეტით თქმა იმის— დარჩება თუ არა ეს ფენა საექსპლოატაციო მნიშვნელობის ფენათ, —ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ერთი რამ კი ეჭვს გარეშეა— ეს ის, რომ შირაქის რაიონი ნავთის მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ საინტერესო რაიონთაგანს.

ინჟ. გიჟიმურელის დეპეშაში ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ ამოხეთქა შადრევანმა, ხოლო რა რაოდენობით ამოდის ნავთი, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. საექსპლოატაციო ფენათ ჩაითვლება ის ფენა, რომელიც დღე-ღამეში მოგვცემს 600—700 ფუთზე მეტ ნავთს.

რიონჰესი არ დაზარალებულა წყალდიდობისაგან

5 ოქტომბერს მდ. რიონი არაჩვეულებრივად ადიდდა. წყლის რაოდენობა, რომელიც მდინარეს მიჰქონდა, ერთ წამში 900—1000 მეტრს აღწევდა. იმ ადგილას, სადაც რიონჰესის საგუბარი შენდება, წყალმა 5 მეტრამდე აიწია, რასაც, როგორც მოელოდნენ დიდი ზიანი უნდა მიეყენებია რიონჰესის მშენებლობისათვის. მაგრამ ნაშენობამ მშვენივრათ გაუძლო წყალს და ზიანი უმნიშვნელოა.

რიონჰესის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს.

ვაჭრობის ტეხნიკის რაციონალიზაცია

ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შესდგა ვაჭრობის მომწესრიგებელი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, ვაჭრობის ტეხნიკის რაციონალიზაციის საკითხების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა რომ მუშაობა რაციონალიზაციის გასატარებლად ბევრს დაწესებულებაში მხოლოდ ახლა ეწყობა, 1-ლი ადგილი მიღწევების მხრივ უჭირავს ამ.-კავკ. ტრანსპორტის სამომხმარებლო საზოგადოებას. მეტად დამახასიათებელია, რომ ბევრ დაწესებულებაში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ოცპროცენტიანი შემცირება გამოიწვია პირველ რიგში რაციონალიზაციის აპარატის შემოკლებაში. სამეურნეო ორგანიზაციებში ეკონომიური კომისიები სუსტად მუშაობენ და პროფორგანიზაციებიც მათ საკმარის ხელმძღვანელობას არ უწევენ.

თათბირმა აღნიშნა დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიან რაციონალიზატორულ მოძრაობას და გაითვალისწინა სხვადასხვა ღონისძიებანი. დადგენილ იქნა, თვითეულ სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებში გამოყოფილ იქნენ სპეციალური რაციონალიზატორული უჯრედები (ორგბიუროები, რაციონალიზაციის ბიუროები); ამ უჯრედებში მომუშავენი განთავისუფლებულ უნდა იქნან სხვა სამუშაოებიდან, რაციონალიზაციის ხარჯებად მიჩნეულ უნდა იქნას ოპერატიულ ხარჯებად, რომელთა შემცირება არ შეიძლება, სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციების რაციონალიზაციის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან მომხმარებელთა ფართო მასები (სავაჭროების კომისიებისა და სხვ. საშუალებით). გაცხოველებულ უნდა იქნას ეკონომიური კომისიების მუშაობა. სავაჭრო დაწესებულებათა მომუშავეების გადასამზადებელ კურსების პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რაციონალიზაციის საკითხებს. უნდა გაიბას კავშირი „ორგსტროისთან" მის კვალიფიციურ ძალთა გამოყენების მიზნით და სხვ.

მახლობელ წლებისთვის თათბირმა დასახა სხვადასხვა რაციონალიზატორული სამუშაოების შესრულება „ზაკოიუს"-ის, „ვოენპო"-ს და „ზაკტპო"-ს ხაზით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რაციონალიზაციის საკითხებს საწყობის საქმეში, საქონლის წინასწარ აწონისა და დამზადების საქმეში მომხმარებელისთვის მისაწოდებლად, საქონლის ვაყიდვის აღრიცხვის გამარტივებას, სანიმუშო საცალო მაღაზიებისა და ფარდულების მოწყობას და სხვ.

საექიმო დახმარების საქმის რეორგანიზაცია

თბილისსა და მის მაზრაში საექიმო საქმის რაციონალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში ამხ. მ. გავაშელის თავმჯდომარეობით შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირზე თბილისსა და მის მაზრაში საექიმო საქმის რეორგანიზაციისა და რაციონალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ამხ. ფანცხავამ.

ჯანმრთელობის განყოფილებას,—განაცხადა მომხსენებელმა,—მიმდინარე წლიდან განზრახული აქვს საექიმო დახმარების საქმე აწარმოოს დისპანსერიზაციისა და პროფილაქტიური მეთოდებით.

ამ მიზნით უწინარეს ყოვლისა ჩატარებული იქნება რაიონულ საექიმო დახმარების საქმის რეორგანიზაცია.

ამჟამად თბილისში არსებობს ვენერიულ სნეულებათა 6 სამკურნალო. მათ შორის 1 დისპანსერი, ერთი საავადმყოფო და ოთხი ამბულატორია, რომ აღნიშნული სამკურნალოები ანტიერთულ იქნეს და ავადმყოფებს საშუალება ექნეთ თავის დროზე მიიღონ საექიმო დახმარება, განყოფილებას გაზრახვა აქვს ყველა რაიონებში გახსნას რაიონული ვენერიული დისპანსერები. რაიონულ დისპანსერებს დაევალება მკურნალობასთან ერთად მცხოვრებლებს შორის აწარმოონ პროფილაქტიური მუშაობაც.

გარდა ამისა, გაიხსნება ვენერიული ინსტიტუტი, რომელშიაც იმუშავებენ სპეციალისტი ექიმები და რომელსაც ექნება სამეცნიერო პედაგოგიური ხასიათი. ამ ინსტიტუტში, როგორც თბილისის, მაზრიდან, ისე სხვა მაზრებიდან გამოგზავნილი იქნებიან ადგილებზე მომუშავე ექიმები, რომლებიც ინსტიტუტში გაეცნობიან ვენერიულ სნებთან ბრძოლის ახალ მეთოდებს.

იგივე ინსტიტუტი სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენს ვენერიულ სნებით მძიმედ დაავადებულებს და ამავე დროს უხელმძღვანელებს ყველა რაიონულ დისპანსერების მუშაობას, როგორც თბილისში, ისე მის მაზრაში. ზედმეტის გადიდების თავიდან აცილების მიზნით განყოფილება არსებულ ვენერიულ სამკურნალოებში მომუშავე ექიმებს გაანაწილებს რაიონულ ვენდისპანსერებში.

ამავე სახით ვფიქრობთ საექიმო საქმის მოწყობას მალარიასთან ბრძოლის დარგშიაც. სამალარიო რაიონული დისპანსერები გაიხსნება საბურთალოში, დიდუბეში, ორთაჭალაში და ყარაიაში. ქრონიკულ მალარიით დაავადებულებს სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენს თბილისში არსებული ცენტრალური დისპანსერი, რომელიც იმავე დროს ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა სამალარიო დაწესებულებებს. განყოფილებას გარდა ამისა გადაწყვეტილი აქვს მაზრაში მოაწყოს გლეხებისათვის სპეციალური პროფილაქტიური კურსები, რომელზედაც მსმენელებს გააცნობენ თუ რა ზომების მიღებაა საჭირო მალარიასთან საბრძოლველად და მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

არა ნაკლები ყურადღება მიექცევა კბილის მკურნალობის საქმეს. ამჟამად არსებული კბილის სამკურნალოები დატვირთულნი არიან, რის გამო ადგილი აქვს გაუთავებელ რიგებს. ამ არანორმალურ მდგომარეობის მოსასპობათ განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გარეუბნებში გახსნას კბილის საექიმო კაბინეტები. გარდა ამისა, განყოფილებას გეგმაში შეტანილი აქვს კბილის საექიმო ახალ პოლიკლინიკის გახსნა სპეციალურად ბავშვთათვის.

განყოფილებას აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია ლაბორატორიების ქსელის გაფართოება. ამჟამად თბილისში არსებობს ერთი ცენტრალური ლაბორატორია, ცხადია ერთი ლაბორატორია ვერ აუდიოდება მოთხოვნილებას და არც თუ მისი მუშაობის შედეგები შეიძლება იქნეს დამაკმაყოფილებელი. ამიტომ განყოფილებას განზრახვა აქვს ყველა ამბულატორიებთან მოაწყოს ლაბორატორიები, რომლებიც მოახდენენ საშუალო ანალიზებს. ასეთი გარემოება მისცემს ამბულატორიის ექიმს უფრო ახლო გაეცნოს მოქალაქის ავადმყოფობას. ცენტრალურ ამბულატორიაში წარმოებს უფრო რთულ ანალიზების მიხედვა.

ათაშანგიანების ანალიზი იწარმოებს ვენერიულ დისპანსერის ლაბორატორიაში, ტროპიკულ სნეულების—სამალარიო დისპანსერში, ჭლექის—ტუბდისპანსერში და სხ.

ყველა ამ ჩამოთვლილ ღონისძიებების გარდა განყოფილება აგრეთვე გააძლიერებს მუშაობას ქალაქში და მის მაზრაში სანიტარულ პირობების დასაცავათ. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კამალოვმა, თოფურიამ, ლორთქიფანიძემ, ნაზარეტიანმა, ჯიჯაძემ, გავაშელმა და სხვ.

კამათში მონაწილენი აღნიშნავდნენ, როგ განსაკუთრებით საჭიროა სანიტარული ზედამხედველობის გაძლიერება იმ ადგილებში, სადაც სწარმოებს საკვებ პროდუქტების გაყიდვა. მოკამათენი მიუთითებდნენ მაზრებში, მოედნებზე და ეზოებში გამეფებულ ანტისანიტარულ პირობებზე და მოითხოვდნენ შესაფერ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კამათში გამოსული პირები აგრეთვე ვრცლად შეეხნენ მოხსენებაში აღძრულ საკითხებს.

ამხ. გავაშელმა აღნიშნა, რომ საექიმო საქმის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს განყოფილების ფინანსიურ შესაძლებლობის ფარგლებში. რაკიდან ვენერიულ ინსტიტუტს, როგორც ეს მოხსენებიდან სჩანს, ექნება რესპუბლიკანური ხასიათი, ამიტომ საჭიროა მის მოწყობაში მონაწილეობა მიიღოს ჯანმრთ. კომისარიატმაც.

ამხ. გავაშელის წინადადებით თათბირმა დაადგინა ჯანმრთელობის განყოფილებამ საექიმო საქმის რეორგანიზაციის გეგმა შეუფარდოს მის ბიუჯეტს და შემდეგი სხდომისათვის წარმოადგინოს ციფრობრივი მასალები მის განსახორციელებლად.

ამავე სხდომაზე განხილული იქნება საკითხები სოციალურ დაცვისა და მოსახლეობისათვის წამლეულობის დაუბრკოლებლად მიწოდების შესახებ.

ნაგანით მუშკორის წინააღმდეგ

ამ დღეებში, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, აფხაზეთის უზენაეს სასამართლომ განიხილა ცრუ მუშკორის სლისარენკოს საქმე. სლისარენკომ ანგარების მიზნით, კარიერისტული მოსაზრებით და პოპულიარობის მოსახვეჭად თვითვე მოაწყო თავდასხმა თავის თავზე, როგორც მუშკორზე. მაგრამ ნახტომი არ გაუმართლდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის სიმულიაცია იშვიათი ოსტატობით იყო მოწყობილი, სლისარენკომ მაინც ვერ შეაცდინა საბჭოთა საზოგადოებრივობა. ცრუ კორესპონდენტი გამომჟღავნებულ იქნა და მან მართლაც მოიხვეჭა ისეთი პოპულიარობა, როგორსაც არც კი მოელოდა. პოპულიარობა სულ სხვა სახის და ღირსების. სლისარენკო ამიერიდან მუშგლეხკორთა მოძრაობაში შევიდა, როგორც მუშა კორესპონდენტის მახინჯი სახე, როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთი უსაზიზღროესი მოვლენა.

მაგრამ სლისარენკოს მიერ მოწყობილი თავდასხმის ინსცენიროვკა არ არის სლისარენკოსვე ფანტაზიის ნაყოფი. ამ ბოროტი განზრახვის იდეა მას ნასესხები აქვს იმ მდიდარი მასალიდან, რომელსაც იძლევა ჩვენი სინამდვილე. მუშკორის დევნა, საზოგადოთ, მოგონილი არ არის. ის მრავალი სახისაა, მაგრამ ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი მაშინ არის, როცა ეს დევნა აშკარა, შეიარაღებულ თავდასხმის სახეს ღებულობს. ზოგჯერ მუშკორთან ანგარიშის გასასწორებლად მიზნად დასახულია „სასჯელის უმაღლესი ზომა". მუშკორის ან გლეხკორის ფიზიკურად განადგურება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ არა ერთხელ სამაგალითოდ დასაჯა მუშკორთა მდევნელები, ამას მაინც აქვს ადგილი, ეს მაინც ხდება და არა მივარდნილ კუთხეში, არამედ აქ, ტფილისში, ცენტრალური დაწესებულებების თვალწინ, შუაქალაქში და შუადღეზე.

ვინ უნდა იყოს ისეთი თავხედი, რომ გაბედოს ამ, მართლაც გმირობის, ჩადენა? ყველაზე უფრო საგულსხმო და ამავე დროს სავალალოც ის არის, რომ ამას სჩადიან თანამდებობის პირნი, ისინი, ვისაც თავიანთ სამსახურის მიხედვით პირდაპირ ევალებათ იარაღით ხელში დაიცვან მუშკორი თავდამსხმელისაგან.

ჩვენი მოთხრობის „გმირებია" ვინმე არქიპო ბახტაძე და ივანე ბრეგაძე.

არქიპო ბახტაძე სულ 25 წლის თუ იქნება. მაგრამ თავის თავის მოწყობის და გულუბრყვილო თანამდებობის პირთა გაცრუების მხრივ, მას, ვეჭვობთ, რომ ბადალი კიდევ მოეპოვებოდეს. თვითონ გასინჯეთ! ჯერ იყო და სადგურ მცხეთაში მსახურობდა ადმინისტრაციაში. აქედან ის თბილისის სადგურზე გადმოდის აღმატებით. თბილისში ბახტაძე ხულიგნობისათვის 3 თვით ციხეში იგზავნება და სასჯელის მოხდისთანავე დაწინაურებასაც ღებულობს. ის გვევლინება ერთ-ერთ ფრიად ავტორიტეტულ დაწესებულების პასუხისმგებელ მუშაკათ. მას თავი პარტიის წევრადაც მოაქვს და ბევრს კიდევაც სჯერა ეს. ახალმა თანამდებობამ და იმ პასუხისმგებლობამ, რომელიც ამ თანამდებობით ეკისრებოდა ბახტაძეს, ოდნავადაც არ შესცვალა ის. ბახტაძე ჩვეულებისამებრ, განაგრძობდა უმსგავსო ცხოვრებას. მილიციაშიც ხშირად მიჰყავთ ის საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევისა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის, მაგრამ ავტორიტეტულ დაწესებულების მანდატი ბევრგან შველის ბახტაძეს. ეცემოდა პარტიის სახელი, რადგან ბახტაძეს ყველა იცნობდა ისე, როგორც კომუნისტს, ილახებოდა იმ დაწესებულების პრესტიჟიც, სადაც ბახტაძე მუშაობდა.

თავისი ამგვარი ყოფა-ქცევით ბახტაძემ მიიპყრო მუშკორის ყურადღება. მის შესახებ დაიწერა კორესპონდენცია. ამის შემდეგ გაუსწორებელი ხულიგანი დაუყოვნებლივ განდევნილ იქნა დაწესებულებიდან.

და აი, აქედან იწყება ყველასათვის ნაცნობი ისტორია. — კორესპონდენციის ავტორის ძებნა. იჭვი მიტანილია მოქალაქე ვაჩეიშვილზე, რომელიც ბახტაძის მეზობლად ცხოვრობს. შეიძლება ვაჩეიშვილი არც არის მამხილებელი კორესპონდენციის ავტორი, მაგრამ ბახტაძე ამას არ დაგიდევთ. მისი ღრმა რწმენით, ვაჩეიშვილმა დალუპა ის, ვაჩეიშვილმა გამოუსვა ყელში დანა. მოდი და ასეთ კაცს მაგიერ „პატივს" ნუ სცემ. მით უფრო ადვილი საქმეა ეს ბახტაძისათვის.

არც იმდენად მხდალი კაცია ბახტაძე, რომ მან ქურდულად მოაწყოს თავდასხმა. პირიქით, ჯერ მიდის იქვეში ამოღებულ კორესპონდენტთან და ლაკონიურად, მეზობლურად აფრთხილებს: „ვიცი, შენ მომსპე და გამანადგურე, შენ მიაწოდე ცნობა რედაქციას ჩემს შესახებ, მიფრთხილდი, კარგი დღე არ დაგადგება"-ო.

ვაჩეიშვილი იცნობდა ბახტაძეს, მან მშვენივრად იცოდა, რა პრაქტიკულ ნაყოფს გამოიღებდა ეს „მეზობლური გაფრთხილება". ამიტომ მაშინვე მილიციას აცნობა ამის შესახებ. მილიციაში მას უპასუხეს, ჩვენ საშუალება არა გვაქვს ცალკე მცველი დაგიყენოთო. თან მეგობრულად ურჩიეს, რამდენადაც გაგიხდესთ, მოარიდეთ თავი ბახტაძესო.

ეს იყო ხუთშაბათს, 28 სექტემბერს. მეორე დღეს, პარასკევს 29 სექტემბერს საღამოს 7 საათზე ბახტაძე უკვე ეწვია ვაჩეიშვილს ბინაზე. ვაჩეიშვილი სახლში არ იყო. სამაგიეროთ იქ აღმოჩნდა მისი ამხანაგი. საქმის დაწყებისათვის ესეც საკმარისი იყო. ბახტაძემ ვაჩეიშვილის ჯინი ჯერ - ჯერობით შემთხვევით პირზე ამოიყარა. ჩაიგდო ფეხქვეშ ვაჩეიშვილის ამხანაგი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ურტყა.

ამის შემდეგ საქმე უფრო ფართო ხასიათს ღებულობს.

ბახტაძეს გამოუჩნდენ თანამგრძნობნიც. ეს გახლავთ მისი ახლობელი ნათესავი, ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის კომენდანტი ივანე ბრეგაძე, რომელიც თვითონ კისრულობს პირველობას მუშკორის დევნაში, ხოლო ბახტაძე მრჩეველის და მიმთითებელის როლს იტოვებს.

კვირას, 30 სექტემბერს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ბრეგაძე მიდის ვაჩეიშვილთან ბინაზე. ვაჩეიშვილი უცნობ კაცს თავაზიანათ ესალმება. უცნობი მას თავის მხრივ მორიდებით პატიჟობს ბახტაძის ოთახში. არც ისე გულუბრყვილო იყო ვაჩეიშვილი, რომ ეს შემპარავი მიპატიჟება მიეღო. ამიტომ ვაჩეიშვილი საკუთარ ოთახში იწვევს უცნობ გულკეთილ კაცს. უცნობიც თანახმაა.

გაემართნენ ოთახისაკენ. ვაჩეიშვილი მიდის წინ, უკან ბრეგაძე მიჰყვება. ოთახში შესვლისთანავე ბრეგაძე ჰკეტავს კარებს. დასხდნენ ერთმანეთის გვერდით. ამის შემდეგ იწყება ასეთი დიალოგი:

— თქვენ მიაწოდეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას წერილი ბახტაძის შესახებ?

ვაჩეიშვილი გაოცებულია ასეთი საკითხით.

—არც ვიცი და არც მაინტერესებს სრულიად ეს საქმე, — უპასუხებს ის... პატარა პაუზა... ბრეგაძე იგინება დედას... ბრეგაძე იშიშვლებს ნაგანის რევოლვერს. იმართება გააფთრებული ხელჩართული ბრძოლა... ვაჩეიშვილს ხელში უჭირავს რევოლვერის ლულა და ცდილობს იარაღს პირი გვერდზე დაუჭიროს. ისმის ოთახიდან გულშემზარავი კივილი: „მიშველეთ! მიშველეთ! მომკლეს!.. მომკლეს!"..

ხმაურზე პირველად კარებზე მივარდა მეზობლის ბავში, შემდეგ სხვებიც მოგროვდნენ. ამით გათამამებულმა ვაჩეიშვილმა დაიმორჩილა მოწინააღმდეგე, წაართვა მას რევოლვერი და იარაღით გამოვარდა გარეთ.

თავდამსხმელი მეზობლებმა იქვე დააკავეს. დაუძახეს მილიციას. წაიყვანეს კომისარიატში, მაგრამ მილიცია ბრეგაძეს არ ღებულობს. ის სისხლის სამართლის მილიციის მუშაკია. მაშასადამე, სისხლის სამართლის მილიციას უნდა გადაეცეს საქმე. შერცხვენილი თავდამსხმელი, ხიფათს გადარჩენილი გაფითრებული ვაჩეიშვილი და აღშფოთებული მეზობლები გაემართნენ სისხლის სამართლის მილიციაში.

ბრეგაძე მიხვდა, რომ საქმე სახუმროდ აღარ არის, თუმცა არც თვითონ იყო თავიდანვე ხუმრობის გუნებაზე. ამიტომ ურცხვად ფერი გამოიცვალა, ფარისევლურად უალერსებს გზაში ვაჩეიშვილს და ეხვეწება, საქმე მორიგებით გავათავოთო. თან მუქარასაც არ ივიწყებს. „მე რომ ციხეში ჩამსვან, შენ ამით რა შეგემატება, დაკარგვით ბევრს დაკარგავ. გამოვალ და ჩემსას მაშინ უთუოდ შევასრულებ"-ო. მიუხედავად ამისა, საქმე მორიგებით მაინც არ გათავდა.

მივიდნენ სისხლის სამართლის მილიციაში. მორიგე კომენდანტს ლეიბმანს მეტად საწყენად დაურჩა, რომ ასეთ მდუღარეში უკრავს ფეხი მის საუკეთესო ამხანაგს. ათამაშდა მეგობრული გრძნობები. მეგობარი ჭირში გამოიცნობა. უნდა უშველოს თუ არა ბრეგაძეს? ამიტომ მან თავიდანვე ისე დაიწყო საქმე, თითქოს აქ არაფერიაო. ბრეგაძეს და ვაჩეიშვილს კამათი მოუვიდათ. აზარტში შესული მოკამათენი თავიანთ აუდიტორიით, მოწმეებით სისხლის სამართლის საკომენდანტოში აღმოჩნდნენ. არც მეტი, არც ნაკლები. და აი, სისხლის სამართლის მილიციის კომენდანტი, რომელიც ჩვეული არაა ლმობიერებას ჯიბის ქურდებისადმიც კი, რევოლვერით თავდამსხმელს, განიარაღებულ ბანდიტს, იშვიათი თავაზიანობით ეკიდება. ლეიბმანი უკრძალავს ვაჩეიშვილს განცხადების დაწერას მომხდარი ამბის შესახებ. ბრეგაძეს სახლში უშვებს და ეუბნება, შემოიარე, როცა დრო დაგირჩესო. ვაჩეიშვილს ასეთ წინადადებას აძლევს: საღამოს სისხლის სამართლის მილიციის უფროსი მოვა და საქმეს გამოვარკვევთო (?!)

ის ღამე ბრეგაძეს და ბახტაძეს ფუჭად არ დაუკარგავთ. ჩვეულებისამებრ ბახტაძის ბინაზე გაიმართა ქეიფი და გათენებამდე ჭერზე ქუდს ურტყამდნენ. თავზარდაცემული ვაჩეიშვილი კი შიშისაგან სახლს ახლო აღარ გაეკარებია...

დღეს ორივე ეს რაინდი რედაქციისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებულ ზომებით გამასწორებელ სახლშია მოთავსებული. საქმეს თვით სისხლის სამართლის მილიციამ მოჰკიდა ხელი. ბრალდებები სისხლის სამართლის მილიციის კვლევაძიებით სავსებით დადასტურდა. მასალები გადაცემული აქვს პროკურორს.

ყოველივე ეს მოხდა თბილისში, ეს მოხდა დღეს, როცა ჩვენ ამდენს ვლაპარაკობთ თვითკრიტიკაზე, დაბლა ფენების აქტივობის გაღრმავებაზე, მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის გაფართოებაზე. ყოველივე ეს ხდება თანამდებობის პირთა ინიციატივით და ხელებით.

ცრუ მუშკორი სლისარენკო ღირსეულად დაისაჯა. მორალური სასჯელი მან უკვე დიდი ხანია მიიღო. ბრეგაძე-ბახტაძეებისათვის ხომ მორალური სასჯელი არ არსებობს! მათ ის იმედი ასულდგმულებს, რომ „ციხიდან გამოვლენ და თავისას მაინც იზამენ".

ნუ თუ მარტო ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ დაისაჯონ. ჩვენ აქ არ შეუდგებით მათ სასჯელის კვალიფიკაციისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერ მუხლის ძებნას. ერთი კი აშკარაა, ბახტაძე-ბრეგაძეს უნდა ვასწავლოთ ჭკუა, მათ და მათივე მსგავს ელემენტებს უნდა დავუკარგოთ მუშათა და გლეხ კორესპონდენტზე ჩუმი თუ აშკარა ნადირობის ხალისი.

კვესი.

წინადადება ინგლისიდან

„ზაკგოსტორგ"-ის ლონდონის კანტორამ აცნობა „საქართველოს ჩაის საზოგადოებას", რომ ინგლისის ჩაის მრეწველობის ფირმა „მარშალი" მზად არის გამოგზავნოს ინდოეთის ჩაის ექსპერტი საქართველოს ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად და ინსტრუქციების მისაცემად. ფირმა წინადადებას იძლევა აგრეთვე, რომ „საქართველოს ჩაის" წარმომადგენლებმა დაათვალიერონ ჩაის პლანტაციები და ფაბრიკები ინდოეთში, ცეილონზე და სხვაგან.

საზოგადოების „საქართველოს ჩაის" გამგეობამ განიხილა ეს წინადადება და პრინციპიალურად სასურველად სცნო, რომ ინდოეთის ჩაის ექსპერტებმა დაათვალიერონ საზოგადოების „საქართველოს ჩაის" პლანტაციები.

ა.-კ. პროფსაბჭოში

კოოპორგანიზაციების ხარჯთ-აღრიცხვის შემოწმება

ამ.-კავკ. პროფკავშირთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკანურ პროფორგანიზაციების ხარჯთ-აღრიცხვა და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი პროფორგანიზაცია ხარჯთ-აღრიცხვას სწორად არ ასრულებს. მაგალითად, ადგილი აქვს ხარჯების გადამეტებას. არ არის შესრულებული მაღლა მდგომ ორგანოების დირექტივები ადმინისტრატიული ხარჯების შემცირების შესახებ და ამასთანავე თანდათან იზრდება საორგანიზაციო ხარჯებიც.

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭომ დაუშვებლად სცნო ასეთი მდგომარეობა და წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფორგანიზაციებს მტკიცედ დაიცვან უკვე მიღებული ხარჯთ-აღრიცხვა, გაატარონ ცხოვრებაში საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივები ადმინისტრატიული ხარჯების 15 პროცენტით შემცირების შესახებ და მიიღონ აგრეთვე ზომები საორგანიზაციო ხარჯების შესამცირებლად, რისთვისაც უკიდურესი მომჭირნეობით უნდა იხარჯებოდეს თანხები ყოველგვარი ყრილობების და კონფერენციების მოწვევის დროს.

ფიზკულტურის ჟურნალი

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო, რათა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მიერ გამოცემულ იქნეს ფიზკულტურის სპეციალური ჟურნალი. თავის წარმომადგენლად ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში ამიერ-კავკ. პ. კ. საბჭომ გამოჰყო ამხ. ხოჯამირიანი.

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის მეორე სესია მოწვეული იქნება ნოემბრის პირველ ნახევარში.

მანდარინების დამზადება

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კავშირმა სახალხო მამულების ტრესტთან და ათონის საბჭოთა მეურნეობასთან ხელშეკრულება დასდო მანდარინების მთელი მოსავლის დამზადების შესახებ. ტარდება აგრეთვე გლეხთა (ცალკე მეურნეობების) კონცენტრაცია. სულ ნავარაუდევია 800.000 ცალი მანდარინის დამზადება, რაც შეადგენს აფხაზეთის მთელი მოსავლის 95 პროცენტს.

მანდარინების რეალიზაცია უზრუნველყოფილია ცენტრიდან მიღებული შეკვეთით.

ჩამორთმეულ სახლების შესახებ

უძრავ ქონებათა სამმართველოში შესდგა კომუნალურ სექციის მიერ გამოყოფილ კომისიის სხდომა, რომელზედაც ა. ბაბუნაშვილმა გააკეთა მოხსენება, ჩამორთმეულ სახლების შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მოუვლელობის გამო კერძო მეპატრონეებს სულ ჩამოერთვათ 3.500 მეტი სახლი 40.000 ოთახით. შემჭიდროების საშუალებით ამ ოთახებიდან განთავისუფლებული იქნა მხოლოდ 250 ოთახი.

ამ ოთახებს გარდა, თავისუფალი საცხოვრებელი სივრცე გამოყოფილ იქნება შემჭიდროების ჩატარებით.

შემჭიდროებას ბუნებრივათ გამოიწვევს ახალი საბინაო ტარიფი, ვინაიდან ახალი ტარიფით ის პირი, რომელსაც უჭირავს ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე, ყოველ კვადრატულ მეტრზე ვალდებული იქნება გადაიხადოს ნორმალურ ქირასთან შედარებით ორჯერ-სამჯერ მეტი. მაგალითად, თუ ნორმალურ სივრცეში ყოველ კვადრატულ მეტრზე მდგმური გადაიხდის 50 კაპ. ზედმეტ სივრცის კვადრატულ მეტრზე გადაიხდის 1 მანეთიდან 1 ნახ. მანეთს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ჩამორთმეულ სახლების მოვლას. და აღნიშნა, რომ ეს საქმე ჯერ სავსებით არ არის მოგვარებული. მაგრამ ახლო ხანში შესაძლებელი გახდება მათი წესიერი ექსპლოატაცია. ჩამორთმეულ სახლებიდან დღემდე შემოსავალი უდრის 144.000 მანეთს, აქედან სახლების საჭიროებაზე უკვე დახარჯულია 130.000 მანეთი. ჯერ - ჯერობით სახლების ნორმალურათ მოვლის საქმეს აბრკოლებს კომენდანტების გამოუცდელობა.

უძრავ ქონებათა სამმართველომ უკვე მიიღო ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად და უვარგისი კომენდანტები შეცვლილი იქნებიან შესაფერი პირებით.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ სახლები არ არის სათანადოთ მოვლილი. ზოგ სახლში წყალი ჩამოდის, სისუფთავეს არ ექცევა ყურადღება და სხ.

საპასუხო სიტყვაში ა. ბაბუნაშვილმა აღნიშნა, რომ სახლების უმრავლესობა მიღებულია ნახევრად დანგრეული სახით. მათი ერთბაშად აღდგენა შეუძლებელია. წელს მათი შეკეთება მოხდება ნაწილობრივ. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ზოგჯერ თვით მდგმურები არ აქცევენ ყურადღებას ბინების მოვლას.

ამ მხრივაც მიღებული იქნება ზომები და ის მდგმური, რომელიც გამოიჩენს უყურადღებობას და თავის დაუდევრობით ზიანს მიაყენებს სახლს, პასუხისგებაში იქნება მიცემული.

კომისიამ დაადგინა უძრავ ქონებათა სამმართველომ გააძლიეროს მუშაობა ჩამორთმეულ სახლების მოსავლელათ, დასაცავად და შესაკეთებლად.

ქრონიკა

ღონისძიებები შრომის ინსპექტორების მუშაობის გასაჯანსაღებლად

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შრომის ინსპექტორების ხშირი გამოცვლა ხელს უშლის მათ ნაყოფიერ და ნორმალურ მუშაობას და დაადგინა წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ პროფკავშირთა საბჭოებს უზრუნველჰყონ შრომის ინსპექტორების ნორმალური მუშაობა და არ დაუშვან ინსპექტორების ხშირი გადაყენება.

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კლუბი

შორაპნის მაზრის ქორეთის თემში ადგილობრივ მოსახლეობის თაოსნობით გაიხსნა ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კლუბი.

ჭარხლის პლანტაციების დათვალიერება

შაქრის ქარხნის ასაგები პროექტის დასამუშავებლად შაქრის ტრესტმა გორის მაზრაში გაგზავნა სპეციალისტთა კომისია ი. იუხნოვსკის ხელმძღვანელობით. კომისიამ შეისწავლა გორის მაზრაში შაქრის ჭარხლის მოყვანის პირობები და გამოარკვია, თუ სად უფრო შესაძლებელი იქნება შაქრის წარმოების კონცენტრაცია.

გორის მაზრაში გამოკვლევის ჩატარების შემდეგ კომისია გაემგზავრა სომხეთში—ლენინაკანის რაიონში ჭარხლის პლანტაციების დასათვალიერებლად და საერთოდ შაქრის წარმოების პირობებთან გასაცნობათ.

კომისიის აზრით, ამიერ-კავკ. შაქრის წარმოებისათვის საუკეთესო პირობებია გორის მაზრაში და ლენინაკანის რაიონში

სახალხო მამულების ტრესტში

სახალხო მამულების ტრესტმა დაადგინა მიმდინარე წლის დეკემბრიდან შესწყვიტოს ერთი და ორვარსკვლავიანი კონიაკების გამოშვება და სამაგიეროთ დაამზადოს სამი, ოთხი და ხუთ ვარსკვლავიანი კონიაკები. ტრესტის სავაჭრო განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს ტრესტის სასმელების ეტიკეტებისა და ნომენკლატურის ახალი პროექტი.

ტრესტმა მიზანშეწონილად სცნო ხარკოვში არსებული თავის განყოფილება გადასცეს „უკრვინდელ პრავლენიეს". ამავე ორგანიზაციას მიენდობა საქართველოს სახ. მამულების ტრესტის ნაწარმოებთა გასაღების საქმე უკრაინის ბაზრებზე.

სააღმშენებლო სკოლა

შრომის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით წელს თბილისში იხსნება სააღმშენებლო სკოლა. სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბრიდან.

სხვა ორგანოებთან ერთად სკოლის სასწავლო პროგრამაში შეტანილია შემდეგი საგნები: უშიშროების ტეხნიკა წარმოებებში, პროფ. გიგიენა და საწარმოო სანიტარია. სკოლაში სწავლა იწარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე.

სხვადასხვა

◆ **მოხსენებები ტოლსტოის შესახებ.** დღეს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში მეცნიერების და განათლების მუშაკთა საჯარო სხდომაზე ტოლსტოის შესახებ მოხსენებებს წაიკითხავენ: დოც. ს. დანელია,—„ლ. ტოლსტოი". პროფ. პოლიევქტოვი—„ლ. ტოლსტოი და ისტორია" (რუსულ ენაზე) და პროფ. შ. ნუცუბიძე—„ტოლსტოის მსოფლმხედველობა".

◆ **კომუნარების სახელობის ტუბდისპანსერში** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება სოც დაზღვევის კომიტეტის კრება.

◆ **ახალი ტეხნიკუმი.** ახლო ხანში თბილისში გაიხსნება ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ერთწლიანი ტეხნიკუმი.

◆ **მეტეოროლოგიური სადგურები.** გეოფიზიკური ობსერვატორია დასავლეთ საქართველოში წელს მოაწყობს 11 მეტეოროლოგიურ სადგურს.

◆ **ქართული ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკოლა) დღეს, საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება ყველა შრომის სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა კრება.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—ბუზიაშვილს, სტეპანაკერტიდან — პოჩასოვცებრუკს, მოსკოვიდან — როშჩინს, სამტრედიიდან—ნიკოლაიშვილს.

„საქართველოს ეკონომისტი"

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი"-ს № 7—8 შემდეგი შინაარსით: **მოწინავე** — სოფლის მეურნეობის საკითხები საქ. კ. პ. ცეკას პლენუმზე; **გ. სარუხანოვი** — კოლმეურნეობათა ფორმების შესახებ ჩვენში; **დ. თოფურიძე** — სავაჭრო კრედიტი, სახელმწიფო ბიუჯეტი და ინდუსტრიალიზაციის სესხი; **აგრ. ე. ვარძელაშვილი** —სიმინდის მარცვლის რაციონალური გამოყენებისათვის; **ინჟ. ვ. ფელდტი** — გორი-ცხინვალის რკინის გზა; **ინჟ. ე. ალშიბაია**—ჩვენი შავი ქვა და მსოფლიო ბაზარი; **იპ. ნარსია**—საღმშენებლო მრეწველობა ჩვენში **შ. ავალიანი** — ღვინის პრობლემა ჩვენში; **ალ. დევდარიანი** — საქართველოს სამთომადნო ნედლეულის გადამუშავების პრობლემები; **ზ. ჩხეიძე** — გლეხის ბიუჯეტის სტრუქტურა საქართველოში; **ა. იაშვილი** — სოფლის მოსახლეობის გასვლა გარე სარეწავზე 1924—25 და 25—26 წლებში. **ევ. ბერიტაშვილი** —კონსერვებისა და ხილის სახმობ ქარხნების შესახებ საქართველოში; **პ. გოთუა** — მოკლე განმარტება ე. ბერიტაშვილის წერილის გამო; **ს. ქვარიანი** — სამელიორაციო მუშაობა საქართველოში; **შ. ქელიძე** — რაჭის მაზრის ფინანსიური მეურნეობა და მოსახლეობის თვითდაბეგვრა. პრესა, ინფორმაცია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

შემთხვევები

ცეცხლი

9 ოქტომბერს (ელისაბედის ქ. № 69) სირინ კარაპეტოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

ავტომობილის დაჯახება

9 ოქტომბერს კინო „აპოლო"-ს მახლობლად ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ნიკოლოზ ჩანადირი, დაეჯახა ლეონტი სიმონის ძე ქვათაძეს და მსუბუქად დააშავა.

ქურდობა

იბრაგიმ მამედ-ოღლის საყასბოდან უცნობმა პირმა მოიპარა 100 მ.;—კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს გიორგი სვანიშვილის და იასონ ჯავახიშვილის სახარაზო დუქანი. ნადია ღვინიაშვილის ბინიდან (ვაკეფელის ქ. 5) მოიპარეს 300 მან. ნივთები.

სასამართლო

მკვლელობა ალიმენტის გადახდის თავიდან ასაცილებლად

იოსებ სიმონისძე ცოტნიაშვილმა მეორე ცოლის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ცხოვრება თავის მოსამსახურე **სოფიო ძეგველაშვილთან.**

ერთი წლის შემდეგ მათ შეეძინათ შვილი. შვილის გაჩენის დღიდანვე ცოტნიაშვილმა აითვალწუნა სოფიო ძეგველაშვილი და საბაბს ეძებდა, რომ როგორმე თავიდან მოეცილებია იგი.

ცოტნიაშვილმა ჰპოვა „საბაბი". განუცხადა ქალს, რომ რადგან მას პირველ ქმართან ცხოვრების დროს შვილი ჰყავს (ეს კი არ იყო მისთვის ახალი ამბავი), ამიტომ ცოტნიაშვილს ეს მიაჩნია დამამცირებელ მოვლენად და რომ მოიშოროს „სამარცხვინო ლაქა", გადაწყვეტილი აქვს განშორება.

ეს ასეც მოხდა. ცოტნიაშვილმა მიატოვა უპატრონოდ წვრილშვილებიანი ქალი და არ უფიქრია იმაზე, თუ რა სახსრით და საშუალებით უნდა გაეტანა თავი სოფიოს, რომელსაც ორი პაწაწა შვილი ჰყავდა აღსაზრდელი.

უზომო გაჭირვებამ სოფიო ძეგველაშვილი მიიყვანა სასამართლოს კარებამდე. ქალმა ითხოვა ქმრისაგან ბავშვის საზრდო.

საქმე გაარჩია თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლომ და ცოტნიაშვილს დააკისრა ყოველთვიურად თავისი ჯამაგირის მესამედის გადახდა მისივე ბავშვის სარჩენად და აღსაზრდელად.

ცოტნიაშვილმა ისე მოახერხა, რომ თავისი ჯამაგირი, ნამდვილი რაოდენობა დაფარა და მესამედის სახით მის ცოლს ერგო რაღაც 16 მანეთამდე.

სოფიო ძეგველაშვილი შეურიგდა ბედს. დაიწყო მუშაობა — რეცხავდა სარეცხებს, ჰკერავდა თეთრეულს და პატრონობდა ბავშვებს.

ცოტნიაშვილს კი ამ დროს ემატებოდა შემოსავალი, მისი ჯამაგირის რაოდენობა იზრდებოდა, ალბად, დაწინაურების გამო, ხოლო იმ 16 მანეთს, რომელიც სარჩოდ ჰქონდა მისჯილი სოფიოს, არაფერი ემატებოდა.

ქალმა მიმართა ისევ კანონს და ითხოვა სარჩოს მომატება. ესეც უკიდურესი გაჭირვებით იყო გამოწვეული. სასამართლოში საქმე უნდა გარჩეულიყო ამა წლის 11 ივლისს.

ცოტნიაშვილი ბრაზისაგან დორბლებს ჰყრიდა სასამართლოში და ხალხის თანდასწრებით მუქარას ისროდა სოფიოს წინააღმდეგ.

რაღაც გარემოების გამო საქმე გადაიდო შემდეგი დროისათვის. სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გამოსვლისას იოსებ ცოტნიაშვილმა ერთი ამბავი დააწია თავის ყოფილ ცოლს. დაუწყო უშვერი სიტყვებით ლანძღვა და მუქარა.

— დღეს შენი სიცოცხლის უკანასკნელი დღეა. სარჩოს ხვალ მიიღებ ჩემგანო, — უთხრა მუქარით ცოტნიაშვილმა და წავიდა.

და სწორედ მეორე დღეს, საღამოს 6 საათზე ცოტნიაშვილი დაუხვდა სოფიო ძეგველაშვილს ერისთავის ქუჩასთან, მოეპარა უკანიდან ფეხაკრეფით და მახვილი დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მას. დაჭრილი ქალი წაიქცა ფილაქანზე და იქვე გაათავა სიცოცხლე.

„ეხლა ეჭამე სარჩოო", მიაძახა ცოტნიაშვილმა და გაიქცა.

ცოტნიაშვილი შეიპყრეს.

თავის გამართლებაც მოინდომა ცოტნიაშვილმა და წინასწარ გამოძიების დროს ასეთი საზიზღარი მკვლელობის გასამართლებლად მოიყვანა მის მიერ მოჭორილი ამბავი. „ჩემმა ყოფილმა ცოლმა შემაფურთხა თვალებში და ვერ მოვითმინეო".

იოსებ ცოტნიაშვილი გასამართლებულ იქნება თბილისის სამაზრო სასამართლოს მიერ 20 ოქტომბერს და მიიღებს ღირსეულ სასჯელს.

გერ.

ხელოვნება

სამხატვრო აკადემიის გამოფენა

სამხატვრო აკადემიის ნამუშევართა წლევანდელი გამოფენა, შარშანდელ გამოფენასთან შედარებით არ იქცევს ყურადღებას რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევით. მაგრამ, ვინც ჩვენი აკადემიის ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, იმისათვის ეს გამოფენა ბევრის მთქმელია.

აკადემიას უკვე გაუუქმებია ფერადი წერის კლასებად დაყოფა (ცალკე პროფესორების კლასები), გაუფართოებია ხუროთ-მოძღვრების დარგ., კერამიკის წარმოებაში და ლიტოგრაფიის განყოფილების დარგში შეუტანია მეტი გეგმიანობა.

პრაქტიკულ ამოცანათ დაუსახავს მაკეტების სისტემის შემოღება ხუროთ-მოძღვრებაში და კომპოზიციის კლასის გახსნა.

ასეთი გადახრა ჯერ-ჯერობით მეტად უმნიშვნელო რაოდენობით მოსჩანს გამოფენაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია თვით გეზის შეცვლის ფაქტი. ასეთი მიმართულებით აკადემია უშუალოდ დაუკავშირდება ცხოვრებას და მის ყოველდღიურ მხატვრულ მოთხოვნილებებს. ეს საბოლოოდ ნიშნავს ძველი კულტურის რკალის გარღვევას (რაც მეტად საგრძნობი იყო აკადემიის წარსულ მუშაობაში), ყოფის ორგანიზაციის მასალის მიზნობრივ დამუშავებას და ამით სოციალურ დაკვეთის შესრულებას.

ჩვენ გვინდა მხატვრობა ცხოვრების ფაქტებში და საბჭოთა მჩქეფარე სინამდვილის ამსახველი.

მხატვრობა უნდა იყოს კოლექტიური შეგნების გამტარებელი, საზოგადოებრივი ადამიანის დამამუშავებელი და პროლეტარულ კლასიური სოლიდარობის განმტკიცებელი.

გამოფენაზე რამოდენიმე ოთახი დაკავებული აქვს მნიშვნელოვან კონსტრუქციულ ცდებს სხვადასხვა ნაგებობათათვის (წყალსადენების, ტრამვაის სადგურების, ელექტროსადგურების და სხ). ამ ცდებში მოსჩანს ახალი სტილის ძიება, რომელსაც სურს დაალწიოს თავი ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ნაგებობათა მემკვიდრეობას და დაუკავშირდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალურ მშენებლობას.

ფერებით ვარჯიშობაში აღსანიშნავია ქებულაძე, სანაძე, გაბაშვილი. თავაძე და ძველიშვილი. ქანდაკების დარგში ყურადღებას იქცევს თ. აბაკელია.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ახალ გზაზე შემდგარ აკადემიის მუშაობაში. ეს არის კედლის მხატვრობისადმი უყურადღებობა. ფერადი წერას ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ ამ მიმართულებით მიეცემა გამართლება. ფართოვდება კლუბების ქსელი; იხსნება გლეხთა სასახლეები. თეატრები და სხ. ამ ნაგებობათა მხატვრული მოწყობა საბჭოთა კავშირში უკვე დაიწყო. ასეთ საზოგადო სამუშაოების შესრულებისათვის (ჯადია უნდა იმზადებოდეს სამხატვრო აკადემიაც. ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი ტეხნიკური ვარჯიშობა, მაგრამ აკადემიაში ამ ვარჯიშობას ვერ ვხედავთ.

ბ. გ.

სახელოვნო და სამეცნიერო დაწესებულებების მთავარ მმართველობის რეორგანიზაცია

განათლების კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა ჩაატაროს სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარი მმართველობის რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შემდეგ სახელოვნო დაწესებულებათა მართველობისაგან გამოყოფილი იქნება სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი მმართველობა და იარსებებს, როგორც ხელოვნების საქმეთა მთავარ მმართველობის განყოფილება.

სახელოვნო საქმეთა მთავარი მმართველობა გააერთიანებს ხელოვნების ყველა დარგებს.

სახელოვნო საქმეთა მთავარ მმართველობასთან იარსებებს შემდეგი განყოფილებები: სათეატრო-მუსიკალური, სალიტერატურო - სარეპერტუარო და მასიურ მხატვრულ მუშაობის. თეატრულ-მუსიკალურ განყოფილების საშუალებით ხელოვნების მთავარი მმართველობა უხელმძღვანელებს საქართველოს ყველა სახელმწიფო თეატრებს და მუსიკალურ დაწესებულებებს.

თეატრალურ-მუსიკალურ განყოფილებას ევალება, როგორც პოლიტიკური, ისე მხატვრული კონტროლი გაუწიოს ყველა თეატრალური დაწესებულებების მუშაობას და გამომცემლობის საქმეს.

მასიური მხატვრული მუშაობის განყოფილება უხელმძღვანელებს მხატვრულ მუშაობას სოფლად, ცირკებს და საერთოდ საესტრადო ხელოვნებას. გარდა ზემო დასახელებულ განყოფილებების, ხელოვნების მთავარ მმართველობასთან დაარსებული იქნება კინო-განყოფილება.

მმართველობასთან აგრეთვე იარსებებს სხვა და სხვა სათათბირო ორგანოები. მთავარმმართველობის საერთო მუშაობას უხელმძღვანელებს კოლეგია.

სალიტერატურო და სარეპერტუარო განყოფილებასთან ჩამოყალიბებული იქნება სარეპერტუარო საბჭო.

რეორგანიზაციის ჩატარება დავალებული აქვს მთავარ მმართველობის გამგეს ამხ. **თოხაძეს.** რეორგანიზაცია უნდა დამთავრდეს ორი კვირის განმავლობაში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სახ. კონსერვატორიამ** შემოქმედების და ორკესტრო კლასის ხელმძღვანელად მოიწვია პროფ. ბაგრინოვსკი, რომელიც უკვე ჩამოვიდა თბილისში და შეუდგა მუშაობას.

◆ **ორლოვას კონცერტი.** ახლო ხანში რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მომღერალ ორლოვას კონცერტები.

◆ **შუბერტის გარდაცვალებიდან 100 წლ.** თავის აღსანიშნავად სახ. კონსერვატორია 19—21 ნოემბერს გამართავს მის ნაწარმოებთა საღამოს.

◆ **საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოებაში,** პარასკევს 12 ოქტომბერს, დღის 4 საათზე სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკაში (პლეხანოვის პროსპექტი № 164) შესდგება საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოების მეორე საორგანიზაციო კრება. დაინტერესებულ ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ. დღის წესრიგი: 1) საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოების წესდების გაცნობა, 2) საბჭოთა კინემატოგრაფ. მეგობართა საზოგადოების ბიუროს არჩევნები; 3) სხვა საკითხები.

ჭადრაკი

მაესტრო გრიგორიევისა და გოგლიძის მატჩი

მეხუთე პარტია

მეხუთე (ინდიური) პარტიის გათამაშებისას თავიდანვე პოზიციური უპირატესობა ხელთ იგდო მაესტრო გრიგორიევმა (შავები). რამოდენიმე სვლის შემდეგ გოგლიძემ შესძლო ძალთა გათანაბრება, მაგრამ შემდეგ დაუშვა შეცდომა, რამაც შავებს საშუალება მისცა კვლავ მოეპოვებიათ უპირატესობა.

მოხერხებული მანევრებით თეთრები შეეცადნენ ისევ გამოესწორებიათ მდგომარეობა, მაგრამ თამაშის დროს თეთრებმა დაჰკარგეს ტემპი და შესაძლებლობა მისცეს მოწინააღმდეგეს მოეგო ერთი პაიკი.

3 საათის თამაშის შემდეგ გოგლიძემ თავი დამარცხებულად სცნო.

საპროფკავშირო საკვალიფიკაციო ტურნირი

მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში იწყება საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საჭადრაკო სექციის მიერ მოწყობილი საპროფკავშირო საკვალიფიკაციო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც კავშირის ყველა წევრს, ისე მათი ოჯახის წევრებსაც. ტურნირის მონაწილენი, რომლებიც კეთილსინდისიერათ ჩაატარებენ ყველა შეჯიბრს და მიაღწევენ განსაზღვრულ შედეგებს, თანახმად გამომუშავებული წესდებისა, მიიღებენ კვალიფიკაციის სრულიად საპროფკავშირო მასშტაბით. ტურნირზე მონაწილეობის მიღების მსურველთა ჩაწერა იწარმოებს დღეიდან — ყოველდღე, 16 ოქტომბრამდე, საღამოობით 6-დან 8 საათამდე, მუშათა სასახლეში, ოთახი № 21.

ახალი საპონი

ექიმმა **ი. ნ. ანდრონიკაშვილმა** და ქიმიკოსმა **გ. ი. ბარნაბიშვილმა** გამოიგონეს ახალი ხარისხის საპონი, ე. წ. „მუშის საპონი", რომლის დამზადება ჯდება 40—50 პროცენტით ნაკლები. გარდა ამისა ეს საპონი გაცილებით უკეთესი ღირსებისაა იმ საპნებთან შედარებით, რომლებიც დღემდე მზადდება მასიურ მომხმარებლებისათვის. ახალი საპონი ჩქარა აშორებს სარეცხს ჭუჭყს, უფრო გამძლეა და ამავე დროს გამოსადეგია ტანის საბანადაც. ახალი საპონი კანს არბილებს და ამასთან ერთად თავის ქიმიურ თვისებით დეზინფექციას უშვება მთელ სხეულს.

გამოგონება უკვე დამტკიცებულია საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ გამოგონებათა კომიტეტის მიერ.

რადიო-გადაცემა

დღეს, 11 ოქტომბერს, თბილისის ოთხ კილოვატიან რადიო სადგურიდან, 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემულ იქნება: მორზეს ანბანის ახსნა განმარტება (რუსულ ენაზე), ახალი ამბები მეცნიერება და ტეხნიკაში (რუსულ ენაზე), საუბარი ბიოლოგიაზე (რუსულ ენაზე), მუსიკალური ანტრაქტი, რადიო-გაზეთი (თათრულ ენაზე), მოხსენება „საშემოდგომო თესვის კამპანია" (თათრულ ენაზე), გაზეთი ოსურ ენაზე, რადიოს მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), ა.-კ. დეპეშეთა სააგენტოს ინფორმაცია (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი რადიოსტუდიიდან.

ნარევი

გადმოხტომა 6 კილომეტრის სიმაღლიდან

ბულგარელი მფრინავი კოპენი, რომელსაც მოჭრილი აქვს ცალი ფეხი, პარაშიუტით გადმოხტა გაფრენილ ჰაეროპლანიდან, როცა უკანასკნელი 6 კილომეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა. ამგვარად კოპენმა დაამყარა აეროპლანიდან გადმოხტომის სიმაღლის ახალი რეკორდი.

ომის შემდეგ დაღუპულ წყალქვეშა ნავების რიცხვი

ერთ ამერიკულ ჟურნალში მოყვანილია ცნობები ომის შემდეგ დაღუპულ წყალქვეშა ნავების შესახებ. ომის შემდეგ სხვადასხვა მიზეზების ხულ გამო დაიღუპა 18 წყალქვეშა ნავი: ინგლისის—6, იაპონიის—3, იტალიის—2 და ამერიკის—7 (დაღუპულ წყალქვეშა ნავების ნაწილი ამოღებულია). ნავებს პირადი შემადგენლობიდან დაღუპულია 500 კაცზე მეტი.

წყალქვეშა ნავის „G 4"-ის დაღუპვის შემდეგ

წყალქვეშა ნავის „G 4" დაღუპვამ, სანაპირო თავდაცვის გემ „პოლდინგთან" დაჯახების გამო, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა შეერთებულ შტატებში. სამხედრო სამინისტროს მოუვიდა აურაცხელი, ნაწილობრივ ფანტასტიური, ნაწილობრივ კი დასაბუთებული წინადადებები წყალქვეშ ცურვის უშიშროების გაუმჯობესების შესახებ. მიმდინარე წლის აგვისტომდე სამინისტრომ 60.000 ასეთი წინადადება მიიღო. ამ პროექტების ავტორია 7.000 კაცი, უმთავრესად შეერთებული შტატების მცხოვრებლები, მაგრამ მათ შორის არიან ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები, ეს უარებელი წინადადებები განიხილეს საზღვაო სამინისტროს სპეციალისტებმა. წინადადებათა უმრავლესობა ფანტასტიური აღმოჩნდა. მხოლოდ 4.000 წინადადება სცნეს ყურადღების ღირსად.

„G 4" ოკეანიდან ამოღების შემდეგ შეაკეთეს და გამოყენებული იქნება წყალქვეშა ნავების გადასარჩენად წარდგენილ პროექტების შესამოწმებლად. შეერთ. შტატების კონგრესმა 400.000 მანეთი გადადვა ამ მიზნით.

ნარევი. სოუფ კლბ თლქპეკე ღქპეკე

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 11 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: შალვა მანაგაძე, გერასიმე გოგიაშვილი, გიორგი ბარამიძე, მარიამ მჭედლიშვილი. **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** ოლღა კუზნეცოვა, შალვა გოგუაძე, იაკობ ღლონტი, ელენე მიხაილოვსკაია, მიხეილ ფიული, კირილე აბულედიანი, ილია მახარაძე, იასონ ტუღუში, ანნა პეტრანის, არშაკ ბალიანცი, მარინე სარიშვილი, ალექსანდრე მარტიროსოვი, ბიქტორ რაბინსკი, აკოპ მაკარიანცი, სავლე კავშაროვი, კონსტანტინე სამოილოვი, მიხეილ ნებიერიძე, გრიგოლ დოჭვირი, ტრიფონ ნაჭყეპია, ლეონიდე მგელაძე, კონსტანტინე ოდიშარია.

შავ მუშათა სექციიდან: ალექსანდრე ინაშვილი, ვასილ ეპიტაშვილი, ალექსანდრე გიორხელიძე, ევა კასიაშვილი, თამარ კვანტალიანი, ანასტასია ჯავარიშვილი, ალექსანდრო ნოზაძე, გრიგოლ ბზიაძე, დიანის გახოკია, ვლადიმერ კვანტალიანი, მარიამ სულხანიშვილი, მარიამ ზახაროვა, ანნა მარტიროსოვა, ნინო ფურცელაძე, კონსტანტინე ჯინჭარაძე, ერისტო ძაძამია და ლევან ბაგრამოვი. **მედსექციიდან:** კონსტანტინე ენიკალოპოვი, სოფიო ხაჩატურიანცი, ვალენტინა მარტინოვა, ოლღა კიკოევა. **მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** ვარლამ გურგენიძე, ერმილე გურგენიძე, ალექსანდრე ჭიჭინაძე, სერაფიონ დვალიძე, ავეტიქ ოგანეზოვი, ხორენ პარუნაკიანცი, ვარლამ ცეკვაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 11 ოქტ [illegible] **საღამოს 6 საათზე** შესდგება სახ. უნივ. პედაგოგიურ ფაკ. პარტ. კოლექტივის კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 11 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე. ბიუროს წევრ. და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნ. სამკ. ფაკულტეტის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე უჯრედის დახურული კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტის არსებული ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღის, 11 ოქტომბერს 1 საათზე. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს საღამოს 6 საათზე ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კლუბში (შიო ჩიტაძის—ყოფ. ერმოლოვის ქ. № 6) შესდგება ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კრება იმ საწარმოო უჯრედების მდივნებთან ერთად, რომლებზედაც მიმაგრებული არიან სტუდენტები. დღის წესრიგში: 1) ამხ. შოგირაძის მოხსენება „სტუდენტთა მუშაობის შესახებ უჯრედებში", 2) ამხ. სოსიანის მოხსენება „პარტგანათლების შესახებ ს.კ.პ. თბილისის ორგანიზაციაში". მოხსენებების შემდეგ კონცერტი და კინო. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, 11 ოქტომბერს, საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შედგება თათბირი აგრო-განათლების პროგრამის საკითხის განსახილველად. თათბირზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: **ხოფერია** (მიწად-მოქმედების კომისარიატი), **დემეტრაძე** (კომკავშირის ცეკა) **იმედაძე** (პოლიტგანი), **ბიქტორ კანდელაკი** (სახ. უნივერსიტეტი), **ხაჭაპურიძე** (მიწატყის კავშირი).

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომ. ფაკულტეტის კომ-უჯრედის დახურული კრება. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 70

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის დროს ლოტერეის და სხვა რამ გათამაშების აკრძალვის შესახებ

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის დროის. 1928 წლის ნოემბრამდე აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე ყოველი დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ, მათ შორის თავდაცვისა და საავიაციო საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოებისა და მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საზოგადოების მიერ, ლოტერიების მოწყობა და სხვა რამ გათამაშება.
2. ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე ნებადართული ლოტერეების მოწყობა გადატანილ იქნეს იმ დროისთვის, როცა დამთავრდება ხელის მოწერა ხსენებულ სესხზე.

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ოქტომბრის 3.
თბილისი-სასახლე.

იურიდიული დახმარება

ს. სამტრედია. ი. ჯიშკარიანს

კითხვა:

ჩვენ ვმსახურობთ სადგ. სამტრედიაში მცველთა 1-ლ რაიონში. შეგვისრულდა ექვსი თვე, რომ სადგ. სამტრედიაში ვართ მიმაგრებული. აქ ყველა მუშა-მოსამსახურეებს ეძლევა 28 დღიანი შვებულება, როგორც მალარიიანი ადგილას. გვეკუთვნის თუ არა ჩვენც 28 დღიანი შვებულება.

პასუხი:

გერგებათ 28 დღის შვებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რაზმში მცველათ მსახურობთ და არა სხვა რაიმე თანამდებობაზე.

გიორგი ქ .სიჭინავას

კითხვა:

1910 წელს, აგვისტოში ლესიჭინედან ქ. სოხუმში წამომიყვანეს ბიძებმა და ვცხოვრობ მათთან. შემდეგ 18 წ. გავიდა. ბოლოს ჩემი ბიძიები. ტარასი და ალექსი სიჭინავები დაიხოცნენ. მათი ცოლები მე არაფერს არ მაძლევენ. გთხოვთ გვიპასუხოთ მერგება რამე, თუ არა?

პასუხი:

თქვენი შეკითხვიდან არ სჩანს, რა სახით იყავით წაყვანილი თქვენ თქვენი ბიძების მიერ. თუ თქვენ იყავით იმ დროს მცირე წლოვანი და მიღებული იყავით ოჯახში აღსაზრდელად, თქვენ გაქვთ ისეთივე უფლება, როგორც შვილად აყვანილს, უნდა იქნეს მხოლოდ გამორკვეული, რომელმა ბიძამ აგიყვანათ აღსაზრდელად, რადგან ერთ პირს ორი პირი, თუ ცოლ-ქმარი არ არის, ვერ იშვილებს, მაგრამ თუ თქვენ არ ყოფილხართ მიღებული ოჯახში აღსაზრდელად, ანდა, თუ თქვენ არ ხართ შრომის უნარს და ქონებას მოკლებული და არ იყავით თქვენ ბიძების სრულ რჩენაზე, და სხვა რაიმე საფუძველზე ცხოვრობდით თქვენ ბიძებთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ხანდაზმულობას და თქვენ არავითარი უფლება ბიძების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე არ გაქვთ.

მე-8, მე-9, მე-15, ცენ. პოლიკლინიკის და ჯანსახკომისარიატის აფთიაქების გაერთიანებული პირველი ჯგუფკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 8 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ენერგიული და დაუღალავი მუშაკი მე-9 საბჭოთა აფთიაქის გამგე

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

გამოსვენება 11 ოქტომბერს, დღის 4 საათზე ახალ ვერის სასაფლაოზე, საკუთარ ბინიდან ამატუნის ქ. № 2. 4473

ღრმათ დამწუხრებულნი [illegible] სოლომონის-ძე რაზმაძე და მეუღლე ეკატერინა შვილებითურთ: ილარიონ გიორგი და დავითი, რძლები: სოფიო და ოლღა რაზმაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი ძვირფასი დაუვიწყარი სიძის პროვიზორ

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძის

მოულოდნელად გარდაცვალებას. გამოსვენება სახლიდან ამატუნის ქ. № 2, დღეს, 4-ს 4471

ღრმად დამწუხრებული მარიამ სოფრომის ასული ედიგარაშვილისა, ვიქტორი ედიგარაშვილი მეუღლით ნინათი და შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 8 ოქტომბერს, დღის 2 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი ძმა, ხოლო დანარჩენის მუდამ დაუვიწყარი უძვირფასესი ბიძა

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

4465

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა პეტრეს ასული, შვილები: დავითი, პეტრე, მარგალიტა, გოგი გვანცელაძეები და ქალიშვილი თამარი ბაჩილავასი მეუღლით ნიკოლოზით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ა. წ. 8 ოქტ. დღის 2 საათზე მოულოდნელათ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და დაუვიწყარი

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

გამოსვენება დღეს 4 საათზე ამატუნიევის ქუჩა № 2, ახალი ვერის სასაფლაოზე. 4466

ღრმად დამწუხრებული დესპინე ვასილის ასული გვანცელაძისა, შვილებით: ინჟინერი დიმიტრი და ექიმი ევგენი ეგნევისძენი, რძლები: ცუცა და ქეთო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 8 ოქტომბერს, მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მუდამ ტკბილად მოსაგონარი მაზლი პირველის და ბიძა დანარჩენების

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

4467

ექიმი ივანე ალექსანდრეს-ძე თვალავაძე მეუღლით ლიდა ილიას ასული ბაქრაძე ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 8 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი და უსაყვარლესი ბიძა

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

4464

ექიმნი ლევან ფაღლენიშვილი და იაკობ გძელიშვილი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 ღვინობისთვეს უცბად გარდაიცვალა გულწრფელი და გულითადი მათი ამხანაგი

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება 11 ღვინობისთვეს, 4 საათზე, დღისით. (ე)

საფთიაქო სამმართველოს თანამშრომლები იწუხარებით იუწყებიან, რომ 8 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა სამმართველოს სამაგალითო მუშაკი მე-9 აფთიაქის გამგე პროვიზორი ამხ.

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

დაკრძალვა მოხდება 11 ოქტომბერს, ახალ ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება საკ. ბინ. ამატუნის ქ. № 2. ნაშუადღევის 4 საათზე. 4476

ქ. თბილისის აფთიაქის გამგეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 8 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა საუკეთესო ამხანაგი და დაუვიწყარი მეგობარი პროვიზორი

ილარიონ სოფრომის-ძე გვანცელაძე

დაკრძალვა მოხდება 11 ოქტომბერს, ახალ ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთ. ბინიდან ამატუნის ქ. № 2. ნაშ. 4 საათზე. 4475

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულნი დედა მაია, დები: მელაია, ზინა, მარიამი, ვერა და ფასო, სიძეები: ნიკოლოზ ჯალაღონია, ბიქტორ ჩალაძე, დავით ჟორჟოლაძე და იოსებ მაისურაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, უძვირფასესი და დაუვიწყარი

ვარლამ (პაწყული) ერასტის-ძე სარიას

ტრაღიკულათ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სოფ. წალენჯიხაში (ზუგდიდის მაზრა). ნ. 1691

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე [illegible] ნესტორის-ძე თავის პაწაწა შვილი— ჩიტუნიათი ჭიჭინაძეები, მშობლები: მამა ნესტორ ანტონის-ძე ძე, დედა ალათი, ძმები: დავით, სერგო და ვახტანგი, დები: გუსტა, ვენერა, მანანა და არიანდა ჩიკვაიძეები, სიძე სიმონ დავითის-ძე კვიტაშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვერა (კოკორა) ნესტორის ასული
ჭიჭინაძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ხოტევში (რაჭის მაზრა), 12 ოქტომბერს. 4463

სახკინმრეწვის კინოები		
განთიადი	დიმიტრი და ლილი ყიფიანები სურათში	ჭორი
არფასტო	სახელგანთქმული მხატვრული სურათი	გაყიდული მადა
პალასი	ბეტი ბალფური ორიგინალურ კომედიაში	მოსამსახურე ყველაფრისათვის
სოლეი მინიონი აპოლო	ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავისათვის სურათშია სანდრო ინაშვილი, მ. ჩერკასკაია, ა. შირაი,	ყაზახები რეჟისორი—ვ. ბარსკი ოპერატორი ფ. გეგელი
დარბაზი	ზამთრის სეზონის გახსნა ტრიუკისტი—სპორტსმენი ალფრედ ბოკოლინი სურათში	სასიკვდილო ნახტომი
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელად თბილისში	სისხლი და ქვიშა მთავარ როლში რუდოლფ ვალენტინო

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
სანდრო ინაშვილი
მ. ჩერკასკაია, ა. შირაი
საიუბილეო სურათში
ლ. ნ. ტოლსტოის
მოთხრობის მიხედვით
ყაზახები
რეჟისორი ვ. ბარსკი
ოპერატორი ფ. გეგელი
დღეს და ყოველდღიურად
კინო-თეატრებში
აპოლო--მინიონი--სოლეი
ნ. 1690

უბედურება
შეგვემთხვა
ჩავიძირეთ
180
ფუტის სიღრმეზე
განიდი 43°57'
სიგრძიდი 34°5'
წყალქვეშა ნავის
№ 12 უფროსი
ფილიპოვი

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ. საღამ. 5—8 საათ.
25—1

სასწავლო სეზონისათვის
თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი
მზათ არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბორატორიები. არის ყოველნაირი ლაბორატორიული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები
ფასები დაკლებულია
თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ სასაფლაოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—4 ნ. 1620

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის უწყებაში მყოფი ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო კურსები
საბუღალტრო სექტორი
ქართული და რუსული განყოფილებები
ქართული განყოფილება
2 წლიანი კურსი: 1-ლი წელი ანგარიშწარ. დარგთა ზოგადი კურსი
2-რე „ უმაღლეს ხასიათის სპეციალური კურსი
ანგარიშწარმოების ცალკე დარგების (სავაჭრო კოოპერატიულ, საწარმოო და სხვ.), ანგარიშწარმოების საბარათო სისტემები, საანგარიშო მუშაობის ორგანიზაციის პრინციპები.
დაწვრილებით ცნობების მიღება და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე „ა.-კ. ორგმშენის" შენობაში. ალმასკომის ქუჩა № 2 (ყ. ტოლოლაშის ქ.) ნ. 1611 6—5

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. პაიჭაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმმა
ს. ი. ვოლოხვა
განაახლა ავადმყოფთა მიღება
(ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელ.მენი № 5—90. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის 8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3 25—1

ექიმმა
ი. ვ. ხანდამოვმა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის) ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ტელ. 6—22 4364 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ოროლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ლამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა.
ჭავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

კბილის ტეხნიკოსთა
კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ
ხელოვნურ კბილების ჩასმა
და
პროტეზების მომზადება.
მიღება ავადმყოფების ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

დაიკარგა: ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 97043 ვასილ გეჯაძეს სახელზე, ჩ. გ. 4462

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი თელი ორუქ-კიზის სახელზე, ჩ. გ. 4474

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 045,345, ჩ. გ. 4470

დაიკარგა: კომ-პარტიის საკანდიდატო ბარათი № 20223 პროფ. კავშირის № 24434 ა. ლ. კ. კ. მანდატი № 2244 ივანე კერესელიძის სახელზე, ჩ. გ. 4469

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი გიორგი იოსებისძე ვებხვაძეს სახელზე. ჩ. გ. 4460

დაიკარგა: საანგარიშო წიგნაკი № 475 და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 14519 თეთრუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4461

დაიკარგა: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 20757 და სტიპენდიის წიგნაკი მიხეილ თომას ძე მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 4472

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამ ოლ ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.